

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული  
და საზოგადოებრივი ჟურნალი

არა

ჟურნალი გამოდის  
2016 წლის იანვრიდან,  
გამოსხებს სამწე-  
ჭავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

27

2021

**რედაქტორი - მერაბ ბერიძე**

**მოადგილე - მაკა ბერიძე**

**სარედაქციო საბჭო:**

**ლალი ბერიძე  
ლია ზაზაშვილი  
ციური ლაფაჩი  
მალხაზ ლომისაძე  
ლერი ნოზაძე  
მაია ქუქჩიშვილი  
ნატო ყრუაშვილი  
ირინა ჯიშვარიანი**

**ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი  
რეზო შეროზია, ზუგდიდი  
ზაირა კელოშვილი, ათენი  
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი**

**მხატვარი: თამარ თამარაძე**

**მდივანი: ზაირა გელაძე  
მენეჯერი: მანანა ობოლაშვილი**

**საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე  
ლარისა გურგენიძე**

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021

**ISSN 2346-836X**

# პროგე

## გიორგი სოსიაშვილი

### პოთე

მეგონა, რო ყველაფერს მიანიავებდა. რა ვიცი, ეგრე ვფიქ-რობდი, ბევრი მაგალითი მქონდა, გამოკეტილი სახლების მეტი რა მინახია. ერთ დროს რო ურიამული გაუდიოდა, ხალხი ხმაურობდა, შეხედავ და გული მოგიკვდება. სიჩუმე და სიკვდილი ბალახობს ამ ეზოებში, გავხედავდი და გამაკანკალებდა ხოლმე: ჩემი სახლიც რო ეგრე გამოკეტილიყო?! ვინ იცის, სულ ტყუილა ვიდგამდი წელებზე ფეხებს. სულ უანგიანი კლიტე მელანდებოდა, რაღაც ხო აგკვიატებია, მე კლიტე მქონდა აკვიატებული, ზუსტად ისეთი კლიტე, ერთი ჩვენებური ჯემალას სახლის ალაყაფზე რო ვნახე.

ვაშენებდი, ვაკეთებდი, მაგრამ იმის შიში მკლავდა, რო ერთ დღეს დიდი კლიტე არ დაედოთ ჩემი სახლის კარზეც. იქნება სულაც არ იყოს ეგრე და ტყუილა ვიხეთქავ გულსა-მეთქი, თავს ვიმხნევებდი ხოლმე.

ამ ჩემ აკვიატებაზე არც არავისთვის მითქვამს, მეშინოდა. ჩემი ალალი შრომით წამოვჭიმე იმოდენა სახლი, 14-16-ზე, ავაშენე. რა ჯანდაბად მინდოდა ამხელა დევერხანა საცხოვრებელი, ცხენი გაჭენდებოდა, ქორწილის სუფრა გაიშლებოდა ზალაში. სულ აგურით ავაშენე, ორივე პირი აგური იყო, ღმერთმა აცხონოს ცხინვალელი სარქისა, ერთი სომეხი მეგობარი მყავდა, კალატოზი, ისეთი ხელი ჰქონდა, ისეთი... ოთხი თუ ხუთი წლის წინათ მოკვდა. სარქისას ნახელავს ათასში გამოარჩევდი, შენ ჩემი სახლი არ გინახავს, – თვალები აუწყლიანდა არსენას, – დიდი ხანი მოანდომა. თავიდან ცოტა გული მომდიოდა, შემოდგომამდე უნდა მორჩილიყო და ვერ ასწრებდა. ვიცოდი, რო წვიმებს აიტქავდა მერე და ცინდლიან დღეებში გინდა აშენე, გინდა არა. ერთი-ორჯერ გავუბრაზდი კიდეც, მაგრამ ნერვი არ უტოკავდა, შემომხედავდა და ჩაელიმებოდა.

— არსენჯან, შენ სახლის აშენება რა გვონია? — ქაფჩას შეათამაშებდა, — აჩქარებით სახლის შენება ვის გაუგია, სარქისამ თავის საქმისა თვითოზ იცის. ჩქარა აშენებული ჩქარა ინგრევა, არსენჯან, — თან წაიღილინებდა, ვითომც არაფერი, — მამაწოდე აგური, — ხარაჩოდან გადმოსძახებდა თავის ბიჭს — ლოვას, რომელსაც სულ თან დაატარებდა, ხელობას ასწავლიდა.

ზოზინ-ზოზინით მუშაობდა. აგურს რო დადებდა, სულ მილი-მეტრებში ასწორებდა. გული მომდიოდა. სარქისა შემომხედავდა და ჩაილაპარაკებდა:

— შენნაირი სახლი არავის ექნება. ამისთანა აგურის გაფუჭება როგორ იქნება.

მართლა მაგარი იყო. რო ამოიყვანა კედლები, თანდათან გადამიარა ბრაზმა. ანათებდა ჩემი სახლი. გულში მზე ჩამიდგა, სამ-სამი ძმა ვიყათ, ობლობაში გაზრდილები, ქოხში ვეყარეთ და ამხელა სახლს რო ვაშენებდი, თან მიხაროდა, თან მეტირებოდა. ცხონებული დედაჩემი მაინც მოსწრებოდა, როგორ სიღატაკეში დაგვზარდა-მეტქი. მამაჩემი კარვა არ მახსოვდა. ომში წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სად ჩაყარა ძვლები, ვინ უწყის. ქოხი-დან გამოსულმა კაცმა, ხარების გვერდით რო მეძინა ჩემს ძმებთან ერთად ხოლმე, იმხელა სახლი წამოვჭიმე, თან სულ ჩემი იოვლით... მოსავალი მომყავდა, ბალ-ვენახები მიყვაოდა. ლალიანი წაკვეთები მქონდა. კოლექტივი რო დაიშალა, მინები დაგვირიგეს. იმის გარდა სხვა მინებიც ვიყიდე, ოთხი თუ ხუთი ჰექტარი მაინცა მქონდა. ყველაფერი იქით დარჩა... — ნერწყვი გაუშრა არსენას.

სარქისამ, სანამ თოვლს ჩამოყრიდა, მოასწრო აშენება. ჩემიღბალზე თბილი დღეები დაიჭირა. ობლების ზაფხული დადგა. მზემ, სანამ ზამთარი ჩაყლაპავდა, ერთხელ კიდევ გაინავარდა ცაზე.

გადავხურე სახლი. გაზაფხულზე აისორები ჩამოვიყვანე, ერთიანად მოვურიგდი. გალესეს და გაარემონტეს, სამნი იყვნენ, დახატეს კედლები.

არსენამ ფოთლებშემარ ნერგს ტოტი წაატეხა, უაზროდ დასცექეროდა, ცოტალა უკლდა აქვითინებას, მთელი სხეული უთრ-თოდა, თავს ძლივს იოკებდა. მერე შემომხედა და ჩაილაპარაკა:

— ხანდახან როგორ გინდა სიკვდილი და ჯიბრზე არ მოდის.

იკავა, იკავა თავი, მაგრამ ცრემლი მაინც გადმოუგორდა.

ეგ ერთი ბიჭი მყამ და ქალაქში სახლი არ ვუყიდე. გული მიგებდა, თუ რა იყო, ჯემალასაც ეგრე მოუვიდა, გაექცა ცოლ-შვილი ქალაქში, გაუტკბათ იქაურობა და მიაგდეს საწყალი მარტოდმარტო. სულ ის კლიტე მიტრიალებდა ხოლმე თვალწინ. ვაი-თუ წავიდეს და მიატოვოს აქაურობა, გაპარტახოს ყველაფერი-მეთქი.

აქ ჩავაყარე ყველაფერი, რაც მებადა, ამ სახლს შევახარჯე. ჩემი ბიჭი მაინც ვერ დავიოკე. სასწავლებლად წავიდა, მერე ვიღაც ფულიანი კაცის გოგოს გადაეყარა და... დავრჩი ეგრე.

ფულის გემომ სხვანაირი რაღაცები იცის. ხო იცი მიუჩ-ვეველს ნუ მიაჩვევო. ერთი ბიჭი მყავს ცასა და ქვეყანას შუა, ეს შობელძალლი, სიგრძე-სიგანეში შევცექეროდი, მაგრამ რად გინდა? სოფლის გახსენება არ უნდოდა. ხან შევეხვეწე, ხან დავემუქრე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ხელი ჩავიქინიე, გული გახეთქვას მქონდა. ამხელა სახლ-კარი, ბალ-ვენახები, ვისთვის ვიწვალე, ვის-თვის მოვიკალი თავი, მე და ჩემი ცოლი ეგრე ბაიყუშებივით ვიყათ.

სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, ოთხი თუ ხუთი თვით ადრე ჩავარდა ჩემი ცოლი. წევამ ორჯერ დაარტყა, ცალი მხარე გაუჩერდა, ენა წაერთვა. თავიდან სიარულს ახერხებდა, მაგრამ მერე... ჩემი მოსავლელი გახდა. ლაპარაკით ვერ ლაპარაკობდა, ენას ვერ იმორჩილებდა.

ომის დროს ჩემმა ბიჭმა ქალაქში წაიყვანა. მარტო დავრჩი. ოთხი თუ ხუთი ვიყათ სოფელში. ეგრე უპატრონოდ მიტოვებულ საქონელს ვუვლიდით, მეზობლების ძროხები შემომბლაოდნენ ხოლმე, ბალახს ვუთიბავდით, წყალს ვუზიდავდით. რაზე აღარ მიფიქრია ცხოვრებაში, ყველანაირი უბედურების მოლოდინი მქონია, მაგრამ ამას რა მომაფიქრებდა, – არსენამ თვალები დააბრიალა, – იმ ხალხის ცოდვით როგორ უნდა მოისვენონ, არ ვიცი. წამოდიო, მეჯაჯლანებოდა ჩემი ბიჭი. სიმამრის ნაყიდ ბინაში ცხოვრობდა, სად გავყვებოდი, სულ რო მაგათი ლუკმა გავმხდარიყავი, სხვის კარზე რა გამაჩერებდა. ის კი არა, ჩემი ცოლის დარდი მელავდა. ვიცოდი, უჩემოდ როგორც იქნებოდა. გონება კი ჩვეულებრივ ჰქონდა, მაგრამ როგორც გითხარი, ენა

წაართვა იმ სატიალემ, ვერ ლაპარაკობდა და სათქმელი ცრემ-ლებად აწვებოდა ხოლმე თვალებზე. ქალაქელმა რძალმა ვიღაც მომვლელი დაუქირავა... ხო ვიცოდი ჩემი ცოლი რა უტედურ დღეშიც იყო, ცალკე ჩემი დარდი, ცალკე სხვის კარზე ყოფნა.

წამოდიო, – მეჯიკავებოდა ჩემი ბიჭი, – აქ არ გაგაჩერებო.

იმხელა სახლ-კარი ვისთვის დამეტოვებინა, წადი, აბა, მიატოვე შენი ნაწვალ-ნადაგი, როგორია. განა არ იცოდა, რო არ გავყვებოდი, მაგრამ მაინც თავისას ცდილობდა. ბოლოს, მიხვდა, რო არსად წამსვლელი არ ვიყავი და შემეშვა.

ეგრე გადაბუგეს ოსებმა ყველაფერი, რუსებმა რაც დაგვაკლეს, მაგათ აგვისრულეს.

აბა, გახედე, – ნასოფლარებისკენ გაიშვირა თითი არსენამ, – აემას ადამიანი გააკეთებდა? სად გინდა სამართალი იპოვო? გასდით და რა უნდა ქნა. ჯერჯერობით მაგათი აყრია.



\* \* \*

ვერ ვიჯერებდი. ეგრე მეგონა, რო სიზმარში ვიყავი. სიჩუმემ დამლალა. ხმაურზე და აყალ-მაყალზე დამლები სიჩუმე ყოფილა, არ ვიცოდი.

სოფლის ურიამული მენატრებოდა. დაუბრებული მეზობლების დალაპარაკება რო გაბეჭდინერებს, მაშინ ხვდები, ამ დალოცვილ სიცოცხლეს რაში ფლანგავენ ადამიანები – ერთმანეთის ჭამაში, სამანის გადაწევ-გადმოწევაში, ჩხუბში და ორომტრიალში. რო მეგონა, კაკოს მთელი ცხოვრება ხმას არ გავცემდი, სანამ პირში სული მედგა, არ დაველაპარაკებოდი, მე თვითონ შევურიგდი. რაღა დაუმძრახებულები წავსულიყავით. ისიც ბალში იმალებოდა ჩემსავით, ოსები შემოდიოდნენ, დაეხეტებოდნენ, ბალახებში ჩამალული რო უყურებ, როგორ წვავენ შენი თანასოფლელების სახლებს, რა ჭკუაზე უნდა დადგე. თითქბს ვიჭამდი, სადღაც გახიზნულ ჩემ მეზობლებს ერთი სული ჰქონდათ, სოფელში დაბრუნებულიყნენ და იმათი ფიქრი უპატრონოდ მიტოვებულ სახლებს დასტრიალებდა. ამ დროს კი ცეცხლში იყო გახვეული მათი ავლადიდება.

რა უნდა მექნა, ვიწექი ბალახებში და ვტიროდი. ღამ-ღამობით თუ გამოვიდოდით, ლუკმას გავტეხავდით, მაგრამ არ გადადიოდა ყელში არაფერი. მე და კაკო ისე შევციცინებდით ერთმანეთს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს ჩვენს შორის. სარწყავი წყლის გულისთვის ვიყავით წაკიდებულები და წყალიც ოხრად გვრჩებოდა, ბალებიც და მოსავალიც.

ერთი ხანობა ისიც კი ვიფიქრე, დამეჯერებინა ჩემი ბიჭისთვის და წავყოლოდი-მეთქი, მაგრამ ოსები მომკლავდნენ აქა თუ ქალაქში გამძვრებოდა დარდით სული, რა აზრი ჰქონდა. ვიწექი ეგრე მაჩივით და გავცექროდი სახლს, ყველა გაფაჩუნებაზე გული გადმოვარდნაზე მქონდა, ან ახლა შემოვლენ და დამიწვავენ სახლს, ან ახლა-მეთქი. სულ ავტომატიანი ოსები მელანდებოდა.

ჩემი ძალლი, როგორც კაი ჭირისუფალი, ისე შემომცექროდა. მაშინ მივხვდი, რო დარდი მარტო ადამიანმა არ იცის. ძალლაც იცის დარდი. ძალლი თავისას ხო დარდიბს და თავის დარდთან ერთად, პატრონის სადარდებელიც აქვს. ეგრე იყო ბოთე. მიყურებდა და იმის თვალებში ჩემ დარდსაც ვხედავდი. ცრემლები

ჩამოსდიოდა. გზიდან რამდენჯერაც ხმაური გაიგო, ყეფა ატეხა და დავტუქსე, ვაითუ ძალლის ყეფის ხმაზე შემოვიდნენ და თავზე დაგვადგნენ-მეთქი. იმ საშინელმა სიჩუმემ მეც დამღალა და ჩემი ძალლიც. პაპიროსი შემოგველია. კაკო ხმელ ბალახს ახვევდა გაზეთში და იმასა ვწევდით.

ომი კი დამთავრდა რამდენიმე დღეში, მაგრამ ომი მერე დაიწყო თუ დაიწყო, დაუმთავრებელი ომი, ჩემი სახლის ზემოთ, ფშატი გოხებზე გაავლეს „საზღვარი“ მაგ წუნკლებმა. ხო გითხარი, სიზმარში მეგონა თავი. აბა, ამას როგორ წარმოვიდგენდი, რო ჯერ ეს უბედურება დაგვატყდებოდა, მერე კიდევ სოფელს გადაგვიღობავდნენ. ეკლიანი მავთულები გაავლეს და ჩვენს ზემოთ მთელი მინდვრები იქით მოაქციეს. ის ჩემი ნაწვალ-ნადაგი ბალებიც იქით დარჩა, – არსენას ხელები უცახცახებდა, – შვილებივით დავზარდე, რა გინდოდა, რო არა მქონდა, ის იმდენი ბლები, ის იმხელა ვენახი, ოცი კოკა ლვინო მომდიოდა. მარანში აღარ შევსულვარ იმის შემდეგ, ცარიელი ქვევრების ცქერას ვერ გავუძლებდი.

ავიდოდი „საზღვართან“, შორიახლო დავდგებოდი და ჩემ ბალებს გავცეკეროდი. რაღა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე, შორიდან რო უყურებ როგორ დადიან შენ ბალ-ვენახებში უცხო ადამიანები და ეგრე უწვალებლივ იღებენ მოსავალს. კაკოს ბალიც იქით დარჩა...

ბალებს ვდარდობდი და თურმე ჯერ წინ იყო მთავარი სადარდებელი. ყველა დარდი გადამავიწყა ახალმა დარდმა. ჩემ ცოლს ვატყობდი, რო ბევრი აღარაფერი ჰქონდა დარჩენილი. ერთი ხარი რო ჩაიჩოქებს, მეორესთვის მძიმდება უღელი. ომამდე ტაატაობით მაინც დაგვყავდა, ომის მერე სულ მოწყდა, ლოგინად ჩავარდა. რო შექმნებოდა, ჩემი გაძალლებული ცხოვრების დარჩენილ წლებს მივცემდი, მაგრამ ჩვენ ვინ გაგვანაწილებინებს სიცოცხლეს. დავყურებდი ლოგინში ჩაკარგულ კატოს და ასე მეგონა, ვიღაც სხვა იყო. ოდნავდა ბჟუტავდა, მიყურებდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აღარც ენა ემორჩილებოდა და აღარც თვალები. გამოვიდოდი აივანზე და ჩუმად ვტიროდი. ჩემი ბიჭი ქალაქში აღარ წასულა, ჩამოვიდა და ჩამოვიდა, ფეხი აღარ გაუდგამს. ერთი-ორჯერ ჩამოაკითხა უშვილო ცოლმა, ცუდი ქალი არ

იყო, მაგრამ სოფელი არ უყვარდა, ქალაქში გაზრდილი გოგო ორლობებში ვერ ივლიდა.

– ნადი, მიხედე შენ ოჯახს-მეთქი, – ჩემ ბიჭს ვუთხარი, მაგრამ აღარ დაგვტოვა. გულში მიხაროდა, რო ჯიგარი შერჩენოდა და ვეცოდებოდით.

ეკლიანი ლობის იქით დარჩენილ ბალ-ვენახს მივტიროდი. მავთულხლართი კი გააბეს, მაგრამ იმედი მაინც მქონდა, იქნებ როგორმე დავიბრუნო-მეთქი. ვინ რას დაგიბრუნებს, რომელ ბალ-ვენახზე იყო ლაპარაკი, ჩამოვიდნენ ერთ დღესაც რუსები, გაშალეს თავიანთი რუკა და ეკლიანი ლობის აღება დაიწყეს.

– არიქა, მგონი გვეშველა-მეთქი, – ჩავეხუტე ჩემ ბიჭს.

როგორ გავსულელდი, ეს ამხელა კაცი, რამ დამაჯერა მაგათი წასვლა, თურმე რა ხდება, „საზღვარი“ ქვევით უნდა გადმოიწიათ.

დაგვიძახეს რუსებმა, ოთხი თუ ხუთი მესაზღვრე ჯარისკაცი იყო, ერთი კაცის გაკეთებულებსა ჰგავდნენ. იმათი უფროსი გველაპარაკა, რუკა გაგვიშალა. მე ვიყა, კაკო, ჩემი ბიჭი და გურგენა, ბოთეც გამოგვყვა – ჩემი ძალლი, უჩემოდ რას გაჩერდებოდა. ისიც ჩემსავით უცბათ დაბერებულიყო. ერთიანად დაეხარჯა დარჩენილი წლები ომის დღეებში. ერთნაირად მოგვახტა სიბერე, მე თმებზე შემეტყო, იმას თვალებზე. თავისი ძალლური ცხოვრების გზის დასასრული უჩანდა. ის უფროსი რო გველაპარაკებოდა და რუკაზე ფანქრით რაღაცას წერტილებს ადებდა, ბოთე რუს მესაზღვრეებს უყეფდა. ერთ-ერთ მათგანს ფეხშიც წასწვდა. ლამის მომიკლეს რუსებმა. ავტომატი მიუშვირა ერთმა და მუხლებში ჩავუვარდი, სროლას აპირებდა და გადაიფიქრა, გამიკვირდა... არასოდეს მიცემია ჩემი ძალლი და მაშინ წავადე, მერე კი ვინანე, მიყურებდა საცოდავად და მსაყვედურობდა. ნება რო მიმეცა, მივარდებოდა და ხუთივეს დაგლეჯდა. რო წავუთაქე, ერთი დაინკმუტუნა და გაიძურნა, შორს არ წასულა, იქვე, ახლოს იდგა და მომჩერებოდა. ენა ვერ იტყოდა, იმხელა საყვედურს, რასაც იმის თვალებში ვკითხულობდი.

ერთი სიტყვით, რუსი მესაზღვრეების უფროსმა გამოგვიცხადა, რო საზღვარი ახლიდან უნდა გავავლოთო, არასწორად იყო გალობილი და თქვენი სახლები ჩვენ ტერიტორიაზეა. სამ დღეს

გაძლევთ, რო თუ რამე გაქვთ წასაღები, აიკრიფოთ გუდა-ნაბადი და აქედან აახვიოთო.

ვერ ვიჯერებდი, ხან კაკოს შევხედავდი, ხან გურგენას, ხან ჩემ ბიჭს, რომელიც თვალებით მეუბნებოდა, რო რუსებთან შეკა-მათებას აზრი არა ჰქონდა. დავხარჯე, რაც კი რუსული სიტყვები მქონდა, ხელ-ფეხი მიცახცახებდა. რას შეასმენ... ცივი, გაყინული თვალებით მიყურებდნენ.

სამი დღის მერე, როგორც იმ ქერა ულვაშებიანმა, არაყით ხმაჩახლეჩილმა რუსმა მითხრა, თუ აქედან არ წავიდოდით, სა-ზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო დაგვიჭრდნენ, გაიგე, კაცო? აბა, დაფიქრდი, გაგეღვიძება შენს სახლში და დამნაშავე ხარ...

ჩვენებურები სხვებიც მოგროვდნენ. შევცეკეროდით ქვეშაფსია ბავშვებივით რუსებს და რა გვექნა, არ ვიცოდით. ბოლოს მოგვი-ტრიალდა ქერა ულვაშებიანი რუსი და გვითხრა:

- თუ გნებავთ, დაანგრიეთ თქვენი სახლები და მასალა გაზიდეთ, მაგის უფლებას მოგცემთო.

ჩემმა ბიჭმა ხელი მომკიდა, შემატყო, რო თვალთ და-მიბნელდა...



\* \* \*

სიკედილს ვნატრობდი, ამოდენა სახლ-კარის პატრონს საკუთარი ჭერი აღარ მექნებოდა ორ დღეში. თავის მოკვლაზე ბევრჯერ მიფიქრია, გაჭირვების ჟამს, სანამ ცოტა წელში გავიმართებოდი, მაპატიოს გამჩენმა, ამას რო ვამბობ, მაგრამ ცხოვრებას ისე მოუბეზრებია თავი... ჩემი თავისთვის ჩემივე ხელით გამომეყვანა წირვა, როგორც იტყვიან ხოლმე. თუმცა, ხვალინდელი დღის იმედით გადამიფიქრებია, სიმართლე გითხრა, ძაანაც არ მიყვარდა სიცოცხლე. თავი უნდა შეგაყვაროს რაღაცამ ან ვიღაცამ, ძალით სიყვარული არ გამიგია, ჩემმა სიცოცხლემ ვერ შემაყვარა თავი. როცა ლუკმა-პური გვენატრებოდა ყმანვილკაცობაში და თავის გატანაზე ვიყავით, ეგრე ავცქეროდი ცას და ჩემს ვარსკვლავს დავეძებდი, იქნებ მეპოვა, დამენახა, როგორ ანათებდა. რაღა ჩემი ვარსკვლავი გამოდგა უღიმლამო-მეთქი.

შევები ცხოვრებას. ბევრჯერ დამახეთქა, ბევრჯერ ამაცრუებინა გული ყველაფერზე, მაგრამ ღმერთმა ხელი წამაშველა, კარგი ცოლი შემახვედრა, ის მაქეზებდა ყველაფერში, ბრძოლისკენ მომიწოდებდა, ყურებჩამოყრილს რო დამინახავდა, ხელსა მკრავდა. ქალი რო ეგეთი უინიანი გყავს სახლში, შენც გესირცხვილება მერე...

შევები და წამოვიწიე, ოჯახი ოჯახს დავამგვანე, აღარ დავიწყებ თავიდან, მაგრამ რა გამოვიდა, სადღაც, ციმბირში თუ ურალში დაიბადნენ ჩემი ცხოვრების გამნამებლები, ჩემი წუთი-სოფლის ჩამშხამებლები. რა გამეკეთებინა, გაფიქრებაც არ მინდოდა, ჭირისუფლად მეჯდა ჩემი ბიჭი. ცოლს დაურეკა, ისიც ჩამოვიდა. ქალაქში წამსვლელი მე არ ვიყავი. მთელი სხეული მიკანკალებდა, სიცხე მომცა. სამი დღე მოგვცეს ვადა. სახლს ვათვალიერებდი და მეტირებოდა. მთელი ჩემი ჯანი და ღონე ამ კედლებს შევახარჯე და ახლა ჩემი ხელით უნდა დამენგრია, ან ისინი დაანგრევდნენ და აგურ-აგურ გაზიდავდნენ, ტურებივით იყვნენ ჩასაფრებულები. ბიჭი მამშვიდებდა, კოშკებს მიშენებდა, ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებო. მე ჩემი ფულიანი მძახლის იმედზე და კმაყოფაზე ვერ ვიქნებოდი, არ შემეძლო. ლუკმა რო ლუკმა, სხვისი მოწოდებული ერთი ლუკმაც არ შემიჭამია. იმათ

თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ, ქალაქური, მე – ჩემებური. ეს ჩემი ტალახიანი სოფელი დედამიწას მერჩივნა, აქ თუ ვერ ჩავყლაპავდი ჰაერს, ისე ვერ ვიარსებებდი.

ჩემს ცოლს არც გაუგია, რა ხდებოდა, რომც გაეგო... ერთ წერტილს უაზროდ იყო ჭერზე მიშტერებული და, ალბათ, თავისი ცხოვრების თითოეულ საათს, წუთს და წამს იხსენებდა, განვლილ წლებს მატყლივით ჩეჩავდა გონებაში. სიკვდილის წინ ადამიანი ყველაზე მეტად გრძნობს საკუთარ თავს და ყველაზე მეტად ეხილება თვალები. სხვისი მზერით უკირკიტებს თავის წუთისოფელს, მაგრამ აღარაფრის შეცვლა აღარ შეუძლია. თვალები გეხუჭება სიკვდილის წინ, მაგრამ ამ დროს გეხილება ყველაზე მეტად, იმას ხედავ, რასაც ვერასოდეს მისწვდებოდა შენი მზერა.

ჩემი ცოლი იქნებ ჩვენზე უკეთესადაც ხედავდა ყველაფერს და ჩვენზე მეტად გრძნობდა ამ უბედურებას. ეს ჩვენი ახალ-გაზრდობისდროინდელი საათი, ცხინვალში ნაყიდი, ძაან უცნაურად ხმაურობდა, თუ მე მეჩვენებოდა, არ ვიცი. არასოდეს მი-გრძნია ჩვენი საათის ისრების ეგეთი დაგა-დუგი. საათი ჩემს ჯიბრზე ხმაურობდა, თუ რა ვიცი. სამი დღე, სამჯერ ოცდაოთხი საათილა დარჩენოდა... ჩემს ჭერქვეშ და თითქოს გამეტებით იმიტომ სცემდა, ბოლომდე უნდა დახარჯულიყო. იქნებ მე მეჩვენებოდა. ყველაფერს სხვანაირი თვალით ვუყურებდი.

აივანზე გამოვედი, სანამ შეღამდებოდა. მერცხლის ბუდეებს შევხედე. ჩემს სახლთან ერთად ჩემი მერცხლების ბუდეებიც უნდა მოშლილიყო, მერცხლებისთვის როგორლა გამეგებინებინა, რაც ხდებოდა. როგორ მემტკიცებინა, რო მე არ ვიყავი იმათთვის ბუდეების მომშლელი, თბილ ქვეყნებში წასვლასაც არ ვაცდიდი, როგორ გაიგებდნენ? ბინდდებოდა და აივნის კუთხეებში ტალახით და თივით ამოყვანილ ბუდეებში მიყუჩებულიყვნენ.

ვეღარ შევიკავე თავი, ტირილი დავინწყე. ბოთე მომეგლასუნა ფეხებზე, თითქოს მანუგება, მერე იქით შეჰყეფა, სადაც ის არსახსენებლები იდგნენ.

დავნექი, ახალი შეღამებული იყო. გული გახეთქვას მქონდა. ალბათ, ეგრე მეწერა, რაღა მაინცა და მაინც ჩემი სახლი, რაღა მაინცა და მაინც ოჯახი... „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“-ო, ეგ ან-დაზა აღარ იარსებებდა ჩემთვის. ახლა უფრო გავიგებდი იმ

ადამიანების სიმწარეს, თავიანთი ნაწვალ-ნადაგი სახლებიდან რო გამოყარეს და აქეთ-იქით დაფანტეს.

ამ უბედურების ქარბუში, როცა ცოცხალი გადავრჩი, როცა ჩემს სახლ-კარს პწყალი არა ქონდა ავარდნილი, გარედან კი გამოვხატავდი წუხილსა და უბედურებას, მაგრამ სადღაც მაინც ვიყავი ბედნიერი, რო მე არ შემეხო ეს ყველაფერი და მივხვდი, რო აქამდე არა მტკენია, აქამდე არ მიტირია ამ უბედურებაზე, ვიდრე ჩემს სახლს არ მოადგნენ...

\* \* \*

ბოლო სიზმარი ეს იყო ჩემს სახლში, იმის მეტად აღარ მძინებია და აღარც სიზმარი მინახავს. დაძინებაც ეგ იყო და სიზმარიც.

რამდენი ხანი მეძინა, არ ვიცი. წვიმამ გადმოასხა, აივანზე ვინექი, დავსველდი და მაგ დროს გამომელვიძა.

სახლს ვაშენებდი სიზმარში. ჩემი ბიჭი ხარაჩოზე აგურებს მაწვდიდა. ვალაგებდი აგურებს, ვითომ კედლები ამომყავდა, მაგრამ ისევ ისე კი იყო. სარქისას სიცილი მესმოდა, ვერ ვხედავდი. ოფლი გადამდიოდა.

– უნდა მოასწრო, უნდა მოასწრო! – მიყვიროდა სარქისა და თან ხარხარებდა.

– რა უნდა მოვასწრო?

– დალამებამდე თუ არ ამოიყვანე კედლები, ისევ თავიდან მოგინევს, მზე თუ ჩავიდა, შენი აშენებული სახლი ისევ დაინგრევა.

– მომებმარე, – ვერ ვხედავდი, მაგრამ ვეხვეწებოდი სომეხ კალატოზს.

– მე უკვე აგიშენე სახლი.

– სად წავიდა, თუ ამიშენე?!

ჩემს ცხინვალელ მეგობარს აღარაფერი უთქვამს. მზეს ავხედე, უკვე ჩასვლას აპირებდა.

– რო ვერ მოვასწროთ, მამა? – მკითხა ჩემმა ბიჭმა, – იქნებ მზემ დაგვიცადოს და არ ჩავიდეს. ხო შეიძლება შევებრალოთ და ჩასვლა დააგვიანოს.

– შეიძლება, შეიძლება. შეევედრე და არ ჩავა.

დაიჩიქა და მზეს ხვეწნა დაუწყო. მზე ერთი ხანობა უძრავად იყო ცაზე, ფეხს არ იცვლიდა, მაგრამ ჩემს გამო რო აღარ დაღამებოდა ხალხს, ეს როგორ შეიძლებოდა?! შევხედე და ჩემი ძალლიც ადამიანივით მეხმარებოდა, აგურებს მაწვდიდა, ხან არეულ დუღაბს ამომიდგამდა ვედროთი ხარაჩოზე. თვალებს არ ვუჯერებდი.

ვერ მოვასწარი დასრულება, გამდნარ ოქროსავით ჩაიწურა მთის უბეში მზე და ვიგრძენი, რო ჩემ გამო დღე და ლამე არ შეიცვლებოდა.

\* \* \*

– დაშალეთო, მაგ ნაბიჭვრებმა, – თქვა ირაკლიმ და თვალები შემომაპარა.

ხმა არ ამომიღია, ვიდექი და ისე გავცექეროდი ჩემს სახლს, თითქოს კარგად მინდოდა, რო დამემახსოვრებინა, როგორი იყო ჩემი სახლ-კარი, ჩემი ნაწვალ-ნადაგი არე-მარე, თითქოს ჩემი ცხოვრების ფურცლები, ახალგაზრდობის წლები, სარეცხივით იყო აივანზე გაფენილი და სათითაოდ ვაკვირდებოდი. დავხუჭავდი თვალებს, გავახელდი, გრძელდებოდა ასე.

– იმათ დაიწყეს გამოზიდვა, – ჩაიბუტბუტა ირაკლიმ.

– ვინ იმათ? – უაზროდ ვკითხე, თან ჩემს ფეხებთან გაწოლილ ძალლს, რომელიც სახლიდან სიკვდილისთვის წასასვლელი (როგორც იციან ერთგულმა ძალლებმა) მზერით ამომცექეროდა.

– კაკომ და გუგემ, – გააგრძელა ირაკლიმ, – სახურავები აშალეს, რკინებს ეზიდებიან.

მომეჩვენა, რო ჩემი ძალლი ყმუოდა. სახლისკენ ვეღარ გავიხედე. შემატყო ირაკლიმ, რო წავიქცეოდი, ხელი მტაცა. თან

მამშვიდებლა, თან მტუქსავდა, – ცარიელ-ტარიელები დარჩა ხალ-სი, მაგრამ თავები არ დაუხოცავთ. ხო გითხარი, ყველაფერს მივხედავ-მეთქი, ამოწყვეტილები კი არ ვართ.

\* \* \*

– გამწყდი ახლა, – კაკომ კინალამ ყბაში გაჰქირა ვიღაც უცხო, ტანმალალ კაცს, უურნალისტები რო დასდევდნენ.

ოდნავ მოშორებით ევროპელი დამკვირვებლების ლურჯი, ანტენებიანი მანქანები ეყენა. უცხოელი დამკვირვებლები ჩვენს სიახლოვეს არც მოსულან, მოშორებით იდგნენ და დურბინდებით აკვირდებოდნენ რუს მესაზღვრეებს, რომლებმაც ეკლიანი მავთუ-ლები ქვევით-ქვევით გადმოწიეს და ჩვენი უბანი იქით მოიქციეს.

ენაჩავარდნილი ვიდეეჭი, თითქოს ვერც ვერავინ მხედავდა. ირაკლი ოდნავ წინ იყო, ხან ჩვენს სახლს გახედავდა, ხან უურნალისტებს მისჩერებოდა, ხან კაკოს, რომელიც ცოტა ხანში გინებაზე გადავიდა.

– ეგა ქენით აი, ეგა, თქვენი უნამუსო დედა... მგელი მგელიო და აგერა, მართლა მოვიდა მგელი, მიყურეთ ახლა ეგრე. ფეხებზე არა გკიდიათ ჩვენი უბედურება, ტელევიზორში გამოსაჩენად რო გინდათ მარტო, მანაკებოთ თქვენა, – გარშემო ვინც ეხვეოდა, ყველას აგინებდა... – გაგვეცი პასუხი აბა, ან მე, ან ამ კაცსა, – ჩემკენ გამოიშვირა ხელი.

მთელი ცხოვრება ამ სახლს შევაკალი და ჩემი ხელით ვანგრევ... ოდნავ მოშორებით კაკოს ცოლი – ლეილა მოთქვამდა. კაკოს ბიჭები, ამლილი ხეივნის მილებს ეზიდებოდნენ. სიკვდილი მინდოდა, მაგრამ ვინ მომცა მაგის ილბალი. სიკვდილსაც ილბალი უნდა.

ორი თუ სამი უურნალისტი ჩემკენ გამოემართა. ის უცხო კაცი, თხელწვერიანი, კაკომ რო ხელის კვრით მოიშორა, ომა-ხიანად გაიძახოდა:

– ამაზე მეტი უბედურებაც გვინახავს, მაგრამ არ წავქცეუ-ლვართ. თავიანთი ხელით აიღებენ მავთულხლართებს. აი, ნახავთ,

თუ არ აიღებენ, მთელი მსოფლიო გვიყურებს, ხმა უნდა ამოვიღოთ...

კაკო უარესად გამნარდა.

— ვინ მთელი მსოფლიო, ვინ გვიყურებს, — არც წაიღო, არც წამოიღო და თხელწვერიანს, ვერ გეტყვი პოლიტიკოსი იყო თუ ვიღაც ჯანდაბა, შიგ სახეში შეაფურთხა.

მეგონა, რო ის უცხო კაცი კაკოს ობოლი კნუტივით ამოიღებდა იღლიაში, მაგრამ ფეხიც არ გაუნდრევია, ცხვირსახოცი დინჯად ამოიღო, ფურთხი მოინმინდა და ისევ გააგრძელა.

— რატო გვიდით ასე?

— მგონია კი არა, ცხოვრება დამენგრა, შენი დედა მ...ნ — გაინია კაკომ, მაგრამ იმ თხელწვერიანის მხლებელმა ახალგაზრდა ბიჭებმა გზა გადაუღობეს, — წადი, ჩამოიყვანე შენი ცოლ-შვილი და აქ იყავი... ესენი გიშველიან? ამათი იმედი გაქვთ? — დამკვირვებლების მისამართით სამსართულიანი გაუშვა, — წყალს არ დაგალევინებენ და ზამთარში თოვლს არ მოგცემენ. ემაში იღებენ ეგენი ხელფასს, ჩვენი უბედურების ცქერაში... შენნაირებიც უნდა არსებობდნენ, ამ საქმეს ეგრე „აჭირდება“. კაკო, არსენა და გუგე, ვის რა ფეხებზე გვიდით.

ის ორი უურნალისტი, როგორც ახლად ხორცს მისეული კრაზანები, ვერაფრით მოვიშორე, ნერვები კბილებით მეჭირა. ერთმა მაღალმა ჭორფლიანმა გოგომ ლამის ცხვირზე მომადო მიკროფონი. შევბლვირე, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი. ქალისთვის რა მეთქვა, კაცები უარესები იყვნენ. სეირის საყურებლად უფრო მეტი ხალხი გამოჩენდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ მანქანები. სულ უცხოები იყვნენ, ვერავინ ვიცანი. ერთი ჩვენს გამგებელს მოვკარი ამდენ უცხოს შორის თვალი. გამტკნარებული სახით იდგა. ვერც მოდიოდა ახლო, რომც მოსულიყო, რა უნდა ეთქვა. ის რას მიშველიდა, ან საერთოდ ვინ იყო ჩემი მშველელი.

ის ჭორფლიანი გოგო, უკან რო ჩაგვერა ბიჭი დასდევდა გადამღებით, ხან აქედან მომივლიდა, ხან იქიდან.

— რას აპირებთ?

მუნჯივით ვიყავი, თითქოს ენა დამხორცებოდა.

— უკაცრავად, სულ ორი სიტყვით გვითხარით, როგორც გვითხრეს, თქვენი სახლიც იქით რჩება და რას ფიქრობთ...

ირაკლიმ მომაცილა უურნალისტები, ხელი გამიყარა და გვერდით გამიყვანა. უკანასკნელ წუთებში იყო ჩემი ცოლი, სულს ებრძოდა.

უკანასკნელად ავედი ჩემი სახლის კიბეზე, სუნთქვა მიჭირდა. წავპორძიკდი, მეზობლის სახლებს გავხედე, უკვე მოესწროთ კაკოს და გუგეს სახლების დაშლა. იფიქრებდი, რო კარგა ხნის მიტოვებული იყო მათი ნასახლარები.

— დღეს უნდა დავტოვოთ სახლი... — დაიჩურჩულა ირაკლიმ, — ვანოს სახლში გადავიყანოთ დედაჩემი, სხვა გზა არ არის.

მივედი, ვთხოვე მესაზღვრეებს, კვდება ქალი და ორიოდე დღე დაგვაცადეთ, რო საკუთარი სახლიდან მაინც გავასვენოთ-მეთქი... მაგათი...

შევედი და ვერც შემამჩნია ჩემმა ცოლმა. სუნთქავდა, მაგრამ უკვე იქით იყო. ვგრძნობდი კატოს წასაყვანად ჩამოსული ანგლოზები ტრიალებდნენ ჩემს სახლში, მაგრამ ვერ ვხედავდი...



\* \* \*

— ბიჭებს მოგახმარ, თუ გინდა, — ალალად მითხრა გამგებელ-მა. ვატყობდი, რო ძაან შევეცოდე, — ცოტა რაღაც მაინც გამოიტანე, სასახლვარე ნაკვეთს მოგცემ...

— რა გამოვიტანო? — შეეხედე და მეგონა, რო სხვისი ხმა ამომივიდა, ეგეთი ხმა არასოდეს მქონია. როგორ არ გავბრაზე-ბულვარ, როგორ არ გავგიუჟებულვარ, როგორ არ დავდარდიანე-ბულვარ, მაგრამ ეს სხვანაირი ხმა იყო, სადღაც შენახული ამ დღისთვის.

— რკინები წამოიღე, ავეჯი გამოიტანე... რავი... — მხრები აიჩეჩა, — სავსე სახლი გაქვს.

— ვიფიქრეთ, მე და ჩემმა ბიჭმა მაგაზე, მაგრამ... — სიტყვები რო ამომდიოდა, ვგრძნობდი როგორ ისერებოდა სული, — არაფერი გამოვა. ვერც მე ვერაფერს გამოვაცლი ჩემი სახლის კედლებს და ვერც ირაკლი. რაც არი, ეგ არი...

ერთი ხანობა ჩემი ბიჭი წავაქეზე:

— მიდი, აივნიდან რკინის მილები აყარე, ხეივანი დაშალე-მეთქი.

სიმართლე გითხრა, ვიცოდი, რო ამის გამკეთებელი არ იყო, მაგრამ მაინც გამოვცადე, რისთვისაც გამოვცადე ძნელი მისახ-ვედრი არ არი.

მწარედ გაელიმა, ხელი ჩაიქნია, არაფერი მითხრა, მიხვდა, რო ვცდიდო.

\* \* \*

ჩვენი ბიძაშვილის — ვანოს სახლიდან გავასვენეთ ჩემი საცო-დავი ცოლი.

ვერ ვიჯერებდი, რო კატოს ცხედარს მივყვებოდი. ტირილი მინდოდა, მაგრამ ცრემლი არა მქონდა, ეგრე გამშრალი მივდევდი. არცა ჩანდა კუბოში, ისე იყო ჩამქრალი, მიწისთვის ხორცი არ დაეტოვებინა, ცარიელა სუდარა იყო.

მივდიოდი, უფრო სწორად მივათრევდი ფეხებს. მეზობლები მიდგნენ აქეთ-იქით, მამხნევებდნენ. თითქოს მთელი ცხოვრება წინა მქონდა, სხვა ცოლს შევირთავდი, კატოს უცბად დავი-ვიწყებდი და ახალი ფურცლიდან დავიწყებდი ყველაფერს. ჩემი ბიჭიც გვერდით მომდევდა, ისიც ცრემლგამშრალი. მაღ-მალე შევალებდა ნათესავების მხრებზე შედგმულ საკაცეს თვალს, მაშინ შევამჩნიე, რო ნაადრევად გატეხილიყო, უდარდელა და ფეხებზე მკიდია რო მეგონა ერთავად, დარდიანი კაცი ყოფილა. დედის სიკვდილის მერე გამოეფინა სახეზე, რაც რამე დარდი ჰქონდა.

ვანოს ეზოში დავასვენეთ უკანასკნელად, ვიდექი და დავც-ქეროდი. ჩვენი ცხოვრების სიზმარი თითქოს აქ დასრულდა, აქ გაილია ის ბედნიერი ლამე, ერთად რო ვიყათ.

— რა იქნებოდა, შენს სახლში დაეტირებინე უკანასკნელად შენს ქმარ-შვილსა, კატოო, — წამოიტირა ჩემი ბიძაშვილის ცოლმა.

თვალთ დამიბნელდა. წყალი დამალევინეს. კუბოსთან ჩამოვ-ჯექი, გაყინულ შუბლზე ვეფერებოდი, ცოტა ხანში მეც ხო იგივე დღე მელოდა. ან რაღა საცოცხლებელი ვიყა.

ახალ სასაფლაოზე დავკრძალეთ. სასაფლაოც ხო იქით მოექ-ცა, ეკლიანი მავთულების იქით. იქით დარჩნენ ჩვენი მიცვალებუ-ლები, კატოს მშობლებიც იქით იყვნენ, ჩემებიც.

ახალი სასაფლაო სიფლის ბოლოში მოზომეს ჩვენებურებმა. ტრიალი მინდორი სასაფლაოდ ჩემმა ცოლმა გადააქცია, პირვე-ლად მისი სამარე გაიჭრა.

დავტოვე მარტოდმარტო ჩემი ცოლი და წამოვედი. მე ვერ ვუყურე, მიწა როგორ მიაყარეს, აქეთ გამოვედი, უფრო სწორად გამომიყვანეს. მიწის გრუხენის ხმა გაისმა და მომეკვეთა ფეხები. ცოცხალი კი ვიყავი, მაგრამ ვიგრძენი, რო მეც დავმთავრდი.

პატარა ქელეხი გადავუხადეთ. დიდი სუფრის გაკეთებას აპი-რებდა ჩემი ბიჭი, მაგრამ ვისთვის გაეკეთებინა, სადღა იყო ხალხი. ჩვენებური მღვდელი მამშვიდებდა, კატოს სულზე მესაუბრებოდა. სიმართლე გითხრა, ნახევრად ვუსმენდი. მე ამქვეყნისა უფრო მწამდა. სამოთხეც აქ არი და ჯოჯოხეთიც, ვისთვის როგორ.

— კატოს სული ორმოც დღემდე თავის ჭერქვეშ იტრიალებს, ორმოცი დღის მერე დატოვებს ოჯახს მიცვალებულიო, — მამა

ანდრომ მითხვა. ლოცვების წიგნი მაჩუქა, – დილა-სალამოს გარდაცვალებულების ლოცვა წაუკითხეო. ისედაც მადლიანი ქალი იყო და სამოთხეში მოხვდება, მაგრამ ლოცვებითაც წაეხმარეო.

ჩემს ლოცვას რა შეეძლო, მამაოს ნაჩუქარ წიგნს დავცექეროდი და კატოზე მედარდებოდა. ცარიელ სასაფლაოზე, შემოლობილიც რო არ იყო, მარტოდმარტო რო დავტოვე. სულ მარტოობისა ეშინოდა ხოლმე, ირაკლი რო ქალაქში მიდიოდა, მაგაზე მოთქვამდა:

– რა გვეშველება, რო აღარ დაბრუნდესო.

ახლა სულ მარტო დარჩა. სანამ მე მოვკვდებოდი, ეგრე იქნებოდა და უნდა გაეძლო რამენაირად. ორმოცი დღე მისი სული თავის ჭერქვეშ იტრიალებს და მერე ცაში წაიყვანენ ანგელოზებიო. სადღა მქონდა ჭერი, ან ოჯახი სადღა ჯანდაბაში მქონდა. გადაღობილში დარჩა ჩემი სახლ-კარი და კატოს სული, ალბათ, იქ იტრიალებდა ორმოცი დღე. სულს ხო ვერ დაინახავდნენ რუსები, ორმოც დღე მიხედავდა იქაურობას ჩემი ცოლი და მერე... ცაში ამაღლდებოდა. ცაც იქით იყო, ცაც ჩემი სახლიდან იწყებოდა.

ბალის ბოლოში ფარდული გადავაკეთეთ საცხოვრებლად მე და ჩემმა ბიჭმა. ათასი წვრილმანი რაღაცები გვეყარა ხოლმე, გამოვყარეთ ის ყველაფერი და იქ ვათენ-ვალამებდით. გადაღობილში დარჩენილ სახლს იქიდან გავცექეროდით. კოვზი რო კოვზია, ის არ გამომიტანია, ეგრევე დავტოვე. ვერაფერს ვერ მოვაკლებდი იქაურობას. ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც დავტოვე, მაგრამ რას გააჩერებდნენ ციმბირიდან ჩამოთრეული წუწეი იფიცრები, მიჰქონდათ ყველაფერი. ამას აღარ ვჩიოდი, წაეღოთ, ოღონდ არ დაენგრიათ. საკუთარ სახლს რო ბუჩქებიდან უყურებ და იქ მისვლის უფლება არ გაქვს, ამას ცხოვრება არ ჰქვია. ეს არის სიკვდილზე უარესი სიკვდილი. მერე.. – ნიკაპი აუკანკალდა, ცრემლები ვეღარ შეიმაგრა, – რა ვიცი, იტყვიან ხოლმე, ალბათ, ეგრე იყო საჭიროო, ვერ ამიხსნია, რატო უნდა ყოფილიყო ასე საჭირო. მაინცა და მაინც ცუდზე, უბედურებაზე უნდა ვთქვათ რო ეგრე იყო საჭირო, იმიტომ, რო ვერაფერსა ცვლი, უმწეო ხარ, კნუტივით უმწეო.

ორმოცი დღე იქ იქნებოდა კატოს სული. თავის არე-მარეს მოეფერებოდა და მერე წავიდოდა ღმერთთან. მეც იმას ვნატ-რობდი, იმ ორმოცდლიან ყოფას ვნატრობდი, მაგრამ ხო ვთქვი სიკვდილსაც იღბალი უნდა. ჩემ სახლად ახლა ჩემი ცოლის საფ-ლავი იქცა. ყოველდღე იქ ვიჯექი, თვალებს დავხუჭავდი და ასე მეგონა, რო ჩემს სახლში ვიყავი. ესე, გვერდი-გვერდ ვისხედით მე და კატო და რაღაცეებს ვიხსენებდით.

გამიქვავდა მოგონებები, მთვარე ისე წამომადგებოდა ხოლმე თავზე, ვერც კი ვიგებდი. ჩემი ბებერი ძალლი გვერდიდან არ მშორდებოდა, იწვა საფლავის გვერდით და თვალებით მისამძიმ-რებდა. ენა არა სჭირდებოდა ძალლის სამძიმარს, ისედაც მაგე-ბინებდა. როგორც მე დავპერდი უცბად, ისე ის დაჩაჩანაკდა, ბოთეზე გეუბნები. ძლივსლა დალასლასებდა, მაგრამ მაინც უკან დამდევდა. სამნი ვცხოვრობდით ბალის ბოლოში რო ფარდული გვქონდა მე, ჩემი ბიჭი და ბებერი ბოთე (ირაკლის მოყვანილი ლეკვი იყო და სახელიც იმან დაარქვა).

ზაფხული ისე გავიდა, ვერც კი გავიგე. ველარც მზეს ვხე-დავდი და ველარც ცას. ჩემი სახლის აივნის ბოძებზე თავიანთი ბუდეები ნაადრევად მიატოვეს მერცხლებმა, ფარდულს დასტრია-ლებდნენ, შემოგვულურტულებდნენ. მერე, ბუდის გასაკეთებელი ხეირიანი ადგილი ვერ ნახეს, თუ აქ გული აღარ უჩერდებოდათ, თბილ ქვეყნებში წავიდნენ. იქ, ალბათ, ხელუხლებელი დახვდე-ბოდათ ბუდეები. გავცემოდი და ვტიროდი, მერცხლებიც დავ-კარგე ყველაფერთან ერთად.

– ისევ ჩამოვლენ, – მანუგეშებდა ჩემი ბიჭი, – ვიცი მე მერცხლების ამბავი, თავიანთ კერას არ მიატოვებენო.

სადღა იყო კერა. ცარიელ სახლს, უფრო სწორად ნასახლარს, როდის იყო მერცხლები უბრუნდებოდნენ.

\* \* \*

– ბოთეე! ბოთეე! – ვეძახდი, ვუსტვენდი, არსად ჩანდა.

აქამდე, ერთს გავძახებდი თუ არა, ფხაჭანს მოიტანდა და ფეხებში გამიგორდებოდა ხოლმე. გადავატრიალე ყველაფერი,

სად ალარ ვეძებე, ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩერიკე, ხან შინდების ქვეშ ვეძებე, ხან ძველი საღორის უკან შევძვერი... ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერ გავიგეთ.

გული ამომივარდა ძებნაში, ისედაც სუნთქვა მიჭირდა და ლამის სული ამომივიდა. ქვაზე ჩამოვჯექი, ირაკლიც შემოვიდა.

— არსადა ჩანს, სად ალარ მოვიკითხე.

წინა დღეს სასაფლაოზე რო გამომყვა, თვალებში ვატყობდი, რო დიდი დღე ალარ ჰქონდა და გეგონება სადგისი ჩამარტყეს, ზურგში, ისე წამოვხტი.

— ხო არ მოკვდა... — ვთქვი და ჩემს ბიჭს შევხედე.

ირაკლი გაფითრებულ სახეზე მომჩერებოდა, შეეშინდა, არა-ფერი დაემართოსო.

— რა ჰქონდა სასიკვდილო, — შეიცხადა, თუმცა, ჩემს სანუ-გეშოდ უფრო თქვა.

რაღაც ისეთი ძალა მომეცა, ასე მეგონა, სხვისი ფეხებით გავრბოდი.

— სად მიდიხარ, კაცო, — მომადევნა ჩემმა ბიჭმა, — მამაა, სად მიდიხარ-მეთქი, — ბოლოს ისიც უკან გამომყვა.

გული მეუბნებოდა, რო იქით გადავიდოდა ჩემი ძალლი.

წამომეწია ირაკლი.

— იქით იქნება.

— სად იქით,

-- ჩვენ სახლში!

— ბოთე! — გასძახა ირაკლიმ, მერე ჩაუსტვინა.

ეკლიან მავთულებთან ახლოს მივედით, გავხედე და შემომტირა ჩემმა კარ-მიდამომ. ვაზი ძირს ეყარა, ჭანგა და ჭინჭარი წამოსულიყო ეზოში...

ვუყურებდით და შორიდან, თვალებით ვეფერებოდით ეზოს, ცარიელ კედლებს.

ენკენისთვის მზე ადგა აივანს. აქედან გახიზნული მერც-ხლების ბუდეებში იმაღლებოდნენ მოდლევებული შემოდგომის მზის სხივები.

კიბის ქვეშ იწვა ბოთე.

— აგრა, სადა ყოფილა, — ირაკლიმ შეამჩნია.

თვალები გამიპრწყინდა, თითქოს ჩემს სახლში დაბრუნების უფლება მომცეს და პირველი ბოთე შევიდა. ძაღლს გავდახე.

ირაკლიმ ჩაუსტვინა და კენჭი ესროლა და მაგრამ არ განძრეულა. პირქვე იწვა, სახე ეზოს მხარეს ჰქონდა.

– ბოთე!

ბოთეს არც ჩვენი ხმა გაუგია და არც კენჭის შეხება უგრძვნია.

შევხედე და ზუსტად ისეთი თვალები ჰქონდა ირაკლის, როგორიც მაშინ, სახლის დაცლა რო მოგვთხოვეს რუსებმა.

15 ენებისთვისა,  
2019 წელი, დიცი



## სოლომონ ნერგაძე

### იუნონა

იუნონა - ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. სატურნის შვილი. იუპიტერის თანამგზავრი და მეუღლე. ქვისააო, ასტრონომები ამბობენ.

იო - იუპიტერის თანამგზავრი. აღმოაჩინა გალილეიმ 1610 წელს.

აუდიტორიის კედელზე სურათების და გამოსახულებების ცვლას ჭარმაგი მომხსენებლის იდნავ ბოხი ხმა მიჰყება. სურათების ცვლასთან ერთად ხმაც იცვლება - ხან სწრაფად, გეგონებათ ერქარებაო, ხან ნელა, თითქმის დამარცვლით. თეთრ დაფაზე ერთმანეთს ცვლიან ადამიანები, ცხოველები და ლათინური ოთხი ფერადი ასოს კომბინაციები, შიგადაშიგ დეფისებით შევსებული სიცარიელებით.

- აქ წარმოდგენილი შედეგები ადასტურებენ, რომ ადამიანისა და ძველი სამყაროს მაიმუნების გენომთა ნუკლეოტიდური თან-მიმდევრობების მსგავსება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ადამიან-სა და შიმპანზეს შორის. მათი შედარებითი ანალიზი ამტკიცებს ანტროპოლოგთა ადრე წამოყენებულ თეორიას, რომლის მიხედვით ჩვენი უახლოესი ევოლუციური ნათესავი, დავარქვათ ბიძაშვილი, სწორედ შიმპანზეა.

- გორილა?! გორილა სადაა, ევოლუციურ ხეზე? - სტუდენტის შეკითხვაზე მომხსენებელა სახე უნათდება.

- გორილა მაღლა ვერ ადის. მძიმეა. შიმპანზეს ქვემოთა ტოტ-ზეა. ადამიანი და შიმპანზე გაცილებით უფრო მოხერხებულები არიან. - ლიმილით პასუხობს სტუდენტს. - სერიოზულად კი, გორილა გარე ბიძაშვილი გამოდის. ჩემთვის რომ ეკითხა, - თითო ჭერს დაუმიზნა ლექტორმა. - გორილას ვამჯობინებდი ბიძაშვილად.

- რატომ? - ფეხზე სხვა სტუდენტი დგება.

- ბიძაშვილი მყავს, გორილასავით კეთილია და დიდი. - პროფესორთან ერთად აუდიტორიაც იცინის. იგი სავსეა სტუდენტებით, დოქტორანტებით, პროფესორებით.

დიდი ხანია, არ შეხვედრია კოლეგებს და მეგობრებს. არც პროფესორ-მასნავლებლებს, რომელთათვისაც „ყოფილი“ არასოდეს უკადრებია.

ორი ათწლეულზე მეტია, საზღვარგარეთ მუშაობს. სკაიპით და ინტერნეტით ხშირი კავშირი ვერ შეედრება ცოცხალ ურთიერთობას აუდიტორიაში თუ, საღამოობით, რომელიმე კოლეგის ან მეგობრის სახლში.

აუდიტორის განწყობა თბილია და ღიმილიანი. სემინარი დასასრულისკენ მიდის. კითხვებისა და დისკუსიისთვის მეტი დრო მოიტოვეო, სთხოვეს დასაწყისში.

- ბიძაშვილის გამო არა. რომ გამიგოს, როგორ კონტექსტში ვიყენებ თვალსაჩინოებისათვის, არაა გამორიცხული, გამლახოს. თუმცა, არა მგონია, გამიმეტოს. გორილასავით კეთილია... საზოგადოების მოწყობისა და ქცევის წესებით გორილა სჯობს ორივეს, შიმპანზესა და ადამიანს. ამათ ბევრი რამ აქვთ ერთმანეთისგან გადაწერილი. ძალიან ვგავართ ერთმანეთს. გორილას საზოგადოება გაცილებით თბილია და სამართლიანი. ბავშვებისა და მოხუცების პატივისცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ადამიანებს კიდევ ბევრი გვიკლია მათ დონემდე.

- შიმპანზესაც ამითაცალა ნეკნი, მისთვის მდედრი რომ შეექმნა?! - ყველასგან პატივდებული პროფესორის ხმაა. ნაცნობი, ფართო ღიმილი ახლავს მის შეკითხვას თუ რეპლიკას.

- ნეკნი?! - იმეორებს მომხსენებელი და აუდიტორიას შეჰყურებს. - გაინტერესებთ ჩემი აზრი? - შეკითხვა უფრო ახალგაზრდებისადმია მიმართული. აუდიტორია ცოცხლდება. უმეტესობა თავს უქნევს თანხმობის ნიშნად. - ვეჭვობ, აქ კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართება ევოლუციონისტებსა და კრეაციონისტებს შორის. თუ ნებას დამრთავთ, რამდენიმე არგუმენტს მოვიტან. არ ჩამითვალოთ შემრიგებლურ ან „არც მწვადი დაწვა, არც შამფური“-ს პოზიციად. „In medio stat virtus“, ლათინთა ამ ნათქვამს ყოველთვის არ ვეთანხმები. შეიძლება, ჩემზე ადრეც გამოუთ-

ქვამთ იგივე აზრი, გნებავთ, იდეა. არ ვიცი, არ წამიკითხავს სხვა-გან. ჩემი ბრალია, ვეღარ ვუთმობ ბევრ დროს ზოგად საკითხებს. ნეკნის არაკი და ისტორია, უალრესად საინტერესოა... - მომხსე-ნებლს ხმა უწყდება. აუდიტორიაში „მაპატიეთ, დამაგვიანდა“-ო, ქალი შემოდის და თავისუფალ სკამზე ჯდება. ხელჩანთას დაუ-დევრად აგდებს იატაკზე. აუდიტორიას ხლის ქნევით ესალმება. დამაგვიანდა, იმეორებს და დამნაშავესავით ულიმის მომხსენე-ბელს, რომელიც აუდიტორიაში აღარაა. რამდენიმე ათეული წლის წინ გადატყორცნა დროის თუ მექსიერების მანქანამ - უნივერსი-ტეტის პირველი კორპუსის წინ, „ჩაის სახლში“.

\* \* \*

ყველა დროის უნივერსიტეტელის საყვარელი ადგილი - „ჩაის სახლის“ დარბაზი, მაგიდაზე ჩაით, ცოტა ნამცხვრით და გაცხა-რებული, დაუნდობელი, კამათით...

ყველა ყველასთან ყველაფერზე კამათობდა.

მათემატიკოსი უჯრედში მიმდინარე პროცესებზე ლაპარა-კობდა.

ფიზიკოსი სოციოლოგიური მეცნიერების ნაკლოვანებებს ისე აკრიტიკებდა, სოციოლოგებს რცხვენოდათ, ჩვენ რატომ ვერ შევამჩნიოთ აქამდე?!...

ბიოლოგები და ქიმიკოსები ერთმანეთს ხმის ჩახლეჩამდე უმტკიცებდნენ თავიანთ სიმართლეს ფერმას თეორემის შესახებ - ფერმას ადგილი არ ეყო, მათემატიკურად დაემტკიცებინა ან, უბრალოდ, წაიტრაბახა და არც ჰქონდათ დამტკიცებული. ბიო-ლოგები თუ ფერმას მხარეს იყვნენ, ქიმიკოსები საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. თუ ბიოლოგები მის აფერისტობას ახსენებდნენ, ესენი ფერმის მხარეს იჭერდნენ და გააფთრებულები იცავდნენ აღვირასნილი ცილისწამებისგან...

ფიზიკაზე და ფიზიკის კანონებზე ყველა ლაპარაკობდა ფიზი-კოსების გარდა... ფსიქოლოგი ისე მწყობრად ჩამოგიყალიბებდათ ფარდობითობის თეორიის ზოგად და ფილოსოფიურ ასპექტებს, პროფესორ მირიანაშვილს შეშურდებოდა. ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტელების ფსიქოლოგიურად გამართული, თვითდაჯერებული ტონით ნათქვამი - მხოლოდ ჰიგგსის ბოზონის

აღმოსაჩენად ღირსო დიდი კოლაიდერის აგება - მსმენელებს არა მხოლოდ შეპასუხების, ეჭვის ნატამალსაც კი არ უტოვებდა. ცერნის მშენებლობა ის-ისაა იგეგმებოდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, უჭირელად შეადგენდნენ პეტიციას დიდი კოლაიდერის ასაშენებლად და ხმების მოგროვებას შეუდგებოდნენ.

მათემატიკოსები ცილების კრისტალიზაციაზე და დნმ-ის სარეპარაციო სისტემების ავ-კარგიანობაზე ისე მსჯელობდნენ, ზოგიერთმა ბიოლოგმა გამოცდაც კი ჩააბარა მოუმზადებლად. კრებსის ციკლის განხილვას ვერ დაესწრო ერთი. - ბებია მყავდაო ცუდად, არაფერ შუაში იყო. „ჩაის სახლის“ ლექცია-სემინარებზე საკურსო უურნალით აღრიცხვიანობას არავინ აწარმოებდა. - გააცდინა და მეორე დღეს ბიოქიმიაში ხუთიანი ვერ მიიღო. რომ დასწრებოდა, გარანტირებული ჰქონდა მაქსიმალური შეფასება.

ფილოსოფოსები იყვნენ მომგებიან მდგომარეობაში. ყველა-ფერზე და არაფერზე ლაპარაკობდნენ. ხდებოდა, ფილოსოფიურ საკითხებზეც უკამათიათ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ფილოსოფოსს ვუთხარი - კალენდრის ახეული ფურცლის უკანა მხარეზე ამოვიკითხე, - კანტი ისეთი ზუსტი და ზედმინევნით პედანტი იყო, მისი კენინგსბერგელი მეზობლები საათს კანტის კუტიკარის ჭრიალზე ასწორებდნენ-მეთქი. ზუსტად ასე ენერა კალენდრის ფურცელზე. თურმე, ყოველ დილით, არც მეტი, არც ნაკლები, ექვს საათზე ალებდა კუტიკარს და სასეირნოდ გადიოდა. ფილოსოფოსმა ისე შემომხედა, საკუთარ ჯარმრთელობაში შემეპარა ეჭვი. გვერდის ჭვალიც ვიგრძენი და გული ამიჩქარდა, კიდევ, არაბუნებრივად. ხდებოდა კი ასეთებიც. წამალი კარგი და ზედმინევნით გამოცდილი გაგვაჩნდა. ჩაის ჭიქაში, სურნელოვან ჩაიზე სხვათა არდასანახად დამატებული არყის დადებითი მოქმედება - ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომელიც საკამათო არასოდეს გამხდარა.

ასე რომ, თუ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პირდაპირ, „ჩაის სახლში“ არაა ნამყოფი, სტუდენტობის გემო ვიციო, არავინ თქვას!...

„ჩაის სახლში“ შეკრებილი ბიჭები, როგორც ყოველთვის, ახლაც დაუნდობლად არკვევდნენ, ადამიანის ცნობიერი უფრო ფართოა თუ ქვეცნობიერი.

შიგადაშიგ, კამათი ისეთ სიმაღლეს აღწევდა, დეიდა ნინო ჯერ წარბს ასწევდა და თუ არ კმაროდა, ხმას აუწევდა.

- კარგი რა, დეიდა ნინო!... არაყს ხომ არ ვასრამთ ლიად?! არ გვაქვს დღეს.

- დაუწიეთ ლამპას!... და, ხმასაც. - უღიმის ბიჭებს ქალბატონი ნინო.

- ერთი ბოთლი დევიჯერო, არ გაქვენ, გადამალული?!... - რადიოფიზიკოსს სხვებზე მძაფრად ეტყყობოდა ნაბახუსევის კვალი. ხვეწნა-ვედრებისას ზემოიმერულ კილოზე გადადიოდა. - ზედმეტი მოგვივიდა გუშინ, დეიდა ნინო, კანტით დევიწყეთ, ცოლიკურით გავაგრძელეთ და არყით დავამთავრეთ. ლრმას ამას ფილოსოფოსსა, იომ შაარქვა სპინოზა, წაგვიქადაგა, რათ არ სომთ ჯერ არაყს, მერე ღვინოსა... სარკეში რო ჩევიხედე, დეიდა ნინო, გედვირიე-ლარმე!... არ გვიშველა ლექციებმა...

- გალაკტიონს რას ერჩი?!... ჩუმად მოდი, დაგალევინებ. სუსი არ გავიგონო, ოლონდ! - ბიჭებმა პირი დააღეს, ასე უცებ მომბალი დეიდა ნინოს დანახვაზე.

- მარტო მე არა. ესენიც დეიდა ნინო!... ბარემ მარილიც მოაყარეთ! - მოხდა სასწაული. დეიდა ნინომ კერამიკის საშუალო ზომის ჩაიდნით თავისი ხელით მოუტანა ბიჭებს მწვანე ჩაი. განზავებულიაო, ჩაილაპარაკა ოდნავ გასაგონად.

- დაგლოცავთ ღმერთი, დეიდა ნინო!

- თქვენმა მშობლებმა არ დამწყევლონ, სხვას არ დავეძებ.

- გაუმარჯოს დეიდა ნინოს, ყველა დედას, ყველა ქალს გაუმარჯოს! - ბიჭების გასაგონად მოეფერა საკუთარ ჭიქას ნაბახუსევზე იოლად გამოსვლის იმედმოცემული გადმოლიტერატურულქართულებული რადიოფიზიკოსი. დიდი ყლუპი მოსვა, შეისვენა. კიდევ მოსვა. ორიოდე წუთით გაყუჩდა და დაწმენდილი თვალებით მოათვალიერა ბიჭები. - რაო, რა მინდაო ფროიდმა?!...

- ა, კიდო!... ახლა, ფროიდზე აგვაპოჭიკე და გვაბლავლე!... წეილებს უკან ნინო დეიდა საჩუქარს... მარცხი ელანძეა!...

- შებრუნებულზე უყვარს კამათი!... უყვარს და რა ქნას?! - დაიცვა რადიოფიზიკოსი ლიტერატორმა.

- სიყვარული მართლა ბრმა თუ სუულ ცოტათი, ოდნავზე უფრო ნაკლებად ახელს ცალ თვალს?! - საუბრის სხვა არხში

გადაგდება სცადა ნახევარგამტარმა. ასე ნახევარგამტარების ფიზიკის სტუდენტს ეძახდნენ მეგობრები.

- იმედი მაქს, პრმა და ყრუა... თორემ დავილუპე და ეგაა! ჩემი ბლუკუნის გაგონება ვის აუჩქროლებს გულს?! - ეჭვიანია და კინალამ უიმედო, ასპირანტი.

- ყველა ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავს!... - უღვივებს იმედს მათემატიკოსი. - თავს თუ შეიკავებ და არაფერს იტყვი ხელის მოწერამდე, ჩალხანის გამოჩენის ალბათობა გაიზრდება. - ხანდახან მეც წამომივლის მაცდური აზრი. მეც ხომ არ, ა?... ბიოლოგისკენ... რას იტყვი?

- მათემატიკა არ გეყო, მთები არ...

- მოიცა, მოიცა!... - არ დაამთავრებინა მათმატიკოსმა - შენ ფიზიკიდან გადახტი უჯრედზე. მათემატიკოსებს გვიკრძალავ თუ აკრძალეს და არ ვი...

- აკრძალული არაა. - ახლა იომ შეაწყვეტინა. - მათემატიკოსებს დიდი ცოდვა მიგიძლვით. ხომ არ დაგავიწყდა, რატომ ამოგილოთ ნობელმა სიიდან?!... მართლა რო გამოჩნდეს ჩალხანა და შენც იგივე ქანა?!... მოკლედ მიხედე მათემატიკას და მთებს. ევერესტიდან თუ გადმოხტები უჯრედზე, კაცობას გეფიცები, ჩავიჩინჩებ! გპირდები! - გულზე დააიდო ხელი იომ.

- თუ მპირდები, მეც გპირდები, გადმოვხტები!... ოლონდ რბილი ადგილი გამითავისუფლე. ძალიან მაღალია ევერესტი... - მათემატიკოსმა თვალებით გაულიმა იოს. უფრო სწორად, იოს უკან, კედელს გაულიმა.

- დაკა ხელი, გელოდები!... - იომ შემოგებებულ მარჯვენას დაჰკრა ხელის მტევანი - ახვალ ოხერრო!... უნდა ახვიდე! - თავისკენ მიიზიდა და ყურში ჩასჩურჩულა. - ინფორმატიკას დიდი სამუშაო ელის უჯრედის ბირთვში. არ ააცილო!... პირდაპირ ბირთვზე უნდა დახტე! - ბოლო სიტყვები ხმამაღლა უთხრა.

- ბირთვზე როგორ დახტება? ელექტრონული მიკროსკოპით თუ ჩვეულებრივიც საკმარისია? - ლიტერატორმა, ეტყობა, წარმოიდგინა მიკროსკოპის გავლით უჯრედის ცენტრზე დამხტარი მათემატიკოსი. საერთო სიცილში ხელებით მოხაზა ოქულარებიდან ბირთვისკენ მიმავალი ტრაექტორია.

- ოღონდ, ქალის წართმევას არ ვართ! - არ მიაქცია ყურადღება იომ ლიტერატორს.

- ვერ შეგპირდები. ერთი უნდა მოგტაცოთ იმერლებს. - მათე-მატიკოსი ჭერისკენ იყურებოდა. ხმაში ხრინწი შეერია. ჩაახველა და განაგრძო. - სამაგიეროდ, ძალიან კარგ ღვინოს დაგალევინებთ მოყვრებში. ბუჩქებიდან წინილები რომ გამოდიან, ისრიმაყვალიც მოჰყვებაო, შენ არ იძახი?!

- ისრიმაყვალი ბურდუებიდან მოჰყვება...

- რაც მეტს სწავლობენ ცნობიერს, მით უფრო რწმუნდებიან, რომ ჯერ კიდევ შორსა ვართ მისი შეცნობისგან. - ფილოსოფოსს ჩაი უკვე დაეცალა და სათავისო გუნებაზე დამდგარიყო.

- რა ამიხსენი იცი?!... რაიმეს დამახსოვრება რომ მინდა, ჩემი მეთოდს ვიყენებ. როგორ დავიმახსოვრო, მაგალითად, კალენიკე... ვიმახსოვრებ კალას და ნიკელს. როცა კალენიკეს გახსენება მინდა, ჯერ კალას ვიხსენებ, მერე ნიკელი მახსენდება და, ბოლოს, კალენიკე.

- ბიჭო, კალენიკეს ხსენება რომ მინდა, ვავსებ ჭიქას, აცხონოს ღმერთმა-თქვა, ვამბობ და ვსვამ... - ნახევარგამტარი კიდევ აპირებდა აზრის განვრცობას, მაგრამ არ აცალა მათემატიკოსმა.

- შენი შემთხვევა რთულია. ეს - ბიოლოგის ასპირანტი ამოილო მიზანში. - ყოფილი ფიზიკოსი, ბიოლოგიას თოხნის. შენ კიდევ, ჯერ რა გეკალება და მერე რა გენიკელება?!... პირდაპირ რომ გეკალენიკებოდეს, არა?!... - უხესიტყვიანია მათემატიკოსი. აი, კიდევ ერთი დასტური არყით პოტენცირებული ჩაის დადებითი ზემოქმედებისა.

- ჯერ რომელს გიპასუხოთ? კალენიკეს თემა ძალიან საინტერესოა და ჯერ კიდევ ვერაა დამაჯერებლად ახსნილი. ფსიქოლოგის ფილოსოფიის და ცენტრალური ნერვული სისტემის პრობლემა უფროა. როგორ და რანაირადაა ჩალაგებული მეხსიერების უჯრედებში ინფორმაცია, რა აკავშირებს მათ ერთმანეთან?... ამას ჩემზე უფრო ჭკვიანი კაცი უნდა, რომ აგიხსნათ.

- ხუთნი ვართ აგერ!... არ ვეყოფით?! - უცინის მომავალი ქიმიკოსი. - მეც ხომ უნდა ვთქვა რაღაც?!... მუნჯი არავის ვეგონო. - ქიმიკოსი, საერთოდ, წარმოუდგენლად ცოტას ლაპარაკობდა. ცოტას, მაგრამ ყოველთვის სხარტს. ბიჭებმა ხმამალლა

გაიცინეს. ნინო დეიდამ მხოლოდ სათვალის ზემოდან გადმოხედვა აკმარა ჩაი გამოლეულ სუფრას.

- ბიჭებო, ჩემს დროს „ჩაის სახლში“ გოგონების გარეშე შემოსვლა ცოდვად ითვლებოდა. მეოთხედ შემოვდივარ თქვენთან ერთად და ვგრძნობ, გარშემო მაგიდებიდან ზოგიერთები, უკვე, ცერად გვიცქერებ. თქვენს კურსზე გოგონები არ სწავლობენ?! - საუბრის შეცვლა დააპირა ასპირანტმა. ფილოსოფოსმა ისე რა შეუბლვირა.

- მამინდომა ახლა ამან, ჩალხანას მოძებნაი?!... - გადააზეს-ტაფონურა რადიოფიზიკოსმა. დედულეთი ჰყავდა ზესტაფონში. საზანოში ვარ ნახევრად გაზრდილიო. - რომელი ფაკულტეტისას ინებებთ, ჩემი ბატონო?!!... დასავლეთ ევროპელებს, ლიტერატორებს, ბიოლოგებს?!... გეპეის არც ვახსენებ. სამი კაკალი გოგო ყავთ თელ ინსტიტუტში... არც ფიზკულტურის ინსტიტუტს გირჩევ. წაგცეთება გლახა საქციელი და გაგიხვრეტს შუბლს ნინო სალუქვაძე... მაგიდის წინ ხვარ ჩამოგიტაროთ, რა ვქნა?!... აირჩევდი, დასვამდი მაგიდასთან და შენც დეისვენებდი და ჩვენც!...

- გული რო გამიხვრიტოს, არა?!... - ქიმიკოსმა ჩართო მაღალი სიჩქარე და მარჯვნიდან, ყოველგვარი წესების დარღვევით დააპირა გადასწრება, მაგრამ დროზე დაამუხრუჭებინა რადიოფიზიკოსმა.

- გაჩერდი და დეეტიე შენ მადანა!... მეორე კორპუსში ვისზე ნაკლები გოგოები დადიენ?!... შენ თვალებში ვერ იხედებოდე, მეტი არაა კოლექტივის ბულუტუნა ხარები!...

- ეეს... როდის დაღვინდები, იო?!... შენი ამყვანი ბებია-ქალი გულჩვილთა შორის აბსოლუტური ჩემპიონია! საგინესეა... რომელმა საცოდავმა აგიყვანა?!...

- რომელმა და თვით გალილეიმ!... მოგვიანებით თქვეს, მარიუსმა აიყვანაო ერთი წლით ადრე, მაგრამ, როგორც ახალი ქართველები ვიტყვით, გასაჯაროება დაუგვიანებია. ამიტომ აქვს ორი დაბადების დღე... მარიუსია ნათლია, სხვათაშორის.

- მარიუსმა დაარქვა გერმოგენი?!...

- არა. იო დაარქვა.

- იო, იმან კი არა, ამან დაარქვა.

სუმრობენ ბიჭები.

იოა სამიზნე.

არაფერს ამბობს. იცის, ნებისმიერი შეკამათება, ახალ ტალ-ლას გამოიწვევს. კიდევ უფრო ბასრს და ტყუილ-მართლით უფრო მეტად გაჯერებულს. როგორც ყოველთვის, ახლაც შემწყნარებ-ლური და შემგუებლური ღიმილით უსმენს...

- ნეტავ, ის გამაგებინა, რას ნიშნავს, გულის კოვზთან თბილად აგენტებაო?!... და, მერე მომკლა, აღარ დავეძებ! - თავისთვის ჩაილაპარაკა.

- ტიციანს შეეშვი, თუ ძმა ხარ! - რომელი იყო, არ დაკვირვებია. - შენით რომ მოანაჯახო რაღაც, არა?!...

\* \* \*

- შენ გინდა თქვა, რომ მაიმუნია ჩემი წინაპარი? - ცხარობს ყოველთვის განწონასწორებული მათემატიკოსი მორიგ შეერებაზე. მან, ჯერ ცხელ ჩაის, ჭაჭით უხვად განზავებულს, იმხელა ყლუპი მოაკლო, ცუდ დღეში ჩავარდა. პირი დაითუთქა. გადასაქცევად ვერ შეელია. დაენანა არაყი. ურჩიეს, გაუშვიო ქვემოთ. გადაყლაპა და ცივი წყლისთვის ტუალეტში გავარდა.

პირის გამოწვას თუ არ ჩავთვლით, მათემატიკოსს თავი ქუდში აქვს. შემწყნარებლური იერით და, მხოლოდ მისეული, მორიდე-ბული ღიმილით აკვირდება სხვა, საბუნებისმეტყველო თუ უმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენელთა დაუნდობელ კამათს. დარწმუნებულია, ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია. და, არა მარტო ადამიანებში, თუ მაიმუნებს ჭკუა მოეკითხებათ, მათვისაც.

სანამ მათემატიკოსი დაბრუნდებოდა, ბიოლოგმა გეომეტრიით გაჰკრა კბილი. რა ენაღვლებაო, მაგას?!... სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი ასოთხმოცი გრადუსიაო, რომ უთხრა, ლობაჩევს-კი ჰყავს სათადარიგოთა სკამზე. სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი ასოთხმოციც შეიძლება იყოს, მასზე ნაკლებიც და მასზე მეტიც...

- აბა, მათემატიკა ზუსტი მეცნიერებააო?!... - იკითხა ქიმიკოსმა.

- ზუსტია! - დაბეჭდა ბიოლოგმა. მოდის. გაუგრილებია ყან-ყრატო. უთხარი თუ ბიჭი ხარ!...

- აბა, გელოდები! შენ ამბობ, რომ ჩემი წინაპარი მაიმუნია? - მათემატიკოსს, ეტყობოდა, პირის დაწვისა და გამწარების გამო ჯავრი ბიოლოგზე უნდოდა ეყარა.

- მე ვამბობ?!... შენ ამბობ!

- შენა, ბიჭო, ბიბლიას თავი დაანებე და დარვინიანების აზრი მითხარო!

- რომლების, სვანების თუ სომხების?!...

- უპასუხე! გჯერა, რასაც დარვინი ამბობს? - ფილოსოფოსი, როგორც ყოველთვის, ცდილობს, მსაჯულის მანტია მოისხას. განიერი მოისხიო, ნახევარგამტარმა ურჩია ერთხელ. ზედგამოჭრილიაო, არყის ბოთლის დასამალად.

- შენ როგორ ფიქრობ, ცდება დარვინი? - უპრუნებს კითხვას ფილოსოფოსს.

- მე და პატივცემულ საზოგადოებას, პირდაფუფქულის ჩათვლით, შენი აზრი გვაინტერესებს. - აარიდა პასუხს თავი ფილოსოფოსმა. - ერთი წამით მაცალეთ! - ფილოსოფოსი ადგა და მეზობელ მაგიდასთან ეს-ესაა დამსხდარი გოგონები თავიანთი მაგიდიანად მოიპატიუა. თვითონ მოქმედა მაგიდის მოჩირებაში. გაცნობის პროცედურამ რამდენიმე წუთი წაიღო. - გავაგრძელოთ! უპასუხე, ცდება დარვინი? - ფილოსოფოსს, ყველა სხვა, ნაკლებად თუ კიდევ უფრო ნაკლებად მოლაპარაკე ფილოსოფოსებივით, დისკუსიის სადავების ხელში აღება სურდა. - ამათი შემყურე, - ახლად შემოერთებული, ოთხი ძალიან ლამაზი გოგონა მოხაზა ცალი ხელით და, ერთდროულად, კამათის სადავეც დაიხვია ოთხი სილამაზის მომხაზველ ხელზე. - რომელი მეტყვით, რომ ჩვენი წინაპარი მაიმუნია?!... ასეთი ლამაზი მაიმუნები ვის გინახავთ?!...

- პათეტიკური გაუხდა ხმა. - ამგენის წინაპარი მაიმუნიაო, რომელს მოგიბრუნდებათ ენა?!... - მეორე ხელზეც დააპირა სადავის დახვევა ფილოსოფოსმა.

- მაგენზე არ უთქვამს დარვინს. შენზე თქვა. - გააგრილა ბიოლოგის აღმართებს შეჭიდებულმა. გოგონები იცინიან.

- მე, ალბათ, ევოლუციური მუტანტი ვარ. სწორად ვთქვი? - ეკითხება ბიოლოგს და თან სადავეებს ათავისუფლებს. მათემატიკოსს უპირებს გადაცემას.

მას კი, სულაც არ ანალვლებს ვის ხელში იქნება სადავეები. ვისაც არ უნდა ეჭიროს, რომბი მაინც კვადრატის მუტანტიაო, არზეინადაა.

- მეც ეგეთი გამოვდივარ. - ეთანხმება ბიოლოგი. - ცუდად არ გამიგოთ, გოგონებო! მეგონა, ღმერთმა ერთი ნეკნი ამომაცალა. თურმე, ოთხი ამოუცლია ერთად! მადლობელი ვარ! ოთხი ნეკნის ოხერრი დედაც ვატირე!... ოთხი მშვენიერება გაცილებით მეტად ფასეულია, ვიდრე ოთხი, უბრალო ძვალი. კიდევ ამომაცალოს, თანახმა ვარ, თუ კიდევ ამნაირ სილამაზეს შექმნ...

- ეეეე!... - აწყვეტინებს მათემატიკოსი. - ძალიან გაუტიე!... ჩვენ, რა, უნეკნოები გვონივართ?!

გოგონები იცინიან. ბიჭებიც იცინიან და არყის ახალ ულუფას ამატებენ ჩაის ნარჩენებს. გოგონებსაც, სიმბოლურადო, რამდენიმე წვეთს უმატებენ.

- მაცალე, რა! ცხოვრებაში ერთხელ ჩემმა ენამაც კი და-მიჯერა. ხომ ხედავთ, ერთხელაც არ დამბმია. და, კიდევ, მე ბიოლოგიაში ფიზიკიდან მივედი. თვალში ხომ არ გეპატარავები?!... - ბიოლოგი მათემატიკოსს უცინის, მაგრამ ყველა ხვდება, მისი ღიმილი გოგონებისკენაა მიმართული. - ბოლო-ბოლო, ხომ არ გავიწყდება, რომ მათემატიკოსები ჩვენი მოსამსახურეები ხართ?!... რაც გვინდა, ის უნდა აკეთ...- ღიმილი სახეზე შეაცივდა. ჩაის სახლის მთავარი შემოსასვლელისკენ იყურება. სახეზე თეთრი სინათლის პრიზმაში გადატეხილი ფერები ცვლის ერთმანეთს. სწორედ ასე, ფერების შეუჩერებელი ცვლით, თვალმოუშორებლად მოაცილებს ვიღაცას შემოსასვლელიდან მაგიდამდე. - მმმ... ვინაა ეს?!... რამხელა ნეეეენიი...

- გამარჯობა! - მაგიდასთან მოსული გოგონა ყველას მიე-სალმა და ცარიელი სკამი მოაჩოჩა მეზობელი მაგიდიდან. - გამოვ-ტოვე რამე?

- კი. რააამდენი გააამოტოვეეეთ, იციით?!... - შუბლზე ოფ-ლის წვეთები ისე ამოეზარდა, როგორც „ტომი და ჯერი“-ს მულ-ტიპლიკაციურ ფილმშია. - დედააა... დაამენყო... - ალარ დაამ-თავრა.

- მე მითხარით? - მობრუნდა გოგონა.

- სტუსტუუდენტი ხართ?

- იუნონა. - გაუწოდა ხელი გოგონამ. - მომავალი ბიოლოგი.
- მოომაავალი ბიოლოგი თუ მოოსული სილამაზე?...- ბიჭი გოგონას ხელს დაჟყურებს. არც გახსენებია ხელი რომ უნდა ჩამოერთმია. გონს გვიან მოეგო. გოგონას სინითლე შეეპარა. ხელი ნელა დაუშვა.

- იუნონა. - დაუფიქრებლად გაუწოდა ხელი გოგონას. - წელან თქვენი დაქალები მოვატყუე. ოთხი ნეკნი მაკლიაო, ვუთხათხარი...  
 - ბიჭს ენა ნელ-ნელა უსწორდებოდა. ცალკეულ სიტყვებზელა ცურავდა. - ახლა ვსინსინჯავ და არცერთი ნეკნი აღარაა. - ყოველ გაჭედვაზე კისრის ძარღვი შესამჩნევად ებერებოდა. - შეიძლება დავჯდე? - აფეთქებულმა სიცილმა გამოარკვია. - მაპატიეთ, იუნონა... - ხელახლა გაუწოდა ხელი.

- სეხნიები ვართ?!... - გოგონას ეშმაკურად გაელიმა.
- იუნონა მქვიაო?!...
- და, თქვენ?
- მე... მე... რა მქვია სპინოზ? - მიუბრუნდა ფილოსოფოსს. მას ყველა ამ მეტსახელით იცნობდა. ნათლობის სახელი არც ახსოვდათ. კანტი მირჩევნია, დამიძახოთო, სთხოვა ერთხელ ბიჭებს. ნასვამი იყო და გაბედა.

შეპირდნენ ბიჭები, როგორ გაგიბედავთო კანტზე ნაკლების დაძახებას?!...

მეორე დღეს არც კანტი ახსოვდათ და არც პირობა. სპინოზად იცნობდა ყველა.

იმედისმომცემი ფილოსოფოსი იზრდებაო, იმნაირმა ლექტორ-მა უთხრა ერთხელ ბიჭებს, უყოფმანოდ ირჩმუნეს. სახელი შერჩა. კმაყოფილიც იყო, გალაცტიონს რომელი ჰყავხართო ლექსმიძღვნილი, ნამოცდა ერთხელ. მთვრალი იყო მაშინაც, ეს რომ წამოსცდა.

- არაა, იუნონა, ეს ყმაწვილი შენი სეხნია. სახელი რომ არ ახსოვს, არც ესაა მისი ბრალი. შენს მოსვლამდე ნორმალურად მეტყველებდა და, შენ ნარმოიდგინე, ნორმალურად აზროვნებდა. შენმა დანახვამ, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი, გამოასირა. ეს ერთადერთი წაცდომაა ჩემგან დღეს. ბოდიშს გიხდით ზედმეტი პირდაპირობისთვის. ამის მდგომარეობას გამოქლიავებულს ვერ დავარქმევდი... - ნელ-ნელა, მეთოდურად იძიებდა

შურს სპინოზა. ნაფიზიკოსარი საბიოლოგო ვერქი ხვდებოდა, რატომ აპირებდა მხოლოდ მისი ჯავრის ამოყრას ფილოსოფოსი.

- სანამ შენ მოხვიდოდი, იმედისმომცემ ბიოლოგად ითვლებოდა. იმედია, ელდაც გაუვლის და წინანდებურად მოგვცემს იმედს, რომ მისით გამდიდრდება ბიოლოგია. ფიზიკა გააღარიბა. აღარაფერი ეჭველება. შენ თუ დაეხმარები, უფრო ადვილად და მალე დაუბრუნდება დანაწევრებული მეტყველებისა და უწყვეტი აზროვნების უნარი. ნუ წითლდები, იუნონა... შენს ახლოს მოძრაობს უთვალავი დროიდან მოყოლებული... კოლეგები ხართ. ერთი დიდი ქვის თანამგზავრები. ნუ წითლდები!... იოს ვეძახით. იუპიტერის თანამგზავრის სეხნიაა. სწორი სახელი არ ჰქითხო, თორემ გაგვათენებინებს გურგურში.

- და, რა ჰქვია? - ბუნებრივი გახდა იუნონას ღიმილი.

- მშვენიერი სახელი ჰქვია. გერმოგენი.

იომ ახლადა შეამჩნია, ფილოსოფოსის მონოლოგს ფეხზე მდგარი უსმენდა. სუფრა იცინოდა. გამოფხილდა, თითქოს, დაჯდა. მაშინვე ადგა. ისევ დაჯდა... მერე უცებ წამოხტა და ჩაი მოუტანა ახალშემოსწრებულს.

- შაქარი არ ჩავაყრევინე. არ ვიცი, რამდენი კოვზი გინდათ.

- უძაქროს ვსვამ. გმადლობთ. - გოგონამ თვალი აარიდა ბიჭს.

- მაპატიეთ, ჩემს გამო შეიქმნა უხერხული სიტუაცია. ახლა ტვინს ვიჭყლეთ, როგორ გავხადო იგი ხერხული. - ნორმალური გახდა ბიჭის ღიმილი.

- დავუბრუნდეთ დარვინს. - ფილოსოფოსი არ აპირებდა სუფრის სადაცვების ხელიდან გაშვებას. - თუ მოსული და მომავალი ბიოლოგები ერთმანეთში მორიგდებით, ძალიან გაგვახარებთ...

- ნეკნებს თუ ეშველება?! - სხვამ იკითხა.

- არ ეშველება და დარჩება უშველებელი! - დაბრუნდა ძველებური იო. - ნეკნზეც მაქვს ერთი მოსაზრება. ნაფიქრი მაქვს, მაგრამ ისეთი მარტივი მეჩვენება, სხვასაც ექნება ნაფიქრი ჩემამდე.

- მიდი, იო, გისმენთ! - წაახალისა მათემატიკოსმა.

- ღმერთს შეეცოდა მარტოსული კაცი. ამოაცალა ნეკნი და შექმნა ქალი. მშვენიერება...

- მოდი, სენტიმენტებისა და პოეზიის გარეშე, რა!

- პოეზიის გარეშე რა იქნება?!... კარგი. მშრალად. ამოაცალა ნეკნი და ქალი შექმნა. კრეაციონიზმის თვალსაზრისით, კაცი თავის თავში მოიცავს ქალსაც. მეთანხმებით? - ხმა არავის გაუღია.

- დუმილი თანხმობის ნიშანია. ვაგრძელებ. და,... რას ამბობს ევოლუციონიზმი?! ადამიანის უჯრედში ოცდასამი წყვილი ქრომოსომაა. აქედან, ოცდაორი ქრომოსომა, პირველიდან ოცდამეორემდე, იდენტური აქვთ ქალს და კაცს. ოცდამესამე წყვილს შეადგენს ქრომოსომა იქსი და ქრომოსომა იგრეკი. სასქესო ქრომოსომებს ეძახიან. ამ ორს შორის დიდი სხვაობაა. ერთი გრძელია. იქს-ქრომოსომაა გრძელი. იგრეკი კი, მართლა იგრეკივით დაგვაჯულია. ასეა კაცის სასქესო უჯრედში. - ხელსახოც ქალალდზე ხატავს ქრომოსომებს. - ქალის უჯრედში ორი იდენტური იქს-ქრომოსომაა. მხოლოდ ესაა განსხვავება ქალსა და კაცს შორის. ქრომოსომათა ნახევარი დედისგან გვაქვს მემკვიდრეობით მიღებული, მეორე ნახევარი მამისგან. თუ დედისგან ყოველთვის იქს-ქრომოსომა გვერგბა, მამისგან ან იქსი, რაც იუნონას ერგო, ან, იგრეკი, როგორც მე...

- გინდა, თქვა, რომ შენ მოიცავ იუნონას შენში?! - თვალს უკრავს ერთ-ერთი ნეკნი.

- გენეტიკურად ასეა. ჩემს უჯრედში ქრომოსომათა ნახევარი მდედრისაა, ნახევარი მამრის. მასასადამე, ევოლუციონისტები ორიათაშე მეტი წლის შემდეგ კრეაციონისტების დასკვნას იმეორებენ და მეცნიერულად ამტკიცებენ. კაცი თავის თავში მოიცავს ქალს!

- გაუმარჯოს დიდ შემრიგებელს! - მათემატიკოსმა ოლიმპიური სიმშვიდით ჩამოასხა ზურგჩანთიდან თავგამოყოფილი ბოთლიდან არაყი ცარიელ ჩაის ჭიქაში. მერე, მათემატიკური სიზუსტით გადაანაწილა თანამეინახეთა ნახევრად სავსე ჭიქებში. თავისი ჭიქა ოდნავ ასწია და მოსვა.

გოგონები, მათ შორის გვიან შემოერთებული გოგონაც, მონუსხულებივით შეჰყურებენ ბიჭს. იგი წითლდება. თვალებს მალავს. ცხვირის ნესტოები ნაჭენები ცხენივით ებერება. სამოთხის ვაშლი ადი-ჩამოდის... გოგონას თვალს ისე აცილებს, თითქოს ზაფხულის გავარვარებულ მზეს უმალავსო. ეშინია არ დასწვას. არ

დააპრმაოს... ჯერ საკუთარ ჭიქას მიაცივდება, მერე, მოფხიზლებული ახედავს გოგონას.

- ნუ მიყურებთ ეგრე, თორეემ დაავ... დაავ... მუნჯდები!... - ზომაზე მეტად უკიდებს ენას. გოგონების მზერა შემწყნარებული ხდება. - ახაა... თქვეენ გა... გა... გი-მარ... მარ... ჯოოთ!... - სახეზე ისევ დაეყარა ოფლის წვეთები. ჭიქა ასწია. ჯერ ოდნავ მოსვა. შეისვენა. მერე მთლიანად ჩაიპირქვავა პირში და მათემატიკოსს მიუწია, დამისხიო. ჩამოუსხა მათემატიკოსმა. ჭიქა სამმეოთხედამდე აუვსო, ქალალდის ხელსახოცი ქუდად ჩამოაფხატა და ბიჭს მიუჩინჩა. ნინო დეიდას, ჩაის დარბაზის ფხიზელ მეთვალყურეს, არ მოსწონდა შეუნილბავი არყის დანახვა. ბიჭმა არაყი მოსვა და, ჰოი საოცრებავ, ენა გაუსწორდა. - გაგიმარჯოთ გოგოებო! ძალიან ბევრის თქმა მინდოდა, მაგრამ წელან ენა ვერ დავიმორჩილე. ახლა, ენა რომ დავიმორჩილე, გონებას ვეღარ ვიმორჩილებ... მომავალი ბიოლოგი ვარო, საით გადაიხრებით, იუნონა?

- იმუნოლოგიას მინდა, გავყვე.  
- და, მე როგორც უცხო სხეულს ისე მომიცილებთ უმოწყალოდ და შეუბრალებლად?

- რატომ?! თუ სახიფათო არ იქნებით, ან საფრთხეს არ შეუქმნით... - იუნონას სიტყვა მეზობელ მაგიდაზე ატეხილმა ჭიქების ჭახაჭუხმა და ნინო დეიდას ხმამაღლმა, კივილამდე მისულმა ყვირილმა შეაწყვეტინა. სანამ ატეხილ აურზაურში ბიჭები მეზობელ მაგიდელებს აწყნარებდნენ, - ზოგი გარეთაც გაიყვანეს,

- გოგონები გაქრნენ.

- სად წავიდა? - ჰერთხა ფილოსოფოსს, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა.

- გაფრინდა. არ გინდა, ძმაო!... ლამაზი ქალი მეცნიერების მტერია. სხვათაშორის ნეკნების მტერიცაა.

- ...  
- ერთ წყალბურთელს ხვდება. საცოლეაო, ამბობენ. თუ წაგას-წრო, დარჩენილ ნეკნებს ამოგაცლის. ქალს კი, არ შეგიქმნის. ღმერთი კი არაა?!... კუნთმაგარი ჯეელია.

ღმერთო, რატომ არიან ასეთი ულმობლები ფილოსოფოსები?!  
- გაიფიქრა. თქმით კი სხვა თქვა.

- მეცნიერების მტრის საკითხში ვერ დაგეთანხმები. ნეკნების ამბავშიც გამოვთქვამ ეჭვს. აღარ მაქვს, ხომ გაიგონე?!... რაც არ მაქვს, რას ამომაცლის?!

- მაშინ კბილებს. ნეკნების საკითხშიც მოიკოჭლებ. არის ნეკნი
- არაა ქალი! არის ქალი - არაა ნეკნი! შენ არ ამტკიცებდი ამას?!
  - წაგაგე. მტერმა იკამათა ფილოსოფოსთან...

\* \* \*

თვეების მერე, ლალიძის წყლების გრძელ რიგში, თითქმის დახლამდე მიღწეულ მეგობრებს იომ ბოდიში მოუხადა, რიგის ბოლოსკენ წავიდა და ორი გოგონა მოიყვანა.

- გაიცანით, ეს იუნონაა. ნანას უნდა იცნობდეთ.
- ორივეს ვიცნობთ. სკლეროზი კი არ გვჭირს, შენსავით?! გამარჯობა გოგოებო! - ერთხმად მიესალმნენ ბიჭები.
- ძალიან კარგი. ჩვენ ორს ცალკე აგვილეთ წყალი. ნანა არ მოაწყინოთ, გაართეთ! არც პროტესტის ნება მისცეთ. მე და იუნონა დაგტოვებთ.

- მე არ მეკითხებით? - იუნონას გაკვირვებული თვალები ბიჭს ბევრად უფრო ღრმა ეჩვენება, ვიდრე მამინ, ჩაის სახლში.

- აუცილებლად. ისე როგორ გავბედავ მოტაცებას?! ჯერ ამათ ავუხსენი საქმის ვითარება. ახლა თქვენ გკითხავთ. რამდენიმე საკითხის გარკვევა მინდა თქვენთან ერთად. იმუნოგლობულინების მძიმე და მსუბუქი ჯაჭვების ურთიერთქმედებაზე და მათი მრავალფეროვნების მიზეზის დადგენის მიმართულებით. ერთი იდეა მაქვს. თქვენი კრიტიკული აზრი მაინტერესებს. მგონი ვხვდები არტემისის ფუნქციას. ახალი აღმოჩენილი ცილაა. - გოგონამ თავი დაუქნია, ვიციო. - აი, ხედავთ, დასაწყისი ბრწყინვალეა. გვესმის ერთმანეთის. არტემისი დიდ როლს ასრულებს ერთი და იგივე გენისგან იმუნოგლობულინთა მრავალფეროვანი, ფართო გამმის ცილების პროდუქციაში. თუ არ გაინტერესებთ, სხვა დროისთვის გადავდოთ. ან, სულაც მოვხსნათ დღის ნესრიგიდან.

- დამაინტრიგებელი წინადადებაა. - ან მეტად გულუბრყვილო ხართ, ან უსაშველოდ ეშმაკი... პირველს ვამჯობინებ. ვისაუბროთ.

- აქ არ გვაცლიან. გავისეირნოთ. თან ვისაუბროთ. - ცარიელი ჭიქები დახლთან მიიტანა ბიჭმა. წყვილი დამრჩენებს ხელის აწევით გამოემშვიდობა და ქუჩაში გავიდა.

ლალიძის წყლებიდან მეცნიერებათა აკადემიამდე ნელი საუბრით მივიდნენ. გოგონა საბაგიროს გონდოლაში გამოფხიზლდა.

- აქ რა გვინდა? სად მივდივართ?

- მამადავითზე. - მშვიდად ჩაჰლიმა თვალებში ბიჭმა. ავიდეთ და ფეხით ჩამოვიდეთ. ჩემთან ხომ არათრის გეშინია?!... შეძლებ?

- ვგავარ დავარდნილს?! - გოგონას თვალებში ჭინკები ათა-მაშდნენ. სახიფათო კაცი ყოფილხარ შენ!... ცხვარივით გამიტყუე. და, რას აკეთებს ამისთანა გადასარევს არტემის?

- არტემისი ბავშვების მფარველია.

- ვიცი. მითოლოგია კი არა, მოლეკულური მექანიზმი მითხარი.

- არტემისი დნმ-ის ორმაგი წყვეტისას წარმოქმნილ ბოლოებს ერთმანეთთან აერთებს. მერე, ირჩევს ერთ, ზუსტად გამოთვლილ წერტილს, და ჭრის დნმ-ს. გენიალურია, არა?! იქ ჭრის სადაც უნდა ჩაჭრას. არსად სხვაგან... ვინ ასწავლის, ჯერჯერობით არა-ვინ იცის. წარმოიდგინე, როგორ მიუყვება დნმ-ს და ასო-ასო კითხულობს. არა, ჯერ ნურაფერს წარმოიდგენ. მთაწმინდაზე ავე-დით. ცოტა ხანს აქ ვიყოთ. მერე, მამადავითამდე ჩავუყვეთ. იქ გეტყვი, რა უნდა წარმოიდგინო.

- ბოლოებს ვინ აკერებს ერთმანეთს?

- დავუშვათ, დნმ-ის ზედა ძაფზე წერია „იუნონა“. ქვედა საზზე მისი შემავსებელია „ანონუი“. ჩაკერებით გამოდის კომბი-ნაცია „იუნონაანონუი“. ამ კომბინაციას მცირე ლასსოს ფორმა აქვს. მოვა არტემისი, წაიკითხავს. დაფიქრდება და ჩაჭრის. ამ მხარეს „იუნონაანონ“-ს ტოვებს. იმ მხარეს მხოლოდ „უი“-ს. გაშლის ლასსოს. ზედა მხარეზე რჩება „იუნონაანონ“. დანარჩენი, ქვედა ძაფზე. არტემისმა შეცვალა...

- წარმოვიდგინე, დასაბამს აძლევს ახალ თანამიმდევრობას ანუ ახალ იმუნოგლობულინს, რომელიც დაუნდობლად იცილებს უცხო სხეულს.

- ბრწყინვალე მოსწავლე ხარ! არტემისს ნუ დაემგვანები, რა! არაა ყველა უცხო სხეული მოსაკვეთი და მოსაცილებელი...

- ასე მარტივად ხდება უჯრედში და ორგანიზმში? - გოგონას სხვანაირი ნოტები იგრძნო. არ უნდა საუბრის კალაპოტის გამოცვლა.

- ჰო. იქ ყველაფერი მარტივად და გენიალურადაა. აქაა რთულად და უიმედოდ საქმე. - გულზე მიიკავუნა ხელი ბიჭმა.

- არ გინდა, რა!... გთხოვ, არ გინდა! - გოგონას ხმა შეიცვალა. მუდარის ტონებს უცნობი ფერის ტალღები შეერია. ბიჭს თვალებში აღარ უყურებს. მის ფეხსაცმელებს ელაპარაკება. პანთეონის შესასვლელამდე ჩამოსულან. - არაფერი მითხრა, გთხოვ!

- ძალიანაც რომ მთხოვო, ვერ გეტყვი. ისე მაქვს შებორკილი ენა და გონება. ბევრის თქმას ვაპირებდი, მაგრამ მიშვებს?!... აქ რატომ მეწვის ასე თბილად? - მზის წნულთან მიიდო საჩვენებელი თითი.

- აუუ!... რა ნაშაა, ტო!... ნახე! - ბიჭი ხმისკენ მიბრუნდა.

მერე რა მოხდა, ბუნდოვნად ახსოვს.

ახსოვს, სისხლს აფურთხებდა და თლიფინებდა.

ოთხი კბილი შესწირა.

კინოში დატრიალებული კადრებივით - „ვის უბედავ, ბიჭო?!”...

„არაფერი, ტო, მაგარი ნაშა დაგითრევია”...

„ბოდიში მოუხადე და მოტყდი აქედან!”...

„ვის უბედავ, ნაბიჭვარო?!”...

„მოდი აქ და გაჩვენებ, ვის ვუბედავ, შე მართლა ნაბიჭვარო!“...

მოვიდა ნაბიჭვარი და, ნავარჯიშევი, ზედმიწევნით კარგად დაყენებული პირდაპირი დარტყმით, ორი ზედა და ორიც ქვედა კბილი ერთად ჩამოულო ღირსების დამცველს. იო დაგარდა. შეძლებისდაგვარად სწრაფად ნამოხტა და ხელში მოყოლილი, მოზრდილი ბულებისხელა ქვა მთელი ძალით დაუშვა დამცინავად გაღიმებულ მოწინააღმდეგეს გაორებულ თავში. არც უფიქრია, ავაცილებო... თავი ისევ გაორებული იყო. გაორდა ქვაც. ერთდროულად მოხვდა ორივე თავს. მეორედაც მოუნაცვლა და მის ფეხებთან ნელა დავარდნილი მოწინააღმდეგის გვერდით კბილები და სისხლი დააფურთხა.

- მოდით! - მიიწვია რეგვენის თანმხლები ორი აწოწილი ბიჭი. მათ ძმაკაცის დახმარების სურვილი, ეტყობა, გაუქრათ. - მოდით, წაათრიეთ!

- ძაღლები, ჩემი!... - ერთდოულად იყვირეს გაბედული რეგვენის თანამგზავრებმა და გოგონას კივილში, „მხეცებო“-ო, გონს მოსული, თავგატეხილი ძმაკაცი ქვემოთ წაახოხიალეს.

- ნაბი...ვარო!... - მეტი ვერაფერი თქვა. ქვა მოისროლა.

- როგორ ხარ? - გოგონამ გულში ჩახუტებული ბიჭის თავი ოდნავ მოიცილა და თვალებში ჩახედა.

- ჩახუტებული კარგად ვიყავი... მოგთხვარე. ჩემი სისხლი გაქვს დღეიდან.

- ჩანთაში ბიძაშვილისთვის საჩუქრად ნაყიდი სვიტერი მიდევს. გადავიცვამ.

- შენ რა გეშველება?!...

- სესწიეა დამოკიდებული... დედაა, რას ვფიფინებ!... - გოგონა მიბრუნდა. ბიჭს ზურგი შეაქცია. სწრაფად გადაიძრო სისხლიანი პერანგი და თეთრი სვიტერი გადაიცვა. თვალებით სანაგვე ყუთს დაუწყო ძებნა.

- მომეცი. - უთხრა ბიჭმა. სისხლიანი პერანგი ისე დაკეცა, მუჭში მოექცა. ჯიბეში ჩაიდო. - სსსევინახავ... სსსამახსსოვრო... ბევრი ჰარერი მოსსისისინებსსას... - თარ-ის, სან-ის და შან-ის ნარევი გამორბოდა კბილების მიერ დატოვებული სიცარიელიდან

- მოსისინებს თუ მოშიშინებს?! არ გეწყინოს! წავედით. - გოგომ გაუღიმა და ხელმკლავი გაუყარა. ქვემოთ, რუსთაველის-კენ დაეშვნენ.

- ენგან არაოდე მეწყინება. - აარიდა მოსისინე ბგერებს თავი

- მომერია ოხერრი!... გამლახა.

- ვინ ვინ გალახა, საკითხავია! გენახა, როგორ მიაჩოჩიალებ-დნენ შეშის კუნძივით!...

- „სშსსავი სსსსასვი“ თქვიო, არ მითხრა... - სისხლიანი ტუჩე-ბით გაუღიმა ბიჭმა.

რუსთაველზე ტაქსი გააჩერა და გოგონა სახლამდე მიაცილა.

- გაამლახეს, ოხერებმა... - ბიჭი წინ გადაჯდა. - სსსამი მანეთი მაქ. ნაძალადევში მივდივარ. სსსანამდეც მეყოფა იქამდე მიმიყვანე, რა! - მისი ხნის ჩანდა ტაქსის მძლოლი.

- სახლამდე გეყოფა. არ ჩანხარ ადვილად გასალახი კაცი. ამ ანგელოზივით გოგოს შესწირე კბილი, ხომ?! - გაულიმა მძღოლმა. ტუჩებზე სისხლის კვალი ისევ ეტყობოდა. იუნინას პერანგი შარვლის ჯიბეში ჰქონდა ჩაჩურთული. ნაკბილარებიდან გამოსულ სისხლს ყლაპავდა. - აიღე! - მძღოლმა სავარძლის უკანა ჯიბიდან ხელსახოცები ამოილო და მიაწოდა.

- კბილი არა, კბილები. კბილი რაა, სსსსიცცოცხლესს სევ...

- ღმერთმა გაგიმარჯოს, ძმაო! გადასარევი წყვილი ხართ!

- მაჯობა ვიღაცამ... - ტუჩების წმენდით გართულმა ბიჭმა თავი გადააქნია.

- არ დანებდე!... ეცადე! შენ შენი ეცადე... ბოლომდე და უფრო მეტიც, ეცადე! ანგელოსი!... აი რა სიტყვა მომადგა ენაზე, მანქანაში რომ ჩასხედით... ისე გიყურებდა, არ ჩანს გულგრილი და ცივი. ღირს მთელი ცხოვრება ელოდო...

- დაველოდები. - მეტი არაფერი უთქვამს.

- ხვალაც შეხვდი. გინდა, მცხეთის ჯვარზე აგიყვანოთ? იცი, რამდენი წყვილი შემიდუღაბებია მცხეთის ჯვარზე?!... კურთხეული ადგილია...

- კარგი. თუ ძალიან არ შემრცხვა...

\* \* \*

მეორე დღეს არეულობა დაიწყო...

მესამე დღეს ომის ღრუბლებმა დაფარა ცა და მზე...

მეოთხე დღეს დაუზოგავად დაუმვა. ადლიც არ დაუტოვებია მშრალი. ქალაქში აგებული ბარიკადების ორივე მხარე ერთნაირად დაასველა...

მეხუთე დღე სიკვდილის დღედ გამოაცხადეს - ბარიკადის ერთი მხრის სიკვდილის დღედ.

მეექვსე დღე ბარიკადის იმ კედარომ გამოაცხადა ბარიკადის მეორე მხრის სიკვდილის დღედ...

მეშვიდე დღე სიძულვილით გათენდა... დილით, პირველი სიკვდილი მოვიდა. ერთი ახალგაზრდა წაიყვანა.

მეშვიდე დღესვე, შუადღისას, ორმა სიკვდილმა ერთად ჩამოიარა. ორი ახალგაზრდა გაიყოლა.

ისევ მეშვიდე დღეს, მწუხრისას - ღმერთი ისვენებდა, ადამიანი არა!... - სამმა სიკვდილმა ერთად ჩამოიარა. შურისძიებასავით ტკბილი სახე ჰქონდა სიკვდილს პარიკადის გადაღმელთათვის... გადმოღმელებისკენ მოქცეული მხარე იყო ტკივილიანი...

სალამოს და ლამით ბევრი სიკვდილი მოვიდა ერთად. ახალ-გაზრდა ბიჭები და გოგონები წაიყვანა... მოხუცებიც წაიყვანა...

და, ასე გაგრძელდა დიდხანს... უსასრულოდ დიდხანს. მიჰყავდა სიკვდილს ადამიანები... არ დაეძებდა, ახალგაზრდა იყო თუ შუახნის. ხანში იყო შესული თუ საუკუნეს მიღწეული. ბიჭი თუ გოგო. ქალი თუ კაცი. იარაღიანი თუ უიარაღო... განურჩევლად...

ბიჭს ტკიოდა.

ისევე ტკიოდა, როგორც ყველას.

ხელცარიელი დადიოდა სიკვდილის სალენტ კალოზე.

არ მიჰყავდა სიკვდილს. სიცოცხლე ეზარებოდა... ადამიანი ეზარებოდა, ყველა და ყველაფერი ეზარებოდა...

სიკვდილიც ეზარებოდა - უარმყოფელი და უკარება სიკვდილი...

ყველაზე დიდი ნანექნარიც სტკიოდა.

გამუდმებით, დღედამის ყოველ დროს ეწვოდა...

რცხვენოდა, სიკვდილის კალოზე მობარბაცეს ნეკნის დანატოვარი სიცარიელე რომ სტკიოდა. რცხვენოდა, მაგრამ სითბოსაც დიდს გრძნობდა... ამის გამო, სირცხვილი კიდევ უფრო დაუნდობლად ჭყლეტდა.

დრო კი, ხან დაუნდობლად სწრაფად გადიოდა, ხან დაუნდობლად ნელა...

მერე, სხვა მხრიდან მოვიდა სიკვდილი.

მარჯვენა ხელში ტყვიის ერთი ვაზნით დამარხული ვეფხიათი მოვიდა სიკვდილი. მის გვერდით, მარცხენა ხელში ერთი ვაზნით შალვა... შალვას შემდეგ, თითო ხელში თითო ვაზნიანი ვამეხი...

მერე, სიკვდილმა შესვენება გამოაცხადა. რამდენიმე წლიანი შესვენება. კანტი-კუნტად თუ შემოივლიდა...

წლების მერე, შიმშილით გაბოროტებულმა, წინანდელზე უფრო გამეტებით იხუვლა.

ბევრი შავებიანი ქალი დატოვა სიკვდილმა და დროებით, ალბათ შესასვენებლად, გაეცალა ქვეყანას.

ბლავილი და კივილი დატოვა სიკვდილმა...

ზოგი დაინდო. მშიერი მომაკვდავების დასაპურებლად უცხო-ეთიდან შინაური საქონლის საფურაუე ხორბლის შემომტანი კა-ცები დაინდო სიკვდილმა...

რესტორნებში მოქეიფე, ქვეყანაზე ყანწებით შეყვარებული კაცები დაინდო, კიდევ, სიკვდილმა...

დრო გადიოდა...

მზე სხვადასხვანაირად ამოდიოდა.

შავი მზე ამოდიოდა მრავალთათვის.

იგივე მზე ბრდღვიალა და უსაშველოდ თბილი იყო სხვე-ბისთვის - ღიმილიანებისთვის და მაძლართათვის...

დრო გადიოდა...

ყოფილ ასპირანტს ბევრი რამ, უკვე აღარ ახსოვდა... ან, თუ ახსოვდა, არეულად.

როდის დაღამდება წუხელ...

როდის გათენდა ხვალ...

რამდენჯერ შემოუარა დედამიწას მზემ, თუ პირიქით, მზემ დედამიწას...

ერთხელ, შორს, ოკეანის გაღმა ქალაქის ლამაზ სკვერში, ნანეკნარი აენვა ისევ. იო გაახსენდა. სეხნია.

იო!... სწორედ ის, ჩრდილიდან უკვე გამოსული, მთელ რვა წუთს რომ არ ჩანს.... ისევ ჩრდილში გონია. ის კი, გიყურებს და შენს უნიათობაზე ეცინება - ვერ მხედავსო.

მერე, უკვე დამალულს, ჩრდილში შესულს, ჯერ კიდევ ხედავ. რვა წუთის დამალულია, მაგრამ ისევ ჩანს...

იქვე, ახლოს ტრიალებს იუნინა...

არსად კვეთს მათი ორბიტები ერთმანეთს.

არცერთ ასტრონომს არასოდეს გამოუთქვამს მათი ორბი-ტების გადაკვეთის ოდნავ მბუუტავი იმედი ან იმედის ნატამალი.

ფილოსოფოსების არ იყოს, ასტრონომებიც დაუნდობლები არიან!...

წლები გადიოდა... ხან წამებზე უფრო სწრაფად. ხან ათას-წლეულებზე უფრო ზანტად...

ზოგი დაანინაურეს. ზოგიც ჩამოაქვეითეს - პლანეტიდან თანამგზავრამდე და, უფრო უარესი, მეტეორამდეც კი.

იუნონას არ ანალვლებდა ვინ, როგორ, როდის, რატომ ჩამოაქ-  
ვეითეს თუ დააწინაურეს... კმაყოფილი და ბედნიერი იყო ყველაზე  
დიდი მიწის თუ ყველაზე დიდი ქვის ნატების თანამგზავრობა რომ  
არგუნა ბედმა...

იგივე ქვის მეორე, ორხმოვანსახელიან ღარიბ თანამგზავრს  
არც დაგიდევდათ... ვერ ხედავდა დროში და სივრცეში  
აცდენილს... არც სისხლიანი პერანგი ახსოვდა. არც მამადავითზე  
დაყრილი კბილები...

იქნებ, ახსოვდა კიდეც...  
ვინ იცის?!...

\* \* \*

ბიჭი მუშაობდა. კითხვები აწვალებდა. დროის დინებასთან  
ერთად მეტი და მეტი კითხვა ჩნდებოდა. პასუხები იყო გაცი-  
ლებით ნაკლები. კითხვათა მეასედსაც არ ჰყოფნიდა.

შემოვიდა ინტერნეტის ეპოქა. ამას ეგონა, პასუხების რაოდე-  
ნობა მოიმატებდა. რა გამოლევსო ქვეყანაზე ჭკვიანს და ჭკუის-  
საკითხავს?!

არა. ინტერნეტმა კითხვები უფრო მოამრავლა. ვერმონახული  
პასუხები შიგანს უწვავდა.

უცხოური ავტობიოგრაფიების სტანდარტულ ფორმას  
გადააწყდა შემთხვევით. „კურრიკულუმ ვიტაე“-ს და „სი-ვის“  
(Curriculum Vitae - CV) რომ ეძახიან მოფერებით, შემოკლებულად.  
ავტორები დაწვრილებით განიხილავდნენ თითოეული გრაფის  
სწორად შევსების უაღრეს მნიშვნელობას. თავიდან, ცოტა არ  
იყოს ეუცნაურა ავტორთა სურვილი - უცხოურად დაწერილ ავტო-  
ბიოგრაფიაში თავის ქება არ იყო აკრძალული. პირიქით, შაურის  
საქმე თუმნამდე მაინც გააზვიადე, სართვიანად რომ გაიყიდოო.

გაყიდვა კარგხელფასიან კონტრაქტს ნიშნავდა.

ეს უბრალოდ წერდა ავტობიოგრაფიას - დავიბადე აქა და აქ.  
ვისწავლე აქა და აქ. ვიმუშავე აქა და აქ. გამოვაქვეყნე ეს და ეს...  
ბოლოს, ხელმოწერა და თარილი.

ერთხელ, უკომპიუტერობის ხანაში, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ ავტობიოგრაფიაში, ავტოანგლობის თუ ავტოირონიის მორიგი შემოტევისას, სტრიქონი დაამატა - „გარდავიცვალე ორიათას -- წელს“. დაენანა გადაგდება. წინა ფურცლები, მექანიკური შეცდომებით გაფუჭებული, დახია. ახალი ვარიანტიც დახია, რამდენიმე.

მოსწყინდა ბეჭდვა და შავი ფანქრით წაშალა გარდაცვალების სტრიქონი ორიათას რაღაც წლიანად.

ახლაც ლიმილით იხსენებს ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის დამცინავ სახეს - თეთრ შუქჩე გაუხედავს და შავი ფანქრით წაშლილი ამოუკითხავს - ჩვენ სამიათას რაღაც წლამდე რომ იცოცხლებს, იმნაირი თანამშრომელი გვჭირდებაო...

დირექტორის მოადგილე აშკარად კმაყოფილი ჩანდა მიგნებითა და ორიგინალური ფორმის უარით.

თვითკმაყოფილი რეგვენი, გაიფიქრა ამან. თქმით კი, კარგად ბრძანდებოდეთო, დაუგდო და სწრაფად დატოვა ფართო კაბინეტი.

საკუთარი ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია მოუხერხებელი შუამავლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უცხოური გაცილებით უფრო კვაჭი მაშვალი ჩანდა. გასათხოვარი ქალის უარყოფით ან შეუხედავ მხარეებს საერთოდ რომ არ ახსენებს. სამაგიეროდ, ფართოდ აშუქებს მის, თუნდაც მცირე დადებითს. ათასჯერ აზვიადებს. უმატებს გრაფას - „ჰობი“. ამ გრაფაში დაწვრილებით აღწერს, თუ როგორი კარგი, ფართო დიაპაზონის ადამიანია ავტორი... უყვარს ცხოველები. გაბედული კლდეზე მცოცავია. ცურვაზე და საერთოდ წყალსაჯომარდო სახეობებზე გიჟდება.

კლასიკური მუსიკა და ჰოეზიაო, მარტივად მიახუთშაბათა „ჰობის“ გრაფა ამან.

კიდევ ერთი კითხვა იყო, აზრიანი, უცხოურ ფორმაში - გრაფა „რისი გაკეთება გინდათ?“

ახალგაზრდა მეცნიერს - ასე ეძახდნენ ასპირანტურა დამთავრებულებს. - ბევრი არ უფიქრია, მოკლედ ჩაწერა - „მინდა, ვასნავლო კიბოს უჯრედს, როგორ მოიკლას თავი“.

და, მეტი არაფერი.

უბრალო, მარტივი ფრაზა ჩაწერა.

აზრი, უფრო სწორად, იდეა, ძალიან მწარე წუთებში დაებადა გონებაში.

ერთი ახალგაზრდა ბიჭი, ბავშვობის მეგობარი, გარდაიცვალა. „თვალში რომ ჩაგივარდეს, ხელს არ ამოისმევ“-ო, ისეთი.

უცხოეთიდან იყო დროებით ჩამოსული თბილისში, სიკედილის ამბავი რომ უთხრეს და დასავლეთისკენ აიმგზავრეს.

სოფელში გაიგო, მისი ბავშვობის მეგობარი კი არ წავიდა, გაიქცა ამ ქვეყნიდან. თავი მოკლა.

კიბოთი დაავადებულა ჯერ კიდევ, სრულიად ახალგაზრდა, არასაკიბოვე ასაკის კაცი.

ტკივილები ჰქონდაო უსაშველო და აუტანელი.

ვერ უყუჩებდნენო ტკივილებს.

ამას, ბევრი არა, ცოტა ესმოდა კიბოს ბიოლოგიაში. კიბოს მედიცინაში კიდევ უფრო ცოტა. ბოლო სტადიის ავადმყოფებს მზარდი დოზებით აძლევენ მორფინის ჯგუფის გამაყუჩებლებს. ფაქტიურად, ტვინს და ნერვებს უძინებენ მორფით.

კიბო კი, ზრდას ერთი წამითაც არ წყვეტს. იზრდება და იზრდება. უფრო და უფრო მეტ ტკივილს აყენებს....

მორფინი ტკივილს არა, მის შეგრძნებას აქრობს... ნერვებს ხდის უმოქმედოს, უვარგისს. ვეღარ ატარებს ნერვი ტკივილის სიგნალს ტვინისკენ. გაატაროს კიდევც, ტვინის უჯრედებიც გამორთულია მორფინით. ასეა დაფარული და ვერშესაგრძნობი ტკივილი.

მორფიზე თუ დასვესო, უმისამართოდ იყითხა.

ბიჭების თვალებმა მიახვედრა, უადგილო და წარმოუდგენელი უკითხავს.

- მორფი?!... სადაა მორფინი და გასაყუჩებელი?!... დღე ერთია და ათი პარტია მაინც შედის საავადმყოფოში მორფისთვის. ავტომატიანი ბიჭები შედიან. გაცალეს საავადმყოფოები.... ცოტა სწის წინ, ნარკომან ორფეხა ცხოველებს კიდევ ერთი ექიმი კინა-ლამ შეენირა. რობერტი გაულახავთ, ფორმჩიძე, მორფს გვიმა-ლავო. ბიჭებო, მე კბილის ექიმი ვარ, ნოვოკაინ-ლიდოკაინის გარ-და არაფერი მჭირდება, ამგენს კი, თუ გინდათ მოგცემთო... სხვი-სი მობარებული გექნებაო, დამალული, ულრინეს, თურმე. მქონდა,

მაგრამ წაიღესო თქვენმა წინამორბედებმა. გამოვტეხავთო, ავტომატის კონდახით უცემიათ.... უძებნიათ. რას ნახავდნენ, რაც არ იყო?!!...

ეს მეგობარს ალარ უსმენდა. ტკივილისაგან განაწამებ ბიჭზე ფიქრობდა. რა ტკივილი ჰქონდაო ასეთი, ამ ბიჭისთვისაც კი, გაუსაძლიასი?!...

ონისეს, ახლა რომ შუა დარბაზში იწვა, ტკივილის არასოდეს შეშინებია.

თევზაობისას ქვამ უმტყუნა. მარცხენა ხელი ლიპის წიბოს გადაახია. გადამიჭირეთ ძუა, შემიხვიეთო, უთხრა ბიჭებს. საავად-მყოფოში წაყვანაზე ენის დამსველებელს ისე შეუბლვირა, გამეორების სურვილი გაუქრო. გააგრძელა თევზაობა. ხელი კი, მართლაც რომ ბარაქიანი ჰქონდა.

- გტკივა? - ჩუმად ჰქითხა ამან.  
- ოდნავ. ნუ ნერვიულობ! ვითევზაოთ. შენთან დათრობა მომენტრა. დავლიოთ... უნდა გავიგო, გუნება ხომ არ გამოგიცვალეს ჩრდილოეთში. ძველებურად ბულკივით სიმთვრალე გაქვს თუ შენც აურიე, ამგენივით?! - იოს ახლაც გაელიმა. მწარედ გაელიმა.

სალამოს, პწკალზე შემწვარ კალმახზე რომ ქეიფობდნენ, ონისეს ხელი არც თვითონ, არც ბიჭება ალარ ახსოვდათ. ზემოდან მომავალი რამდენიმე კაცი დაიწვიეს ვახშამზე. ერთ სტუმარს - ხდება-ხოლმე, ღვინოს ყველა ერთნაირად ვერ იტანს. შორიდან რომ ატყობდე ღვინოსთან დამოკიდებლებას, არ მოიწვევდი, ალბათ, სუფრასთან. მაგრამ, ფხიზელს არასოდეს ეტყობა, რას იზამს მთვრალი. - რამდენიმე ჭიქის მერე, სუფრაზე არსათქმელი წასცდა. მიჰყვა-მოჰყვა და კინალამ ჩხუბამდე მივიდა საქმე. იომ, როგორც ყოველთვის, ზავი ამჯობინა გამწვავებას. გაუგებრობა მოხდაო. სტუმარი არ გაჩერდა. გამზავებელს აკადრა უკადრებელი.

ონისე ასეთების მოთმენას არ იყო ნაჩვევი. აეგდე და გადაშენდი აქედან, თორემ, გაგიერთიანებო თავ-ყბას.

სტუმრებმა თავისი ამხანაგი სასწრაფოდ განარიდეს მასპინძლებს. ხვალ ამოიყვანეთ ფხიზელი, გაკვეთილი უნდა ჩავუტაროო, დააწია სტუმრებს.

ამან ონისე შეაჩერა. ღვინის ბრალიაო, მოუნახა გამართლება სტუმრის უხიაგობას.

- ბიჭო, გამაგებინე, მართლა ეგრე ფიქრობ?!... გასალახავი რომაა, ვერ ატყობ? გადამრევ შენ მე!... შენთვის კაცს ჯერ კიდევ არა აქვს დაშავებული, ნაპატიები რომ გაქვს... შენთან თუ გაუვა, სხვას რომ უარესს აკადრებს, არ იცი?!!... - გუნებაში მაშინდელ, ნასვამ ონისეს უყურებს. იქ, საირმის ზემოთ, წაბლარას პირზე. ცეცხლის სინათლეზე ჩანს ონისეს გაცეცხლებული სახე. იოს ვერ გაურკვევია, რეგვენზე უფროა გაპრაზებული თუ მასთან შეზრდილ, ყველაფრის მპატიებელ და ყველაფრის მიმტევებელ მეგობარზე.

ერთხელ განაფუჭები ხელი მოიტეხა ონისემ. ლია მოტეხილობა ჰქონდა. ამან, ხორციდან გამოჩრილი ძვალი და თქრიალით გად-მომავალი სისხლი რომ დაინახა, კინალამ ალებინა. ბიჭებმა სისხლი ბანრის გადაჭრით შეუჩერეს და არტაშანი დაადეს. ონისემ იოს დაღმეჭილი სახის დანახვაზე ბიჭებს თხოვა, მიხედეთ, ეგ უფრო გლახადააო.

მიიყვანეს საავადმყოფოში. დამსხვრეული ძვლების აწყობას დიდხანს მოუნდნენ ექიმები. ხელი ააწყვეს, თაბაშირი დაადეს და საკონტროლო სურათი გადაუდეს. რამდენიმე ადგილასააო ძვლები ერთმანეთს აცილებული. ხელახლა იყო გასასწორებელი და ჩასასმელი. გავაყუჩითო, ექიმმა. გაყუჩება რად უნდა, დაამ-სხვრიეთ და ხელახლა ააწყვეთო, უთხრა ქირურგებს. ღიმილი არ მოსცილებია სახიდან. „ძალიან ძლიერ ტკივილს გაუძლო“ - ახალ-გაზრდა, მათი კბილა ექიმის ფრაზა დაამახსოვრდა. ჩაუსწორეს და ხელახლა ჩაუსვეს თაბაშირში ხელი.

ახლა დიდი ოთახის შუაში, კუბოს ფორმის საყინულები წევს. ხვალ კუბოში გადაწვენენ და დაასაფლავებენ ბიჭს, რომელსაც არანაირი ტკივილის არ ეშინოდა. კიბოსას კი, ვერ გაუძლო...

ძმისშვილები ბიძასთან, დედის ძმასთან გაუგზავნია, ამოვი-დესო.

ბალიშები და საბნები დაუფარებია, ძმისშვილები რომ არ შეეშინებინა.

ორპირიან „ცენტრალს“ არასოდეს უღალატნია ონისესთვის.

არც უკანასკნელად დააღალატა. ორივე ჩახმახი გამოუშლია ერთად...

- რატომ მოიკალი თავი, ბიჭო?!... რატომ გაიქცი?... რაა, მაინც, ეგ დაწყევლილი კიბო, ასეთი აუტანელი და უსაშველო?!... მოტეხილი ხელიდან გამოჩრილმა ძვლებმა ვერ შეგაშინეს... შენ არ მოგეელა თავი, ცოტა კიბო და უარესია ამ ქვეყანაზე?!... - ჩურჩულებდა საღამოს, სამზადში, მეზობლების მიერ გაწყობილ ხარჯის სუფრასთან. არაყი დამალევინეთო, სთხოვა ბიჭებს. სიმწარე არ უგრძევნია. გული ვერ გაულხო სამმა დიდმა სავსე ჭიქამ... ან, სიმთვრალეს ვერ გრძნობდა, ალბათ. ეგონა გულში ელაპარაკებოდა ბავშვობის ამხანაგს. - ქალივით ვტირი, ბიჭო!... ქალივით!... საავადმყოფოდან მორფის მთელი მარაგი რომ არ წაელოთ ორფეხა ცხოველებს, ხომ შეგიმსუბუქებდნენ ტკივილებს?!... რამდენს, შენნაირს, კიდევ?!...

მეტი არაფერი უთქამს. თევზზე ხელუხლებელად იდო ცოტა ხნის წინ გადმოლებული სახარჯო ლობით. მხოლოდ მწნილს მოაწინვნა ცოტა. ჩუმად დალია რამდენიმე ჭიქა ღვინო. ჭირის სუფრააო, ღვინო დაუსხეს ბიჭებმა.

თვეების მერე, უცხოეთში გასაგზავნ ავტობიოგრაფიაში, გრაფის - „რისი გაკეთება გინდათ?“ - გასწვრივ მოკლე ფრაზა ჩანერა - „მინდა, ვასწავლო კიბოს უჯრედს, როგორ მოიკლას თავი“.

არაფრით გამორჩეული ბიოგრაფია გქონდა, მაგრამ კინაღამ მომწუსხაო, კიბოს უჯრედის შესახებ შენმა, ერთი შეხედვით გულობრყვილო ფრაზამ და სურვილმა. წლების მერე ეტყვის მისი მიმწვევი პროფესორი.

\* \* \*

ბევრი, ბევრი წელი გასულა უნივერსიტეტის დროიდან დღემდე - კედელზე პროექტირებული სლაიდების ქვეშ ლაზერული მაჩვენებლით ხელში დადგომამდე.

- მაპატიეთ!... ძალიან დავაგვიანე. დამთავრებას მოვუსწარი... - ულიმის მომხსენებელს აუდიტორიაში ეს-ესაა შემოსული ახალგაზრდა პროფესორი. ხელჩანთა მხარზე დაუდევრად გადაუგდია. მარჯვენა ხელის არათითზე უცნაური საქორწინო ბეჭედი იტაცებს თვალს. სამი, ლამაზად დაგრეხილი ოქროს რგოლია ერთმანეთში

ჩაფსკვნილი. ქალი აუდიტორიას ათვალიერებს, ცარიელი ადგილს ეძებს.

- შენ არა, იუნინა, მე დავაგვიანე. - უფრო წასცდა, ვიდრე თქვა. - მხედველობაში მაქვს ერთი ადრინდელი, ექვსი ხუთ-ნლედის წინა შემთხვევა. მატარებელზე დავაგვიანე. - აუხსნა ცნობისმოყვარეობად ქცეულ აუდიტორიას - იმ დაგვიანებამ ცხოვრების მიმართულება შემიცვალა. ამას, თუ გნებავთ, სემინარის მერე მოგიყვებით.

- ნეკნზე გვითხარი! - ხანშიშესული პროფესორი წელანდელივით გულლიად იღიმება. - მანამ კი, თუ არ შეწუხდები, უფრო დაწვრილებით აგვიხსენი მეოზში ქრომოსომების შეწყვილების მექანიზი. სტუდენტებისთვის იქნება საინტერესო. პირველი ოცდაორი ქრომოსომა, გასაგებია, შეწყვილებისას პრობლემებს არ აწყდება. დედისგან და მამისგან ნამეტკვიდრევი სომატური ქრომოსომები ფაქტიურად ერთნაირია. სასქესო ქრომოსომებს რატომ არ ექმნებათ პრობლემები შეწყვილებისას? ყველაფერს თავი დავანებოთ იქსი ზედმეტად მაღალია იგრეკ-ქრომოსომაზე.

- გმადლობთ, პროფესორი! ძალიან საინტერესო კითხვაა. სიმაღლეში განსხვავებას სულაც არ შეუშლია ხელი დუშიკი ბიძიასთვის. ბიცოლაჩემზე ბევრად დაბალი იყო, მარა ლამაზი და ბევრშვილიანი ოჯახი შექმნა. - ყველა იცინის. თვითონაც ვერ იკავებს სიცილს. - ეს ხუმრობით და, სერიოზულად კი...

სიტყვა სირენის ხმამ და აუდიტორიის კარებში გამოჩენილმა მკაცრმა ქალბატონმა შეაწყვეტინა, სასწავლო სახანძრო განგაშია და შენობა უნდა დატოვოთო.

- მეგობრებო, გთხოვთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე. ნელა გავიდეთ აუდიტორიიდან. გოგონები გაატარეთ! მერე ბიჭები, მერე...

- ეგ თქვენ არ გეხებათ! - შეაწყვეტინა განგაშის მაცნე ქალბატონმა. - საგანგებო მდგომარეობის შტაბის უფროსი მე გახლავართ და მე ვიძლევი აქ, ბრძანებებს! - წინ გაატარეთ ბავშვები, ქალები და მოხუცები! მერე სხვები გადით!... ლიფტს წუ გამოიყენებთ, აკრძალულია. ელექტრონერგიას გათიშავენ და შესაძლებელია, გოჭებივით შეიწვათ ლიფტში... - მკაცრი ქალბატონი კიდევ აპირებდა დაზეპირებული სიტყვის გაგრძელებას, მაგრამ ხანშიშესულმა პროფესორმა შეაწყვეტინა.

- სად ხედავთ, ქალბატონო, ბავშვებს და მოხუცებს?!... შვილებო, ჯერ თქვენ გადით, ჩვენ მერე გამოვალთ.

აუდიტორია ნელა დაიცალა. ისე, რომ ლაპარაკი და სიცილი არ შეუწყვეტია.

- როგორ ხარ? რას შვრები? ლმერთო, რამდენი წელი გასულა!... - ხელუავი გაუყარა გვიან შემოსწრებულმა ქალმა.

- ვარ. გელაპარაკები და გიცინი... წლები გასულა, კი. არც ისე ბევრი ხუთწლედია გასული. ათწლედი კიდევ უფრო ცოტა. სამად სამი...

- არ იცვლები.

- გეჩვენება. მუხლები მტკივა ხანდაახან. ესე იგი, დავკაცადი...

- კაცი იცინის. - შენ არ იცვლები. არაა ეს კომპლიმენტი, ფაქტის მშრალი კონსტატაციაა და მეტი არაფერი.

- ვბერდები.

- ისეთივე დამაბრმავებელი ხარ, როგორც მაშინ „ჩაის სახლში“.

- აბა თქვი, „შავი შაშვი“!

- შავი შაშვი... ქალბატონ კორვოს, - ყვავს ნიშნავს იტალიურად - მშვენიერ შავგვრემანს და კიდევ უფრო მშვენიერ დენტისტს უნდა ვუმადლოდე. ისაა ჩემი კბილების უსტაბაში.

- კბილების უსტაბაში... - იცინის ქალი. - და, ამის? - გულზე მიუკაუნა თითი. კაცს სახე შესამჩნევად შეეცვალა.

- არტემისის მონაწილეობა დნმ-ის არაპომოლოგიური ბოლოების შეერთებაში, ფაქტიურად, დამტკიცებულია. რამდენიმე ექსპერიმენტი და მორჩა!...

- იცი, როგორ მიხარია?!... ერთობლივი პროექტის გეგმა უფრო მიხარია თუ შენი გამოჩენა, ვერ გეტყვი.

- მეც მიხარია... გადმოსახტომი ტრამპლინივით ვუყურებ ამ პროექტს.

- საღამოს ჩემთან გელოდები. მთელი „ჩაის სახლი“ იქნება. ნეკნებიც... დაგავიწყდა?!... მივუკაუნე, ოლონდ რამდენს, არ გეტყვი. იუპიტერს გაგაცნობ. ბოლო-ბოლო ნახავს, „სსავი სსასსვი“ სულაც არაა შავი. აი, მისამართი. - ქალმა ფურცლის ნაგლეჯზე დაწერა მისამართი. - რვა საათზე გელოდები. ძალიან არ დააგვიანო, რა!

- მხოლოდ ოცდაცხრა წუთს დავაგვიანებ. მეტს არა.

\* \* \*

ყოფილი კოლმეურნეობის მოედანი ისე შეცვლილა, ვერ იცნო. იგი ყოველთვის ყვავილების ბაზრობასთან ასოცირდებოდა და, კიდევ, „პირიმზესთან“. ასე ერქვა შენობას, სადაც ღილებს აკერებდნენ და შარვლებს კერავდნენ. ფეხსაცმლის არც ისე ძვირი პატარა მაღაზიებით. იომ ყვავილების ფარდულებს ჩაუარა. ღიმილიანი ინტერესით აკვირდება გამყიდველებს და ყვავილებს.

- ყვავილები გნებავთ? - ესმის ქალების, ძირითადად, ახალ-გაზრდების ხმა. ეს ყველას ულიმის. პასუხად არაფერს ამბობს.

ერთ ფარდულში მასზე ათიოდე წლით უფროს ქალბატონს ხედავს.

- გამარჯობათ, ქალბატონო! მეჩვენება თუ, თქვენ ძალიან დიდი ხნით წინ იებს ყიდდით რუსთაველზე? ლალიძის წყლებიდან პირველ სკოლამდე არ მისული, ფოტოატელიეს წინ.

- კი, ძმაო. ვყიდდი. ძალიან დიდი ხნის წინ... ოცდახუთი წელიწადია აქ ვართ. თავიდან გარეთ ვიდექი. შემდეგ ეს ფარდული გავახერხეთ. ვინ ბრძანდებით? მე რომ ვერ გიხსენებთ?!...

- სიყვარული ჩამოგქონდათ ზედა სოფლებიდან. გახსოვთ?!

- იები?!... ჰო, იები.... ასე მითხრა ერთმა ბიჭმა... თქვენ ხართ?

- კაცმა თავი დაუქნია. - დაგლოცოთ ღმერთმა!... ახალგაზრდობა გამახსენეთ. სიყვარულის ყვავილები ჩამოგაქვთო...

- ყურის ქვეშ უცნაური ფორმის ლამაზი ხალი, ახლაც კარგად გიჩანთ. თეთრი ვარდები მინდა, ქალბატონი. თეთრი, სუფთა სულის და სილამაზის ახალგაზრდა ქალბატონისთვის. რამდენი ცალი გექნებათ?

- ცამეტი ცალილა დარჩენილა. - ქალმა ვარდები გადათვალა.

- რამდენი გნებავთ? თუ მეტი გინდათ, გამოვართმევ მეზობელს.

- არა, ათს წავილებ, ქალბატონო. სხვისას ვერ შევურევ. არ იმსახურებს იუნონა.

- კარგი, ბატონო თუ ძმაო... - ქალმა ვარდები ამოაწყო გამჭვირვალე სიფრიფანა ქალალდში შესახვევად.

- არ უნდა შეფუტვა ქალბატონო. შეხვეულ-შებოჭილი სილა-მაზე სილამაზე აღარაა. ველური სილამაზეა მშვენიერება... - შეიძ-

ლება ერთი ფურცელი ავიღო? - დახლის გვერდითა პატარა კარა-დიდან თეთრი ქალალდის ფურცელი აიღო და წერას შეუდგა. - ორ სიტყვას დავწერ და წავალ. ტაქსი არ უნდა გამიჭირდეს...

- ტაქსი უკვე გყავთ. ჩემი ქმარი მიგიყვანთ. ათეული წლების წინა, ისეთი ლამაზი ამბავი გამახსენეთ, ტაქსში ფულს როგორ დაგახარჯინებთ?!...

- გმადლობთ, ქალბატონო, სიამოვნებით ვიღებ სიკეთეს. ოლონდ, თქვენს ქმარს მცირე სამსახურს ვთხოვ. ყვავილები და წერილი ამ მისამართზე მიიტანოს, დაახლოებით სალამოს რვა საა-თისთვის. თუ რვა საათსა და ოცდაცხრა წუთზე მიიტანს, უთხა-რით, რომ ჩემზე უკეთესი მოკეთე არ ეყოლება.

კაცმა რამდენიმე სტრიქონი დაწერა, ფურცელზე ქალალდის მისამართიანი ნაგლევი დააკრა გამყიდველის საწაპუნო მოწ-ყობილობით და წელში გაიმართა.

- აი, ინებეთ!

- ახლავე გავუტან. მანქანა ზემოთ დგას. ჯერ ნაძალადევში უნდა წავიდეს. იქიდან თქვენს მისამართზე წავა. ზუსტად ცხრის ნახევრისთვის მოესწრება მიტანა.

- რვა საათზე და ოცდაცხრა წუთზე. - გაუღიმა კაცმა. - ძა-ლიან, ძალიან მადლიერი ვარ თქვენი. გმადლობთ, კიდევ ერთხელ. არ დაგივიწყებთ სიკეთეს!

- თუ არ გეჩერებათ, ორ წუთს დამელოდეთ! ქმართან ავირ-ბენ და მოვბრუნდები.

- არის, დავიცვა თქვენი საკუთრება! - სამხედრო სალმის-მაგვარი მოძრაობით გააცილა ყვავილების გამყიდველი.

ქალი ორიოდე წუთში მობრუნდა.

- ყავას მიირთმევთ? როგორ გამახარეთ იებით და რუსთა-ველით!...

- არც ყავაზე გეტყვით უარს. - წელანდელივით, ფართო ლიმი-ლით გაუღიმა კაცმა. ორ წითელ ვარდსაც თქვენგან ვიყიდი. ნონას არაფერი უყვარსო გადამეტებული, გიორგიმ...

გამყიდველის მიცემული ორი მაღალი წითელი ვარდიდან ერთს ბეჭედი შეაბა და ვერცხლისფერი ქალალდით დამალა. ფარდულიდან გარეთ გავიდა. თქვენ ადით კაფეში, მალე შემო-

გიერთდებითო, გადასცა ყვავილები ფარდულის წინ მდგარ ახალ-გაზრდა ბიჭის და უკან შებრუნდა. დახლზე მსხვილი ბანკნოტი დადო. ხურდა დაუდევრად, არც დაუხედავს, ჯიბეში ჩაიყარა.

კიდევ ერთხელ გმადლობთო, გაულიმა, ცარიელი ყავის ფინჯანი ქალისკენ მიაცურა და ფარდულიდან გავიდა.

ათიოდე წამიც არ იქნებოდა გასული, ქალს მანქანის სიგნალის ხმა, საბურავების ჭრიალი და გაქცეული ადამიანები ავად ენიშნა. მაკრატელი ფარდულის დახლზე დააგდო და გარეთ გავარდა.

\* \* \*

თბილისური ჩვეულებრივი ქუჩის მაღალი სახლის ერთი ბინის ყველა ფანჯარა გაბრდლვიალებულია. სადლესასწაულო განწყობა ეტყობა. ქვემოდან არ ჩანს, ყველაზე დიდ, სასტუმრო ოთახში სუფრაა გაშლილი.

კარზე ზარის ხმა გაისმა.

მე გავაღებო, გასძახა დიასახლისმა ქმარს, რომელიც ღვინოს ასხამდა დოქებში, გავიდა და სიცილით შემოუძლვა ათიოდე ადა-მიანს.

- ყველა ერთად?! სად მოიყარეთ თავი? - ჰკითხა დიასახლისის გადასაკოცნად რიგში ჩამწკრივებულ სტუმრებს. ისინი საჩუქრებს უურნალ-გაზეთების დაბალ, სამფეხა მაგიდაზე აწყობდნენ და იუბილარს კოცნიდნენ.

- სიურპრიზი?!... სადაა? - ეკითხება სტუმარი ქალი და დარბაზს ათვალიერებს.

- იქნება. დავაგვიანებო, სიურპრიზმა.
- ვინაა არ გვეტყვი? - ინტერესდება მეორე სტუმარი.
- მოულოდნელობას გემო დაეკარგება.
- ბავშვები გაყარეთ სახლიდან? - იკითხა სხვა სტუმარმა.
- ახალგაზრდები და ძველგაზრდები ხვალ მომილოცავენ. დღეს შუაგაზრდები ვიქნებით... კარგის და ლამაზის გახსენების, ძველებურის, ვერდავიწყებულის და დავიწყებულის დროა...

- ჩაიში არყით?!... - რამდენიმე სტუმარმა ერთხმად გაიცინა. კაცები მასპინძლის ქმართან ერთად აივანზე გადიან სიგარეტის მოსაწევად. „ტორპედოს“ გუშინდელ მარცხს თანაბარი რაოდენობით აღმოაჩნდა კმაყოფილიც და უკმაყოფილოც.

ფეხბურთიდან პოლიტიკაზე და, შემდეგ, მამაკაცთა საუბრისა თუ დისკუსიის ბოლო გაჩერებაზე - ქალზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე - საუბრის ამონტურვა ხომ შეუძლებელია?!... კაცებმა, შესაშური ერთსულოვნებით მოქრეს მოკლეზე, თითო სიგარეტიც გააბოლეს და სუფრაგაშლილ დარბაზში შებრუნდნენ.

დასხდომა არ დაემთავრებინათ, შემოსასვლელის ზარი რომ აწყარუნდა. დიასახლისმა კარი გააღო.

- გამარჯობათ ქალბატონო, რვა საათსა და ოცდაცხრა წუთზე უნდა მომეტანა. მოვასწარი!... თქვენ გამოგიგზავნეს.

- გმადლობთ. ხომ არ შემობრძანდებით?

- ვერა, ქალბატონო. სხვაგანაც მაქვს დასარიგებელი. ღმერთმა დაგლოცოთ, გილოცავთ ქალბატონო! კარგად ბრძანდებოდეთ.

დიასახლისს ოდნავ შეაგვიანდა. ნაღვლიანი სახით მობრუნდა სტუმრებთან.

- წაიკითხე, რა! - მიაწოდა ქალალდის ფურცელი ყველაზე ახლოს მჯდარ ქალს და თეთრი ვარდები როიალის თავზე მდგარ ლარნაკში ჩააწყო.

- გილოცავ! ბედნიერებას, სიყვარულს და სიხარულს გისურვებ ულევს! იმსახურებ! სიკეთით გევლოს! ქმარ-შვილი გიბედნიეროს ღმერთმა! ჩემი გულწრფელი მოკითხვა „იუპიტერს“ და „ნეკნებს“! მადლობელი ვარ, ლამაზ ადამიანებს შემახვედრა ბედმა. გამანებივრა თეთრი, სპეტაკი სულის ადამიანებით. დღეს პირველად (და, უკანასკნელად) გითხარი ტყუილი. მოვალო, დაგპირდი. ვერ მოვალ... მაპატიე! დღეს ნონასთან მივდივართ მე და გიორგი. თითო ვარდი სამი წელი ლირს... ყველანი ძალიან ძალიან მიყვარხართ! - ქალმა კითხვა დაამთავრა. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა.

- წამოეყვანა სტუმრად... - დიასახლისს ქმარი ზურგიდან მოეხვია. იუნონამ ზურგსუკან მორკალულ ხელებში მისი წელი ისე მოიქცია, ტელევიზორის პულტი ხელიდან არ გაუშვია.

- დაურეკე, მოიყვანოს! ნამდვილი სიურპრიზი ეს იქნება, თუ იქნება!...

- არ მაქვს ტელეფონის ნომერი. დროებითი ნომრითაა.

- შენი სტუდენტია მისი დისტვილი. გვარი არ მახსოვს. შეეხმიანე სტუდენტებს. ეცოდინებათ.

- ახლავე მოვნახავ! - იუნინამ პულტი მაგიდაზე დააგდო და ჯიბის ტელეფონში ნომრების თვალიერებას შეუდგა. - მგონი მივაგე... - თავისით ჩართული ტელევიზორის უჩვეულოდ მაღალმა ხმამ, არა მარტო ის, სხვებიც დაამუჯჯა.

- ვაგრძელებთ საინფორმაციო გამოშვებას. უბედური შემთხვევა მოხდა თბილისში ორბელიანის, ყოფილი კოლმეურნეობის მოედანზე. ყვავილების ფარდულების წინ მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას შემთხვევითი გამვლელი ემსხვერპლა .... როგორც თვითმხილველები ამბობენ...

- ღმერთო, ოლონდ ის არა!... - ნამოსცდა ერთ სტუმარს.

- დაწვრილებით, თუ რა მოხდა ორბელიანის ბალთან, ნახეთ ჩვენი კორესპონდენტის სიუჟეტში. ნინო გისმენთ!

- დიახ, ჩვენ გამოვკითხეთ თვითმხილველები.

- ჩამომავალ მანქანას პატარა, ოთხიოდე წლის ბავშვმა გადაურბინა. გადაუხტაო, რომ იტყვიან, ისე. მძღოლმა საჭე მკვეთრად მოატრიალა და დაამუხრუჭა. ბავშვი გადაარჩა. მანქანა არც შეხებია. მარცხენა მხარეს მიმავალ თმაშევრცხლილ, ჭარმაგ კაცს, ეტყობა, შეეშინდა. გადაქანდა, დაეცა და თავი ბორდიურის ბეტონის კუთხეს ჩამოარტყა....

- ნეტამც არ დამენახა, შვილო!... ჩემთან იყიდა ყვავილები. თეთრი ვარდები გაუგზავნა ერთ ქალბატონს... - გულამომჯდარი ქალი უფრო მოთქვამდა, ვიდრე ლაპარაკობდა. - თეთრი და სპეტაკი ადამიანიაო, თეთრი ვარდები გაუგზავნა... ჩემს მეულლეს გაატანა... ორი წითელი ვარდი იყიდა, კიდევ. ერთზე ვერცხლის ლამაზთვლიანი ბეჭედი ჩამოვიდა ძაფით.... არ შემაფუთინა. ბეჭედი დამალეო, მხოლოდ. ვარდები ფარდულის წინ მდგარ ბიჭს მისცა. გვიან შემოგიერთდებითო, გავიგონე. შემობრუნდა. ყავა დალია ჩემთან. დღეს ბედნიერი ვარო, ქალბატონო... ყავა რომ არ შემეთავაზებინა, ადრე გავიდოდა... აღარ მოხდებოდა ეს საშინელება... ბედნიერი ვარო, ასე მითხრა... ყავა რომ არ დაელია, უბედურება არ მოხდებოდა...

## ეპილოგი

თქორუავდა. ახალგაზრდა ბიჭებმა - ძმების, მეგობრების და მოკეთებების შვილებმა - ბალდახინი იუარეს. ხელით ატარეს სასახლე სასაფლაომდე. მორიგ შემცვლელს მხოლოდ რამდენიმე წუთით უთმობდნენ კუბოს. მაღვე, ისევ ეხიდებოდნენ.

კუბოს, ჭირისუფლების უკან, სამოცამდე არმისული ხმელი, ჭაღარათმიანი კაცი მიჰყვება. კაცის გვერდით მიმავალ ახალგაზრდა გოგონას ხელში წითელი ვარდი უჭირავს. გოგონას ნაცრემლარები ეტყობა ორივე ლანვზე. ხმამაღლა არავინ ტირის, ნაცრემლარები კი, ყველას აჩნია.

- ქალივით ტიროდა გიო, სოსო ძია... - კაცი, თითქოს არც გაუგონიაო, მიწას დაჲყურებდა. სასაფლაოს ჭიშკარი გაიარეს. ხის მომცრო ეკლესიის ზედა მხარეს ახალგაჭრილი სამარე ჩანდა.

ბიჭებმა სამჯერ შემოატარეს კუბო ეკლესიას.

- მაგის მეგობარი უფრო იყო, ვიდრე ჩემი... ნახევარი საუკუნეა, ერთად მოვდივართ... - დაარღვია ზომაზე მეტად გაგრძელებული დუმილი კაცმა და გოგონას მხარზე შემოხვია ხელი. უკან მომავალი ადამიანები უხმოდ უქცევდნენ მხარს.

კაცმა პროცესიას შეავლო თვალი. ვიღაცას ეძებსო, თითქოს. უცებ მზერა გაუშეშდა. მათ გვერდით ჩავლილ ქალბატონს, ხელში თეთრი ვარდების მოზრდილი კონით, მკლავზე გაუბედავად შეეხო.

- მაპატიეთ ქალბატონო, თქვენ იუნონა ბრძანდებით?!

- დიახ. იუნონა ვარ. თქვენ?!... - ქალის თვალებიდან წამოსული ნაცრემლარის ორი კვალი ნიკაპქვეშ ერთდებოდა. - მაპატიეთ, ვერ გიცანით.

- არ მიცნობთ, ქალბატონო. ამის ნათქვამით მივხვდი. - კუბოს შეხედა კაცმა. - სოსო, ჩემო ბატონო. გიორგის მამა ვარ. ჩემი ბიჭი იოს გაზრდილი უფროა, ვიდრე ჩემი. ეს ნონაა. რძალია ჩემი. ძიას მედახის... - მიაბრუნა გოგონა ქალბატონისკენ.

- ნონა?!... - ქალს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა. - ნონა... ვერცხლის ლამაზთვლიანი ბეჭედი და ორი წითელი ვარდი... რა გული მოკვდა!... - ნინა წვეთების მიერ გაკვალულ ბილიკებს დაყოლილი ცრემლების არც დამაღვა უცდია და არც შემშრალება.

კაცი სიცარიელემ და სიჩუმემ გამოარკვია. სამარესთან ორიოდე ბიჭილა იყო დარჩენილი. დაგეწევითო, ჩაულაპარაკა შემორაგულიდან გამავალ ბიჭებს და ისევ საფლავისკენ მიბრუნდა. ახლოს მივიდა ყვავილების ბორცვთან. კარგა ხანს იყო უძრავად. მერე სასაფლაოს ჭიშკარს გახედა. თბილისელ ქალბატონს ახალგაზრდა გოგონას მკლავი ეჭირა და ხმადაბლა ელაპარაკებოდა. სიტყვები ვერ აღწევდა საფლავამდე.

- გმადლობ იო... მიყვარხარ და მენანები, ძმაო!... ნახვამდის...
- არც კაცის ხმას მიუღწევია ჭიშკართან მომლოდინე ქალებამდე.  
საფლავის ბორცვზე გაშლილ თეთრ ვარდებს სისხლის ლაქასავით აჩნდა წითელი ვარდის ოდნავ გაშლილი კოკორი...

# პოვის

## ეკა ბაქრაძე

\* \* \*

მე მათუსალას ასაკს გადავცდი...  
ყოფნა-არყოფნის მიჯნას გადავცდი —  
მრავლის მომსწრე და ყოვლის მნახველი,  
უხსოვარ დღეთა თანამზრახველი.  
გზაჯვარედინზე ვდგავარ და გელი...  
რამდენი რამე მაქვს გასამხელი,  
მაგრამ სათქმელი მეჩოთირება...  
სიტყვა ყლუპივით ყელში გადამცდა,  
არც სახე შემრჩა, ალარც სახელი...  
მე, მათუსალას ასაკს გადამცდარს,  
ხომ მომიტევებ, ცოდვას გამხელილს?!  
ო, ყოვლისშემწევ, ღმერთო მაღალო,  
უხსოვარ დღეთა ხსოვნის წინაშე  
თავი მიწამდე უნდა დავხარო...  
ვეღარ ვცნობ ევას, ვერც ადამის ძეს,  
ჯოჯოხეთის კუპრს ანთხევს სამყარო!..  
სამოთხის ბალი უწყალოდ ჩეხეს,  
ზურგი აქციეს ხატს და მაცხოვარს...  
ვინ დაუკოცნის სატანას ფეხებს?  
ვინ უწყალობებს ხურდას მათხოვარს?..  
აჲა, შედეგი!  
ვინ არს შემდეგი?  
ვინ არს შემდეგი?!  
ვინ არს შემდეგი!!!  
გზაჯვარედინზე ვდგავარ და გელი  
და უსასრულო ღამეს ვითენება...  
ხის კენწეროზე ნებივრობს გველი —  
უზარმაზარი ჭრელი პითონი...

შემომაშველე ძლიერი ხელი,  
უფალო ჩემო, გზა გამიმრთელე!  
სულს სამარემდე მაინც მივათრევ,  
არ ჩამდგომია მგლის მუხლში დაღლა!  
მე დიოგენეს ფარანს ვინათებ,  
მე მათუსალას ხნისა ვარ ახლა!!!  
მე მათუსალას ასაკს გადავცდი...

\* \* \*

იქ, მწვერვალებზე,  
ბლანტისფერ ნისლში  
არასდროს მდგარხარ?  
ციდან ნაჟური მირონით პეშვი  
არ აგივსია?  
დაკვირვებიხარ, ჯგროდ შეყრილ ღრუბლებს  
ქარი საითკენ მიერეკება?  
ან სიმწრის ოფლით დანაღმულ შუბლზე  
გიგრძნია ფიქრის ცივი შეხება?  
მწვერვალზე მდგარხარ? მოლიპულ გზაზე  
ფეხი არასდროს არ დაგცდენია?  
სამოთხის ბალში, აკრძალულ ხილზე  
თვალი და ხელი არ წაგცდენია?  
დანაშაული ჩაგიდენია?!  
დაუთმენელი დაგითმენია?!  
რა დაგრჩენია... განაჩენია,  
საკუთარ თავს რომ ძალიან ჰეგავხარ  
და ის სხვა არ ხარ, რომ ის სხვა არ ხარ...  
ციდან ნაჟური მირონის პეშვით  
მწვერვალზე მდგარხარ?  
მწვერვალზე მდგარხარ?

## ყანვილკაცობისკენ ახლადფეხადგმულ შვილს

„საულვაშეზე გაუჩრნდებათ ღინძლი და მალე,  
საიალალოდ გაიწევენ, როგორც ხარები...“

ზურაბ კუხიანიძე

საიალალო სურვილებს მალავ  
და ღვინობისთვე გელვრება მაჭრად...  
ახლა ვიხსენებ პატარა წალამს, –  
შენს სადლეობოდ, პაპამ რომ აჭრა.  
ის ლერწმის ლერო ვაზია უკვე –  
გადაწიდნული მწიფე მტევნებით,  
იმ უცხო სურნელს საკმეველს უკმევს,  
შენ რომ ჯიუტად აედევნები!..  
ღვინობისთვეა... დგას თავმომწონედ  
და დედამიწის ივსება ვარცლი,  
ქარით აწენილ ქარვის კონლებს  
მზეს, წვიმას, სველი თითებით ვარცხნის...  
ბევრის მომსწრე და მრავლის მნახველი,  
მაჭარს სისხლივით წამოახველებს, –  
ბერიკაცივით დგას საწნახელი  
და შემოდგომა ისევ ახელებს...  
მზეჩამდგარ მტევნებს ბანივით ბეკნი,  
ჩურჩულით გლოცავს აჩრდილი პაპის,  
შენთვის შექმნილი, ადამის წევნით,  
ვიღაც ვარდისფერ მირაჟებს ჩხაპნის...  
საულვაშეზე გილიმის ღინძლი,  
ჯერ შეუცნობელს გკარნახობს ალლო,  
აწყვეტილ წვივებს სწორებთან იღლი,  
ნავარდი გიხმობს, საიალალო!..  
ვიდრე წვეთ-წვეთად ივსება საწდე,  
გამითეთრდება თოვლით კაწაწი,  
უფალს ვედრებას ზეცამდე ვაწვდენ, –  
შენზე ლოცვით და სულის კანკანით...

სამყაროს ხსენი გასვი კერტებით  
და ცალულელამ გზარდე, ჩაუქად,  
მანამდე, მე არ დაგიბერდები,  
მზეს ერთი სხივიც თუ არ ჩაუქრა!..

\* \* \*

სუბსარქისის ლამეა – სურვილებით გულუხვი,  
სულს უბერავს არევიკ მარილიან მადაურს,  
სიზმრად უნდა შემასვან წყალი, თურმე, თულუხით,  
ბედი ვისთან წამიყვანს, ანდა, საით – სადაურს?  
მარიგებდა მზრუნველი დაზე ტკბილი დობილი,  
ჰქონდა ვარდის სურნელი სიზმარეულ ინანთებს.  
– ის გახდება საბედო, – შენებრ ბედს დანდობილი,  
წყალს ვინც გამოგიწოდებს მანამ, სანამ ინათებს!  
უზინდელი ცეტობის მოგონებებს ვადედებ,  
სუბსარქისის ქარებმა იხმეს პაროქსიზმები –  
ამ ცხოვრების სცენაზე არშემდგარი პა-დე-დე  
და წარსულს შეხიზნული არნახული სიზმრები...  
ჩამიქროლა თეთრონმა უალაგამო ალვირით,  
თრიმლი თვლებს და ტოტებზე თოვლის თექა თამთამებს,  
წლების თეთრად თქარუნში, ზამთრის ციდან დაღვრილი,  
თრთვილი ეთამაშება შემორჩენილ თავთავებს.  
სუბსარქისის ქარია, ჩაუხერგავს ვიწრობი,  
დინჯი ათასწლეული სიწრფოებას იწონებს,  
ახალ ვიბრაციებით რკინასავით ვიწრობი,  
სადლაც მზე იბადება – უკუნის საპირნონე!..  
P. S. უკვე ობი მოედო მარილიან მადაურს,  
ჩაირბინა საბედომ, ბაჩასავით, ბზაკუნით,  
– არსად არ წამოგყვები, სადაური – სადაურს,  
ბედო, აღარ გაბედო ჩანაფიქრი მზაკვრული!

## „სად მიდის გული?“ –

(შემომჩერჩეულა დედამ, გარდაცვალებამდე  
რამდენიმე დღით ადრე)

„სად მიდის გული?“ - კითხულობს დედა,  
უიმედობას თვალებით ამხელს...  
ვერ ვპედავ, სადმე მივჩემალო ელდა  
და, უნებურად, ვარიდებ სახეს...  
სად მიდის გული, რა ხდება ნეტავ,  
როცა განგება იმედებს გართმევს?!  
ეს, მერამდენედ, ჩურჩულებს დედა:  
„გარდაუვალის დათმენა გმართებს!“  
ცრემლივით წვეთავს დალლილ მკერდიდან  
ჯიუტი სენი, ვით დედის ხსენი!  
ვაი, რა უცებ დამიბერდი და,  
ვერც სიბერისგან ვერ დაგიხსენი...  
ფერდაკარგული გული გაფრინდა  
დღემოკლე, უტყვი პეპელასავით,  
გამოქცეული ჩემი ზღაპრიდან  
და გაფრენილი ფრთების სავსავით...  
გული ბავშვივით დაგირჩა გარეთ,  
მოურჩენელი ტკივილის მსგავსად,  
ვპასუხობ დედას: „ტკბილი და მწარე  
გული, არასდროს არ მიდის არსად!!!“

\* \* \*

ცისკრის ათინათმა ღამე დაარბია,  
მზემ ჩამოიბერტყა ოქროს მონეტები,  
მზერა აარიდა სარკმლებს დარაბიანს  
და... სულის ხლართებში ჩაძვრნენ პოეტები...  
მერე, უცაბედად, გაეშვათ ხელი და  
დაეშვა მნათობი, მზით გაიჯირითა...  
იმ ღამით პოეტებს გაუტყდა ძილი და  
მზერით ამოხაპეს მთვარე ცის ძირიდან!

## გამის ხსოვნას

თოვლმა მოწყენილ ხსოვნის ნალიას  
გადააფარა თეთრი ნაბადი,  
რაც მაბადია, შენი კვალია, -  
თოვლივით წრფელი და თვითნაბადი...  
ჩემთვის რომ დაგრჩა გაუკვალავი,  
იმ ბილიქს მძიმედ, კირთებით ვკაფავ,  
თოვს... უსასრულო და უთვალავი  
ეცემა ფიფქი მშობლების საფლავს...  
თოვლი სათუთად ართავს საჩეჩელს, -  
როგორც ზღაპარში - გოგო ობოლი,  
სული სარჩულით შემომაჩეჩეს  
და ვეღარ ვარჩევ ცხადს და მოგონილს...  
შემცივნულ კედლებს იტკიებს კერა  
და ჩაეწმინდა ბუხარს სასულე,  
მარადისობის ბავშვივით სჯერა  
თოვლს... და ფიფქების გამას ასრულებს...

## აპრილაგდე

ვინ ამოხსნა ბედისწერის შარადა?  
დოროც გავიდა, როგორც ენკი-ბენკი...  
არადანი შენი იყო... არადა,  
თავს გახსენებს ამოცლილი ნეკნი.  
არჩევანი, ალბათ ჩემი ბრალია,  
შეჩვეულმა იცის შემორჩენა,  
ჩაილურის წყალი კი არ დალია,  
გაზაფხულმა ამოიდგა ენ.!..  
და აპრილიც, ვიცი, გრძნობის ქალია,  
მარადიულ ვალად ადევს ნეკნი.  
სიჭაბუკე, ჯერაც, ჩაუმქრალია,

არ გათვლილა, ჯერაც, ენკი-ბენკი...  
ვიდრე მარტი რტოებს ამურს არიდებს —  
ჩემი ჩუმი ერთგულების მოწმე,  
აპრილამდე, გულის ამონარიდებს  
გაუმხელელ ბარათებად მოგწერ...

\* \* \*

ჭა დაშრა... ჩატყდა ცხოვრების გვიმი,  
ნავიდა, გულზე მეხატა ვინც რომ...  
სამყარო მნარეს იკავებს ღიმილს,  
გაქრა, მოირლვა ბილიკი ვიწრო...  
ჭა დაშრა... მთვარე მარიდებს მზერას,  
დაღლილ სახეზე ვიფარებ ნიღბებს,  
ცა დაშრეტილი თვალებით მზვერავს,  
პირქუში ორმო წლებივით მიღრენს...  
რადგან ჭა დაშრა... ცარიელია,  
ჭა დაშრა - დაშრა მზის არტერია!  
ვინ მოყვარეა და ვინ მტერია,  
შუბლზე არავის არ აწერია...  
ცარიელ სხეულს ცრემლებით ალტობ,  
ცხოვრების ცრუ მარშს ნაბიჯებს უწყობ...  
და ავსებ თმენის ფიალას, მარტოდ,  
უმისამართოდ, უხმოდ და უწყლოდ!  
ჭა დაშრა!...

## „ფარდობითობის თეორია“

შენელებული კადრებივით გარბიან თვალწინ...  
და როგორც წინათ, ოდესლაც, უწინ,  
ვაერთმნიშვნელებ მთელსა და ნაწილს,  
რომ განვასხვავო კენტისგან ლუწი...  
ვერ ამოვიღე კვადრატული ფესვი ფრჩხილიდან.  
ვერ ამოვხსენი იგრეკები და ვერც იქსები...  
სხვისი ჭირივით გამოჩრილა ღობეს ჩხირი და  
ფერდებზე, მიმხმარ ნეკნებივით, მტკიცა ლექსები.  
განტოლებებით მაბნევს ალგებრა.  
წრეთა სისავსით, გეომეტრია...  
ამ ცხოვრებაში გზა თუ აგებნა,  
ეს ნიშნავს, ყველა რიცხვი კენტია...  
თუ შესაკრებთა გადანაცვლებით,  
ნაკრების ჯამი მაინც იცვლება,  
უსასრულობის ზღვარს რომ გასცდები,  
მართლა, გაგიუდე ხომ შეიძლება...  
ერთუცნობიან განტოლებებით  
ვშიფრავ უმაღლეს არითმეტიკას –  
(რაციონალურ რიცხვთა მეტრიკას)...  
რა არის ყოფა და მატერიკა,  
რიცხვების ელდა და ისტერიკა...  
და, წილადების წინადადებით,  
სამყაროს თხემზე მიდევს ხელები...  
თუ მთელზე, ერთი მეასედით, მაინც მეტი ხარ,  
მაშინ, შენს სულშიც არსებობენ შავი ხვრელები...  
ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი  
ხუთი თითივით გასაგებია,  
„ფარდობითობის თეორია“ კი,  
იმ ცხრაკლიტულის გასაღებია, –  
ღვთიურ ნაწილაკს რომ ახლდა უწინ,

რომლის მიღმა კი ილუზიაა  
თვით აბსოლუტი, კენტი და ლუნი...  
ეს ყველაფერი პარადოქსია,  
ან სიმართლეა, იქნებ მითია?!  
ყოფიერების პირობითობაც,  
ალბათ, სამყაროს ფარდობითია!!!  
ალარც ფიზიკა, ალარც ალგებრა,  
ამ ცხოვრებაში, გზა თუ აგებნა....

# პროგრ

## ვასილ ბერიძე

### მაცალე გრიშა

საიდან დავიწყო არ ვიცი, ერთხელ საათის სამაჯური ამინტდა დამენანა შესაცვლელად, რადგან თავისივე ქარხნული წარმოებისა იყო და ამავე ხარისხისას ფოთში ვერ ვნახავდი, ამიტომ გადავწყვიტე დამეკერებინა.

გავედი ფოთის ბაზარში და დავიწყე მესაათის ძებნა, მიმას-ნავლეს, ორსართულიან ჩაბნელებულ შენობაში შევედი, დერე-ფანში პირდაპირ დგას მაგიდა, ზედ ძველებური ხელის საკერავი მანქანა, კედელზე „ინდკერვა“ აწერია, ხოლო ხელ-მარჯვნივ „საათი“ დიდი ასოებით გაცრეცილ გაჭუჭყიანებულ მუყაოზე მი-ნერილია ხელით, ქვემოთ ძველი მრგვალი ფორმის კედლის საათი ჰკიდია, ჩამოყრილი ისრებით ექვსის ნახევარს აჩვენებს. დახლი-კარები ჩარაზული დამხვდა, გავასავსავე ხელები შემოვტრიალდი ნამოსასვლელად. მარცხენა მხარეს სიბნელიდან მესმის ხმა:

- აგი აქ არ არის, წევიდა, პერერივზე წევიდა, ერთ საათში შემეიარე, შეიძლება, მევიდეს, შეიძლება კრივის დარბაზში იყოს, ვარჯიშობს ხოლმე, კაი ბიჭია, კარგად აკეთებს საათებს, ხარის-ხიანად, აქანე ჭავჭავაძის ქუჩაზე ცხოვრობს, ცოლი ყავს, ორი შვილი... კლიენტურასთან ურთიერთობას მოყვარული მოხუცე-ბული ქალბატონი ჩამოჯდა იქვე დერეფანში საგულდაგულოდ მოწყობილ საკერავი მანქანის მაგიდასთან და გააპა ჩემთან საუბა-რი, თან შარვლის ტოტს კერავს. მივედი ახლოს - ყველაზე მაგარი მესაათე აგია ფოთში! თან სათვალეების ქვემოდან ამომხედა, ხე-ლი მარჯვნივ გაიშვირა - აი, ტაძრის გვერდით კოშკზე რო დიდი საათია, მაგის გარემონტება შესთავაზეს, მარა უარი უთხრა, არა მცალიაო, აბაა!.

- ვაა! მეც შევიცხადე,  
- რა გქვია შვილო?, სიდოური ხარ?, აქანე მუშაობ თუ დასას-ვენებლად ხარ ჩამოსული?, ოჯახით ხარ?... მიყურებს თვალებში,

მადლობა მოვუხადე და სასწრაფოდ იქაურობას გავეცალე, რადგანაც მესაათის მოსვლამდე კი არა დილამდე გამჩუმებელი არ იყო. მე კიდევ სამსახურიდან შეზღუდული დროით ვიყავი გამოსული და არ მეცალა.

იქვე ას მეტრში აპრას მოვკარი თვალი – „ფეხსაცმელების შეკეთება“. ერთმანეთის მიყოლებით ორი ჯიხური იდგა, ერთი - შუშის დიდი ვიტრინით, ხოლო მეორე პატარა კარებითა და პატარა ფანჯრით, რომელიც სრულად სქელი უანგიანი რკინის გისო-სებში იყო ჩასმული. გადავწყვიტე ნათელი მხარე ამერჩია და ასე მენაღე ვანოსთან მოვხვდი. ვუთხარი საათის ტყავის სამაჯურია და ხომ ვერ დამიკერებთ მეთქი.

- ჯობია დაგიწებო, ამას უფრო ცოტა დრო დასჭირდება.

- კი ბატონი, ძალიან კარგი.

საათის სამაჯურის კედლებზე წებო წაუსვა, შემდეგ დადო ჩრდილში გასაშრობად, თან საცეკვაო ჩუსატებს აკერებს.

- ხალხს ფული არ აქვს, საცეკვაო ჩუსატების დაკერებას რომ დაიწყებს, ესე იგი, ძალიან უჭირთ. და შევყევით საუბარს. ბაზარში უამრავი ხალხი დადიოდა, ერთმა ქალბატონმა საქმიანი სახით ჩაიარა ჩვენს წინ. ამ დროს გვერდითა გისოსებიანი ჯიხურიდან გაიმა ხმა:

- გულნარა, მიყვარხარ!

ქალი ერთ წამს შეჩერდა, სახე წამოენთო, გაბრაზებულმა ჩვენ გადმოგვხედა, მე და ვანომ ერთმანეთს გადავხედეთ, მხრები ავიჩერეთ და შევიცხადეთ, მერე ჩაიცინა, ხელი ჩაიქნია, მიხვდა, ვინც იყო და გზა გაგაგრძელა. ჩვენც გაგვეცინა (კინალამ შარში გავეხვით).

- ეს კაცი სულ ხუმრობს, გულნარა აქ მუშაობს, ყოველ დღე ასე დადის, მაღაზიას რომ გაალბს და დაკეტავს, გრიშაც ასე ეხუმრება ხოლმე.

ჩვენთან ჯიხურში ლუდის ბოთლით ხელში შემოვიდა მომცრო ტანის ქარა, გადალურჯვებული სახით კაცი, ადგილზე ვერ ჩერდება, პახმელიაზეა, ძლივს სუნთქავს, არც ენას აჩერებს. ასე გავიცანი მენაღე გრიშა.



- თავი!, თავი!, თვი!, თავი!, თავი!, გამისკდა თავი! ერთხელ, წინა ღამესავით (იცინის) ისე დავთვერი, სახლში აღარ მიშვებდნენ, რა მექნა წამევედი აქანე, ჩემს ოფისში,

- ხოდა, დილით ერთი კიდო დავაყოლე, გლობუსივით მქონდა გაბერილი თავი, შემომიჩნდა ვინცხა გოგო

- გამიკეთე გამიკეთე, გამიკეთე გამიკეთე, აგერ ნახე, დაათვალიერე.

ვერ მოვიცილე ვერაფრით, ხელში შემომაჩეჩა თავისი ჩექმები, მუხლამდე ექნებოდა ყელი, თან დააყოლა: - აგერ აა! მუხლზე გამიკეთე!,

მეც ვეღარ მოვზომე და ვუთხარი:

-ქალბატონო, ისეთ დღეში ვარ, მუხლზე კი არა, სუ რო დამანვინო, მაინც ვერაფერს გავხდები, არაფრის თავი არა მაქვს. გამოვართვი ჩექმა, რის ვაი-ვაგლახით და დევინყე გაკერვა, თავბრუ მეხვევა, თან გულიც მერევა, მოკლედ ცუდად ვარ, ვკვდები კაცი. ათი წუთის მერე აფეთქდა ახალგაზრდა ქალბატონი

- შენ მე ვინა გგონივარ, შე წუნიანო! ბინძურო! რეებსაა, რომ მაკადრებ, უურნალისტი ვარ, გაიგე!

- მე კიდო „საპოუნიკი“ ვარ გეიგე!? მივუყვირე და მივუყარე ჩექმები. რო ეილო ხელში და შემომიქნია ეს ჩექმები, ძლივს გავასწარი იქედან, მერე შეიყარა მთელი ბაზარი, პოლიცია მოვიდა, მაგას „კლეტკებში“ მოვათავსებთო, თქვეს, ვანომ პოლიციელები შემოატრიალა, დაანახა ჩემი გისოსებიანი ოფისი და უთხრა:

- ამას კიდო კლეტკები უნდა, შეხედეთ, სად მუშაობს!

აქეთ პოლიციას ოუტყდა სიცილი, იქეთ ხალხი ხითხითებდა, ამ არეულობაში ვანომ ჩექმა დოუკერა თურმე და მიაწოდა ქალბატონს:

- ქალბატონო, დოუმთავრებია, რას ერჩით, ეტყობა მოგაწოდათ და ცოტა უხეშად მოუვიდა, ნუ გეწყინებათ ხუმრობა უყვარს, ყველამ ვიცით, ცუდი გულის კაცი არ არის ის, ხანდახან არ გამოსდის ხოლმე და არ გეწყინოთ.

მერე მეც გამოვჩნდი, მანამდე რამდენიმე ჭიქა დავლიე, „გატოვი“ ვიყავი მთლა. ბოდიში მოვუხადე და მერე მოყოლა დევინყე, თუ რატომ მომივიდა აი, საქმე, ვანომ ეგრევე მომკიდა

ხელი, იქედან მომაცილა, თვარა ჩემი ბუნდლაც არ დარჩებოდა იქანა.

გრიშამ ლუდი მოსვა, მძიმედ ამოისუნთქა და გააგრძელა:

- ერთხელ ჩემთან მოვიდნენ ცოლ-ქმარი, ქალს ჩექმა ჰქონდა დასაწებებელი, კაი შესახედავები იყვნენ ორთავე, მაღალი, ლამაზი, კარგათაც ეცვათ, კაცი ძალიან დიდი იყო, ძლივს დეეტია ჩემ ბუნაგში, მეც ზრდილობიანა დევინება:

- გოგო, მომაწოდე ეგ ჩექმები.

- დაბრძანდი, გოგო, აქანე.

- გოგო ქუსლიც გაგიკეთო თუ მარტო დავანებო?

ისე შემომხედა, რომ ვიგრძენი უხერხულობა, ამდენი გოგო როვუთხარი, მინდოდა გამომესწორებია, ასე ზრდილობიანა კულტურულად, რო ყოფილიყო ყველაფერი, არ მეწყენიებია მაგისთვინ და:

- მე იმერელი კაცი ვარ და მიტომ მიყვარს გოგოების ხმარება, თვარა... ?

- და დედა! ჩემი სიკვდილი! ეს რა ვთქვი, კაცო, რა მინდოდა მეთქვა და გამემივიდა, ასე თვალებიდან რო დევინებე გაწითლება, კბილებამდე გავწითლდი, დანარჩენი გავფითრდი. ქმარმა რომ გეიგონა, ზემოდან დამხედა და მხრებში გეიშალა, ისედაც არა ვარ ლომივით და მთლა დავპატარავდი, მოვიბუზე ჩიტივით, კილამაც გავქრი, მარა ჩემი საცოდაობის შემხედვარეს ქმარს სიცილი ოუტყდა და გადავრჩი. ერთი ცხოვრება გავათავე. ბოდიშებიც ბევრი ვიხადე და დილით ჩავაბარე ჩექმა გაბზიალებული.

ამ საუბარში ბევრი ვიცინეთ, დროც გავიდა, ჩემი საათის სამაჯურიც დაწებდა, ვანო ფულს არ მართმევდა

- არ გამოვა, ძმაო, ესე საქმე, რომ დამჭირდეს, სხვა დროს ხომ უნდა მოვიდე. ძალით დავუტოვე ფული, გამოვემშვიდობე და კარგ ხასიათზე წამოვედი.

## ორი აღდგომა და გიზი თაზო

2018 წლის 9 აპრილი გათენდა, შემწამა იმისმა გრძენობამ, რომ ვარ და თან არ ვარ ქრისტიანი, უფრო სწორად, არ ვარ მორწმუნე. ჩემი ოჯახი ტრადიციული ქრისტიანი ოჯახია, დაწყებული წინაპრეტიდან დღემდე მოსულებს რა არ გადაუტანიათ იმისთვის, რომ ქართულად გვესაუბრა და ქართველია, ეთქვათ ჩვენთვის. ჩვენს მხარეში ქართველს მართლმადიდებლებს ეძახდნენ, ფრანგებს—კათოლიკებს, მუსლიმებს—თათრებს, ხოლო გაერიგორიანებულებს—სომხებს. გენეტიკა აზელილია სარწმუნოებაში და ერთ ლამაზ კუთხეში მესხეთში ხდება ეს ყველაფერი.

ყოველ წელიწადს აღდგომას კვირა დღეს (ორშაბათს თბილისისკენ გზაში ვართ ხოლმე) სასაფლაოზე ორ ადგილას გავდივართ, ასპინძაში და საგარეჯოში. აპინძაში პაპა იოაკიმე ბერიძისა და ბებო ელენეს საფლავებია, მათ უკან დიდი პაპა ბასილი და დიდი ბაბო ნინო განისვენებენ. გვერდით პაპას ბიძაშვილი თამაზი, ტარიელი,... პაპის პაპა გაბრიელი ბორჯომის მთებშია დასაფლავებული (ამაზე სხვა დროს აუცილებლად ვილაპარაკებ)... დანარჩენები კი ასპინძის თავზე სოფელ დადეშში... საგარეჯოში ნაცვლიანთ გორაზე - პაპა ლეო ნაცვლიშვილი, ლიუბა ბებო, ბიძა სოსო, დიდი პაპა იოსები და დიდედა მარიამი, ბაბუშკა ანნა ... (დიდი პაპა მიხაილო 1920 იან წლებში მოკლეს, საფლავი არ ვიცით...) დიდი პაპიდა სონია, როლიკო...

ჩემს ოჯახში რამდენიმე დღით ადრე იწყება აღდგომისთვის მზადება, პროდუქტის მოტანა, შემდეგ მომზადება, ჩალაგება, მგზავრობა, მოკლედ სამზადისის 80 პროცენტი მარიკაზე მოდის, მე მხოლოდ სმაში და ჭამაში თუ ვეხმარები ხოლმე. თბილისიდან შაბათს გვიან საღამოს დავიძარით, ჩავედით ახალციხეში, ლამე ვალეში სიდედრ-სიმართან გავათენეთ. დილით ახალციხეში დანიშნულ დროზე ჩამოვედით (ალსდგომას სასაფლაოზე კვირას გადიან ქალაქში წამსვლელები, ორშაბათს კი მთელი მოსახლეობა)

-ხოოოო?, გაკვირვებულმა შეიცხადა ჩემმა ძმამ ბექქემ. - როგორ მოხდა, რომ ერთი საათი მაინც არ დააგვიანეთ?

- რა ვიცი, ბექო, შემთხვევით გამოგვიდა.

- ხოო, კარგი, დროზე-დროზე, საქმეს მივხედოთ. საგზალი მამას მანქანაში ჩავალაგეთ, მერე ბიჭები ჩახტნენ, სადაც უნდოდათ, იმ მანქანაში, მერე გადაიფიქრეს, შეიცვალეს ავტო-მობილი, დაბრუნდნენ უკან და ა.შ... ბიჭები წამოგვეზარდნენ 15-17 წლისები, მინიმუმ ჩემი სიმაღლეები არიან, მეც სიამაყით გადავხედავ ხოლმე ერთმანეთზე უკეთესებს და ამაზე კარგი სანახაობა რა უნდა იყოს, ნათია სახლში დარჩა, გამოცდა ჰქონდა სამშაბათისთვის ჩასაბარებელი, ნახატი დასასრულებელი, ამიტომაც მოუწია თბილისში ყურყუტი.

დიდი ოჯახის ნაწილი – ზვიადი თავისი მონაგარით გავიდა საგარეჯოში საფლავებზე, ხოლო დიდი ნაწილი – ასპინძაში. ჩვენ-თვის ეს ტრადიცია წარსულებთან და ნათესავებთან შეხვედრის ფორმაა ალბათ, გრძელდება, რაც კი თავი მახსოვს და გადადის ჩემს შვილებზე და ძმის შვილებზე. ასპინძაში სასაფლაოზე ერთი უზარმაზარი რკინის მაგიდაა, პაპას დაფენის. დედამ, მარიკამ და მაკომ მშვენიერი სუფრა გაშალეს, მამამ 8 წლის დაძველებით რქანითელი მანქანიდან ამოილო და მაგიდაზე დადგა, თან ჩვენს გასაგონად ორჯერ გაიმეორა, კარგი ლვინოაო. ბიჭები მთელი დილაა ხუმრობენ და გვაშაყირებენ, სალოს ეთამაშებიან და ეფე-რებიან. ამინდმაც შეგვიწყო ხელი, მზემ გამოანათა და სითბოთი დაგვასაჩუქრა, ბიჭები სალომიასთან ერთად გავინენ საფლავებზე და სანთლები დაანთეს, წითელი კვერცხებიც დააგორეს, იქვე ისხდნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ. სუფრაზე დიდი ქოლგები დავაყენეთ, წვიმას და მზეს რომ არ შევენუხებინეთ. ცოტა ხანში ტრადიციულად მოვიდნენ მამიდაჩემი გულიკო, ბიძა ვაჟა, მამი-დაშვილი კახო და თეო ბავშვებით, სოფო დიდი გოგო გამხდარა, ელენე სპოტსმენი გვყავს, ტანმოვარჯიშე და ელასტი გოგოს ვეძახი ხოლმე. დიდი ხნის უნახავები ერთმანეთს ვეფერებოდით და სუფრაც დაიძრა ნელა-ნელა. მამამ რამდენიმე ჭიქა დალია ბექი არ სვამდა, ბიძაჩემიც მაღალი შაქრის გამო მალევე გაჩერდა, რიტუალის დასრულება მე და კახომ ვითავეთ ბოლომდე, ალბათ ყველა წასულიც და ცოცხლებიც ვადლეგრძელეთ, კარგადაც გამოვთვერით. ბევრი მოვიდა სუფრასთან, მეგობრები თუ ნათე-სავები, ჩემი ნათლული ლუკაც და დათოც შემეხმიანნენ. საღამოს დავიშალეთ, დანიშნულების ადგილამდე მიყვანა მეულლეებმა

იყისრეს. გზაში ფაზენდაზე შევიარეთ წყაროეკლესის წმინდა წყალი დავლიერ და ჩამოვედით ახალციხეში, ვისიამოვნე ძალიან!

საღამოს ბიძა ბექას და ძმიშვილ ბექას პაექტობას ვუყურე, მერე პაპა მერაბმა დაისვა თავისი შვილიშვილების ნაწილი მერაბი, ბასილი, ბექა, საბა, სალომია, და უყვებოდა თავის მოგზაურობის „ოქროს საწმისის“ შესახებ, თუ როგორ დაეშვნენ ძველი ტიპის გემით რიონზე ზესტაფონიდან, როგორი ტანსაცმელი ეცვათ, დადიოდნენ შუბით (სატევრით, ქურქი არ გეგონოთ) რამდენჯერ სიკვდილს თვალებში ჩახედეს, როგორ გაიტაცა ხომალდი ქარმა და შუაგულ ზღვაში შეცურეს იალქნიანი გემით, როგორ ამოყვინთა მათ გვერდით წყალქვეშა ნავმა და საზღვრის დაცვის საბრძოლო კატარლით წამოიყანეს უკან ფოთში.

ღამე კვლავ ვალეში გავათენეთ.

დილით ავდექით კარგად წავიხემსეთ, - წავედით მარი? - წავედით! მიპასუხა და დავიძარით ვალის კათოლიკურ სასაფლაოსკენ, სადაც მარიკას წინაპრები და უამრავი წათესავი ასვენია. კათოლიკური და მართლმადიდებლური აღდგომა ერთმანეთისგან განსხვავდება, კათოლიკები ერთი კვირით ადრე გადიან ხოლმე, ხან ემთხვევა ჩვენსას. წელს წინა კვირას იყო ხალხი გასული, თუმცა არც მართლმადიდებლურს ერიდებიან, აღნიშნავენ ორჯერ. მარი ალბათ 8 წელიწადია რაც თავისი წინაპრების საფლავებზე არ გასულა და სანთელი არ დაუნთია. დილის 10 საათია, სასაფლაოზე კანტიიუნტად მოჩანს ხალხი, მერი წინ მიგვიძლვება გვაჩვენებს საფლავებს: აგერ მარის პაპა და ბებო-ედუარდ მოსეშვილი და მანიუა, შალვა, პაპის ძმა ექიმი იყო და პოეტიც, მისი საფლავის ქვას თავისივე ლექსი ამშვენებს, აგერ ბიძები, სასაფლაოს ძველ ნაწილში დიდი პაპა იაკობი და ბებო სალომე. -დე, მეც სალომე მქვია და შენს დიდ ბებიასაც? გაიკვირვა სალომიამ, მარიკას გაეღიმა -კი დეე! დაანთეს სანთლები, ნიავი ცოტა ხელს უშლიდა აალებას, მზე აჭერდა ნელა, ნელა, მაგრამ მთიდან წამოსული ცივი ნიავი გვეფერებოდა სახეზე და მზის მხურვალებას ანელებდა. დაანთეს სანთელი ქეთინოს საფლავზე, სამი შვილი დარჩენია საწყალს.

- აგერ შავლეგო. ახალგაზრდა შვილის საფლავს დასტრიალებს დედამისი, საფლავის გარშემო ყვავილები დაურგავს და

ულამაზეს ადგილად გადაუქცევია, ყოველდღიურად მოდის, უვლის. ყვავილებს წყალს უსხამს: - რაღა დამრჩენია ამ ქვეყანაზე, ჩემი ვაჟაპატა აქ მიწევს, ხომ იცი მარიკა, როგორი ბიჭი მყავდა! ცოტა წამოუტირა და ცრემლები გადაყდაპა, მას სატირალი მერე ჰქონდა, ახლა კი ბიჭის სამყოფელისათვის უნდა მოევლო. სანთლები დავანთეთ, წამოვიწიეთ ცოტა წინ -ქრისტე აღსდაგა! შემოძახა რიხიანად ახალგაზრდა კაცმა, -ჭეშმარიტად აღსდგა! ვუპასუხე. ხელში სანთლები და ჩვარი ეჭირა, ცოტაც ჩაიარა, მივიდა ახალგაზრდა ბიჭის საფლავზე, ჩაიმუხლა, სამი თლილი ქვისგან აშენებულ სასანთლეში სანთელი დაანთო, რამდენიმე წუთით თავჩალუნული იჯდა თავისი შვილის საფლავთან, მოიწმინდა ცრემლები ისე, რომ ყველას არ შეემჩინია. ფრთხილად სუფთა პირსახოცით ნაზად დაიწყო საფლავის ქვის წმენდა, ჯერ სახე განმინდა ნელა, ეფერებოდა ისე თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს, გულზე დაუსვა აკანკალებული ხელი და მერე ტილო, ხელები ჩამოწმინდა და თან ცრემლები შეიწმინდა.

მარიკამ ცრემლები კიდევ ბევრ საფლავთან დალვარა - საწყალი მამუკა, -აგერ ლერი, ლერის შენც იცნობდი-მეუბნება და მახსენებს თავის კლასელებს.

სასაფლაო გაზრდილა ძევლი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე გადასულა. ნელა-ნელა ხალხი მოდის აღდგომას აღნიშნავს, სუფრები იშლება, ბავშვები დარბიან, ერთ-ერთ საფლავზე პატარებს სანთლები დაუნთიათ და - რა ლამაზი დღეააა, რა ნათელი დღეააა.... უმღერიან თავიანთ წინაპრებს... ავუყევით აღმართს თუ არა, გავიგეთ ვიღაცის ღრიალი, თუ ტირილი, ძნელად გასარკვევი იყო, მოთქმით ტიროდა სიტყვები არ ისმოდა, განწირული ხმით ღრიალებდა. ვათვალიერე, ვერავინ დავინახე, მალევე შეწყდა. ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში დაბრუნდა, გააგრძელდა სადლეგრძელოები, ბავშვები სანთლებით თამაშობენ და ამ დროს კვლავ გაისმა განწირული ღრიალი, დატირება, საფლავზე ამოსულებს შეეშინდათ. ვიფიქრე ხმამაღლა -ვინმეს ხომ არ ტირიან?, ახალი მიცვალებული ხომ არ არის მეთქი, -ვინ არის ხომ არ იცით? იქვე მდგომმა მიპასუხა -გიუი თაზოა ეგ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ხელი ჩაიქნია, ჭიქაც მომანოდა. წასულების ვთქვი და გავაგრძელეთ გზა.



გიუი თაზო ასეთი დაიბადა, საუბარიც კი არ შეუძლია, ბევრიც არ ესმის, ვერც ვერაფერს გეუბნება, სიტყვებს ვერ ამბობს, ძნელად გაგებინებს თუ რამე უნდა, მაგრამ გრძნობს სიყვარულს, სიხარულს, მონატრებას, სხვის ტკივილს და მწუხარებას, რასაც ბევრი ჩვენგანი ვეღარ გრძნობს და ვერც ხედავს.

აღდგომის დღესასწაული, გარდა სასაფლაოზე ქეიფის და დროს ტარებისა, ისეთი დღეა, როდესაც აღსავლის კარიბჭე იღება და ცოცხლები და გარდაცვლები ერთიანდებიან. ჩვენ, ყოფიერებისაგან დაბრმავებულები, ამას ვეღარ ვხედავთ და ვერც ვგრძნობთ, ხოლო თაზო ამას მთელი გულით და სხეულით შეიგრძნობს, ხედავს და სტკივა ის, რაც სტკივათ გარდაცვლილებს, ხედავს იმას, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია.

თაზო დადიოდა და ტიროდა სხვა და სხვა ადგილზე. ერთგან შეჩერდა და ღრიალებდა, თან ცრემლი სდიოდა. რამდენიმე წუთის მერე მივედი ზუსტად იქ, სადაც თაზო მოსთქვამდა და ის ადგილი შევათვალიერე, მწვანე ბალახში ნახევრად მიწაში ჩამალული ქვა შევნიშნე, მაშინ კი მივხვდი, რომ თაზო ტიროდა იმათ, ვის საფლავებზეც არავინ მოსულა, კვერცხი არავის დაუმტვრევია, სანთელი არავის დაუნთია, შესანდობარი არავის უთქვამს, ლოცვა არავის წაუკითხავს. სამარიდან ამოსული ვაება, გმინვა გაახმოვანა და უზარმაზარი სულიერი ტკივილი დაგვანახა.

ჩამოვედით კვლავ ქვემოთ, ძველი საფლავებისკენ, უკვე წასვლას ვაპირებდით, როდესაც გავიგონე რაღაცის ბრახუნი. გავხედე, თაზოს ორივე ხელში აუღია დიდი ქვები და რკინის მაგიდას გამალებით ურტყამს, ცოტა არ იყოს შემეშინდა, სადმე არ ისროლოს და ვინმეს არ გაარტყას მეთქი, მაგრამ არა, რაც ძალა და ღრინე აქვს რკინის მაგიდას ურტყამს. შორიახლოს მჯდომმა მამაკაცებმა შეიცხადეს -ვინ არის?! რას აკეთებს! გიუი ხომ არ არის?!-ეეე! მივხვდი რომ შეიძლება სხვანაირად გაგრძელებულიყო სიტუაცია და ვუთხარი -ადგილობრივია, ჩვენებურია ნუ ნერვიულობთ, მივანიშნე, რომ ნერვების ასაშლელად არ ღირდა. მე კი გაფაციცებით ვუყურებ იმას, რაც იქ ხდება და მაინტერესებს, ბოლო რა იქნება. თაზო კი თავჩაღუნული მთელი ძალით ურტყამდა რკინის მაგიდას ქვებს და ღრიალებდა, უცბად გაჩერდა, თავი წამოსწია, ზეცას შეხედა, ხელები ნელა დაუშვა და ქვები მიწაზე დაყარა,

მკერდი ცას მიუშვირა, ცრემლიანი, ცინგლიანი და დორბლიანი პირი გახსნა და არაადამიანური ბოხი ხმით დაიღრიალა დამარცვლა - ქრისტეე ალ-დგაააა!! შევძახე -ჭეშმარიტად ალსდგა! ყველა გაოგნებული დარჩა და სასაფლაოზე ჩამოწვა სიჩუმე, ხალხის მზერა და გონება მიემართა თაზოსკენ. გიუმა გადმოხედა ხალხს და ულრიალა, ახლა მთელი ძალით მუშტები დასცხო რკინის მაგიდას, მერე გაჩუმდა, ახედა ცას, გაშალა ხელები, დაეშვა მუხლებზე, მკერდი წამოსწინა წინ და არაადამიანური ბოხი ხმით უფრო ხმამაღლა გამართულად დაიღრიალა: ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა ა ა! სასაფლაოზე მყოფებმა უკლებლივ ყველამ ხმამაღლა შევძახეთ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ა ღ ს დ გ ა! შემდეგ მოიწმინდა ცრემლიანი და დორბლიანი სახე, თავი ჩამოუშვა და წყნარად გაეცალა იქაურობას.

Ps. ასე გაგვაერთიანა სასაფლაოზე მყოფი ხალხი გიუმა თაზომ და მოგვწყვიტა ყოფიერებას!

# იმიტობრივი პრიზი

## ნინო ბერიძე

### ასპინძა!

იდგა აპრილი ასპინძაში, მოჰქუსდა მტკვარი  
და ხარ-ირემი ვარძიაში ბლაოდა მწარედ.

- ხერთვისი დუმდა, ძირს დაეშვა ნაბრძოლი მხარი,  
ნიჯგორში მიწას დაჰფენოდა მტირალა ვაზი.  
ნაქცეულიყო იმ დღეს ასპინძა-გამოლეოდა ღონე და ძალი,  
მესხეთში მტერი დათარეშობდა, საათაბაგოს ყმუოდა მგელი.  
იდგა აპრილი თვალებში დარდით - გვიახლოვდება ოსმალოს  
ჯარი.

სამი ათასი ქართველი ვაჟით, მეფე ერეკლე ასპინძას მოდის.  
ფიქრიანია პატარა კახი, გარუსებული ტოტლებენი ღალატობს  
მეფეს

და ამ ღალატით გამარჯვების გვიდგება ჟამი.  
როგორმე უნდა გადავხერხოთ ხიდის ბურჯები  
-მუხრან ბატონო, ერისთავო, ბორჩალოელო..  
უნდა ვიბრძოლოთ დიდებული მესხეთისათვის,  
უნდა გავწიროთ სათითაოდ სიცოცხლეც, თავიც.  
იმ დღეს ღმუოდა ასპინძაში კაცის ხმით მტკვარი  
და ქართველთა ხმლებს სისხლი სდიოდა. ჩვენ გავიმარჯვეთ  
აპრილის თვეში

ქართული გენით, ქართული ჯიშით,  
ერკოტის ფერდზე გორაობდა კოხტა ბელადის უთავო ტანი,  
ოსმალოს ჯარი ადიდებულ მტკვარში ცვიოდა.  
მხოლოდ ოცდახუთ ქართველ ვაჟებიც დაუღამდა იმ ღამეს თვალი  
და რვა ათასი, ოსმალო მკვდარი.

შეღებილიყო სისხლისფრად მტკვარი.  
ნადიმი ჰქონდათ თურმე მესხებს გამარჯვებისა,  
თორმეტი ხარი დაუკლიათ ხიზაბავრაში.  
იდგა აპრილი ასპინძაში....  
და საქრთველოს ისტორია იწერებოდა.

\* \* \*

თუთობის დროს ავირბინოთ ასპინძაში,  
ჯეჯიმები დავაფინოთ მიწას,  
მერე ერთად დავარხიოთ თეთრი თუთა,  
ფიფქებივით მიწას რომ აცვივა.  
წამო-შენც კი გინწილადებ ღვთის საჩუქარს,  
წამო ერთად გავახაროთ დედა,  
ჭიშკართან რომ ჩამომჯდარა თეთრ წინსაფრით,  
გველოდება, თან იხსენებს სიზმარს.  
დამესიზმრა, თუთობის დროს ამოვიდნენ-  
ჩემ ქოჩორას ენაცვალოს დედა,  
ხუთივენი ერთად  
თუ არ მესტუმრება,  
ჩემი ბიჭი ამოურბენს დედას.  
წამო ბიჭო -ოცი წელი იწურება,  
ოცი გრძელი წელიწადი ჭკნება,  
თუთობის დრო მოსულა და ისევ არ ხართ  
შენ და ჩემი ცრემლიანი დედა.

\* \* \*

როდესაც დედა-მიწა გათბება,  
როცა დავბრუნდები სახლში,  
ბაღში თუთის ხეებს მოვიჩრდილავ,  
ხეზე იჭიკუკებს შაშვი,  
ამ მწარე ხუნდებიდან დავძვრები,  
გავხდები თითის ტოლა ბავშვი.  
როცა დედა მიწა დაწყნარდება,  
მე უნდა დავბრუნდე სახლში.  
ავივლი ნარმანის ბალებს,  
იქიდან გავხედავ ხერთვისს,  
თამარის ნატერფალზე დავდგები,  
ვარძიას შემოვივლი ღამე.  
გავხედავ ვარგავის ქარაფებს,  
ჟანგიან ქვებს ვნახავ თოკში,

როცა დედამიწა გაცოცხლდება,  
როგორმე დავბრუნდები სახლში.  
მერე? ზღვა იქნება ცრემლების,  
მერე? ვიხარხარებ მთებში,  
მტკვრის ზვირთებს ისევ მხნედ დავხვდები,  
ვნახავ კაკლის ხე რომ დავრგე.  
როცა დედამიწა გაცოცხლდება,  
ათასფერ ცისარტყელას ფერებში,  
ნეტა რა ჯანდაბად გეფიქრებათ  
და რა ირონით მიღიმით-  
არ გჯერავთ დედამიწის დაწყნარების,  
ფიქრობთ გვიანაა სახლში?

\* \* \*

თითქოს ერთად დავიბადეთ  
ერთად ვწევდით სევდის ჭაპანს,  
ხან გაღმისკენ მივდიოდი,  
ხან გამოღმა აცა-ბაცა.  
დარდი მქონდა, არ დაკარგვის  
ჩემი იყავ სულ და მარად.  
გიმლეროდი, ძილად მისულს  
ჩემი წინაპრების ნანას  
სხვა სიმღერა არ ვიცოდი, დამიტოვა  
პაპის პაპამ - მინდვრად  
ვნახე თეთრი ქვაო  
დავკა ხელი არ ამყვაო,  
ერთი ქალის სიყვარული  
ერკოტაშიც კი გამყვაო!  
ხო და ასე ვეზიარე  
ერკოტას და ხვილიშასო  
დანგრეული ჩიხორიში  
სულ მიბნევდა თავგზასაო  
არავის არ ვუყვებოდი,  
დამალიდან რაც ჩანდაო.

ხან კაკაველს გავძახებდი  
ხან ბუზმარეთს ვთიბდი ბალახს.  
ვერ შევირგე შენი ძუძუ  
გადაიქცა თაფლი შხამად.  
გილალატე სიკეთის დროს  
ისევ, აცა- ბაცა დავალ.  
ის ჭალები და ის ზვრები,  
ახალ ციხის კართან დამრჩა.  
სისხლის ფერი ყაყაჩოს ტყე  
თურმე იდუმალას გახმა.  
ვეფხისტყაოსანის ძალა  
ვერვინ ვერსად შემასწავლა.  
ერთმა კარგმა მესხმა ბიჭმა  
ვაზის დარგვით გამახარა.  
ვარძიიდან მოძახილმა  
ვარნეთს მგლები გადაყარა.  
თუ მე ველარ ვუპატრონე,  
შენ გათოხნე ჩემი ყანა.  
იქნებ დარდიც დამიმოკლდეს  
ის იმედიც გაჩნდეს თანა.  
აღარ წახდეს ჯავახეთი  
სამცხემ დამკრას გულში დანა,  
ზარზმიდან რომ ზარს დარეკენ,  
საფარაში გადიდარა.  
მტკვარზე ბადეს რომ გაშლიან  
ოცხეს დაიჭერენ კალმახს.  
შენი დარდი თუ არ მექნა  
მიწას უდარდელად წავალ.  
ჩემო მესხეთ-ჯავახეთო  
ჩემო მზევ და ჩემო ჭალავ,  
უნდა ისევ აღორძინდე,  
დაიბრუნო შენი ძალა.

## ცხოვრებას!

როდესაც ასჯერ მომატყუე და მაინც მჯერა,  
თვალდახუჭული მივუყვები შენს ლაბირინთებს,  
ამ შემთხვევაში მე ვარ სულელი,  
შენ კი სახელად- ჭკუის კოლოფი.

როცა ტირილით გულს ვიჯერებ, ვასველებ ბალიშს  
არ მეგულება ცრემლის მომწმენდი დედამიწაზე,  
შენ მაინც ცრუობ და მახარებ ბევრი ტყუილით,  
ნარმოიდგინე, მე გისმენ და ისევ გიჯერებ.

როდესაც გარეთ საშინელი ქარიშხლებია,  
და მე წკარამში ბილიკს ვეძებ ვერ გამიგნია,  
შენ მატყუებ, რომ ყველაფერი იქნება კარგად,  
და მეც იმედით არ მეშინია.

სადამდე გინდა გამინენო ცხოვრების წლები,  
სადამდე უნდა დამიმტვრიო გაშლილი ფრთები,  
სადამდე უნდა მომაწვდინო ტყუილი ხმები,  
სადამდე უნდა წამიშალო სავალი გზები.

როდესაც ასჯერ მომატყუე და ასმეერთედ  
კვლავ თავს დაგიხრი-  
უსინდისო ხარ ცხოვრებავ ჩემო,  
მე კი სულელი.

\* \* \*

რად მომინდა, ხვილიშაში გასვლა,  
რად მომინდა ჩიხორიშის ნახვა.  
მარტიაო გაზაფხული დადგა,  
ვერ ვაჩირებ ჩემს გულს, უკვე სხვაგან.  
რად მომინდა ვარძიაში ასვლა,  
კაკაველში ენძელების ნახვა.  
არ მოწყდეო ფესვებს არასოდეს,  
დედის სიტყვა გონებაში ჩამრჩა.  
რად მომინდა წარიმანში ჩასვლა,  
ერკოტაში ენძელების ნახვა.

გაზაფხულდა შემომძახა მარტმა,  
მოიმატა, სამშობლოზე დარდმა.  
არასოდეს მინატრია ფრთები,  
სხვაგან მცივა და ვერასდროს ვთბები.  
ათასფერად აჭრელდაო მთები,  
მეძახიან, ყურთან მესმის ხმები,  
ეჩეუბება ფარავანი მტკვარს და  
ნუ გამატან მათი ჩხუბის დარდსა.  
როგორ მინდა ასპინძაში ასულა,  
ამ ჩხუბისთავ ფარავანის ნახვა.

## სახლი

სახლს ქონდა ასი სარკმელი, არცერთი იყო ჩემი,  
ირგვლივ სიჩუმე მეფობდა და მიყურებდა ღმერთი.  
ტყე ღრეში ვხეტიალობდი, სიცოცხლე ჩქეფდა ირგვლივ.  
ათასი ჯიშის ყვავილი ფეხქვეშ გამეგო დილით.  
ცვარ- ნამით დასველებულზე მზემ დამიბანა პირი,  
ისეთი ქვეყანა ვნახე, მეგონა სიზმრის ხიდი.  
არ იყო ჩემი სამოთხე - სხვისას ვიდექი მდგმურად,  
არც სახლის კარებს მიღებდნენ, არც მეძახოდნენ სტუმარს.  
ვიდექი - გულ ჩახვეული, არად მაგდებდნენ მდუმარს.  
ას სარკმელს ერთად ვუმზერდი, არ მქონდა ჩემი ბინა.  
მაინც ბავშვობას ვეძებდი, ქოხს, სადაც პაპას ძინავს,  
ჩემს ია-იას ვუხმობდი, რომ მინათებდნენ დილას.  
დედას ვეძებდი, უბეში ჩამძინებოდა თბილად,  
სანამ მე ოქროს ვეძებდი ხელს შემრჩა სხვისი წვიმა.  
ცრემლებით დასველებული,  
სხვის კარზე დავრჩი მდგმურად.

## ემიგრანტი!

ყოველი დილა გეუბნება რაღაცა ახალს,  
იმედით უცქერ გათენებას  
თან გეშინია, უნდა მოასწრო  
სიბერემდე და შემოდგომამდე,  
თორემ ხვალ და ზეგ იქნება გვიან.  
ასე გრძელდება უსასრულოდ-  
საათები, კვირები და წლები ....  
დამძიმებულხარ ტვირთის ტარებით,  
თუ ვინმეს იმდენს არ უგზავნი, რაც შემოთვალა,  
ალარც გეითხულობს, არც ედარდები.  
შენც ანანილებ შენს ნაცოდვილარს,  
გატეხილი ცხოვრების ფასად...  
ამასობაში ცხოვრებაც გადის და ის ეშმაკიც  
შენ წილ ცხოვრებას სულ ჩუმად გპარავს.  
- არ ხარ მართალი, ბედის მწერო,  
არ ხარ მართალი, მაგრამ შენ მაინც იგონებ ახალს.  
თუ გაგილიმა სიბერემ და სახლში დაბრუნდი...  
ქანცგანყვეტილზე ადგილს ვერ ნახავ,  
სადაც გიცნობენ, ან მიგილებენ ან დასჭირდები.  
მერეე? ერთ ნაბიჯს არ გპატიობენ.  
მიგვატოვაო, ნავიდაო... უდედოდ დავრჩით,  
მის გამოგზავნილ ცრემლიან ფულს  
რა თავში ვიხლით.

# პროგრ

## რობერტ ბერიძე

### ბეჭის ირონია

#### ისტორიული მოთხოვა

თეირანის ერთ-ერთ ღარიბთა უბნის ძველისძველ სახლში მარიამ ლვისმშობლის პატარა ხატის წინ სანთელი ენთო. ბინდდებოდა. ჩამავალი მზის სხივები ძლივსლა აღწევდა ისედაც ჩაბნელებულ ვინწოსარკმლიან ოთახს. ბინის ერთ კუთხეში ხის ტახტზე თეთრწვერა მოხუცი კაცი იწვა და უაზროდ მისჩერებოდა ჭრაქის კვამლისაგან გაჭვარტლულ ჭერს.

ტახტის გასწვრივ კედელზე ჩამოკიდებულ ძველ ხალიჩაზე ქამარ-ხანჯალი და ხმალი იყო ჩამოკონწიალებული.

იქვე ტაბლაზე წყლით სავსე თუნგი და ფინჯანი იყო შემოდგმული.

ო, ეს კაცი, მოხუცი კაცი, ამ კაცს ერთ დროს კაცი ეთქმოდა, მაგრამ ახლა ამ კაცში მხოლოდ კაცის აჩრდილს თუ შეიცნობდით. ყოველდღიური ცხოვრებით წამებულს მხოლოდ წარსულის მოგონებებიდა აცოცხლებდა, მოგონებები კი ბევრი ჰქონდა, ძალაზედ ბევრი...

ო, ეს კაცი, თავის თავს ყველაზე უბედურ ადამიანად სთვლიდა ადამიანთა შორის, ვინ იყო და რა დარჩა მისგან?! თავის გაჩენის დღეს წყევლიდა, სიკვდილს ნატრობდა, სიკვდილი კი...

თუმცა რაა, სიკვდილი კარს მოსდგომოდა უკვე. კაცი გრძნობდა სიცოცხლის აღსასრულს, გრძნობდა ყოველ წუთსა და წამს, როგორ იხურებოდა მისი ცხოვრების მატიანე, მერე კი უკვე მიწადდა მტკვრად ქცეულს ამ კაცის სახელს მეისტორიენი მხოლოდ წარსულად მოიხსენებენ, ზოგნი აუგად, ზოგნი კი გმირად შერაცხავენ.

ო, ეს სახელი, რწმენა და დიდება, რომელსაც მთელი ცხოვრება შეალია, არაფერი ყოფილა, მხოლოდ სიზმრადქცეული

წარსული, რომლისგანაც აი, ეს დარჩა: „სამშობლოდან შორს სიკვდილი“...

– თეირანი, თეირანი! ო, როგორ ზარავდა ეს სახელი და მიუძენის ეს გამყინავი ხმაც.

– ეჱ, რა ხანია ეკლესიის ზარების ხმა არ გაუგონია, არც ღვთის ტაძარში ულოცია. მხოლოდ აი, იმ პატარა ხატის წინ ანთებდა სანთელს.

– ეს დღეც გავიდა, გაიფიქრა მოხუცმა, ხვალაც ასეთივე არაფრისმთქმელი ულიმდამო დღე იქნება, ეჱ, ნეტავ მალე დასრულდებოდეს ეს ყველაფერი, რა საშინელი ყოფილა ამგვარი სიცოცხლის დასასრული. ღმერთმა დასაჯაა, იქნებ დაავიწყდა კიდეც ცოცხალთა შორის მისი არსებობა.

უცებ ფიქრებში წასულს კარების ყრუ ჭრიალის ხმა შემოესმა, კარებს გახედა.

– შენ ხარ გოგიჩა? მისუსტებული ხმით გასძახა მოსულს.

– მე ვარ ბატონიშვილო, ცოტა შევყონდი, სტუმარი მოგიყვანე, მამაო!

მამაოს ხსენებამ მკვდრისფერი სახე უცებ გაუნათა, თავს ძალა დაატანა, საწოლიდან ძლივდლიობით თავი წამოსწია და გოგიჩას ზურგს უკან შემოსულს გახედა.

თვალებს არ დაუჯერა, მის წინ შავანაფორიანი ტანმაღალი ნამდვილი მამაო იდგა. მკერდეზე ვერცხლისფერი ჯვარიც ეკიდა. სამოციოდე წლის იქნებოდა. იმ მლვდლის სახეში თითქოს ქრისტეს სახე შეიცნო მომაკვდავმა. გულში სიამე იგრძნო. ფიზიკური ტკივილები კი, რომელიც ასე სტანჯავდა და აწამებდა წუთით თითქოს სადღაც გაქრა: გული ნეტარებით აღევსო.

– წუთუ ეს შენ ხარ, მამაო?! წამოიძახა და პირჯვარი გარდაისახა, შემოსული ავადმყოფისაკენ მოწინებით დაიხარა, მხარზე ეამბორა მოხუცს, მერე გოგიჩას მოწოდებულ სკამზე მძიმედ დაეშვა.

– საიდან მოხველ?! - ჰკითხა

– მარტყოფიდან!

– მარტყოფიდან?! ჩაილაპარაკა გაკვირვებულმა, დიდი გზა გამოგივლია. მაშ, საქართველოდან მოდიხარ?!

– არა ბატონიშვილო ფერეიდანიდან ჩამოველ!

ფერეიდანის ხსენებამ გააოგნა მოხუცი.

– ფერეიდანი, მარტყოფი! ჩაილაპარაკა სევდიანად.

– ჰო, ბატონიშვილო, არ გაგიკირდეთ შაჰაბასასისან შერისხული ქართველთა შთამომავალი გახლავართ, ბახიარებთან, ლუხებთან და ქურთებთან მეზობლად რომ დაგვასახლა ავლანთა საზღვრის გასწვრივ, ჩვენი თავიც უნდა დაგვეცვა და სპარსთა აღმოსავლეთის საზღვარიც.

ამ ისტორიულ ქარტეხილებში არც ჩვენი მშობლიური მიწის სახელი დავიწყებიათ ჩვენს ნინაპრებს, მარტყოფიც ამიტომ დაარქვეს. თუმცა რაა ფერეიდანს სხვა ქართული სახელის ბევრი სოფელი გვაქვს: მარაბდა, შინდისი, ფონიჭალა, ბოლნისი ჩულურეთი. ქართული სოფლების ხსენებამ თვალებზე ცრემლი მოჰვარა მოხუცს. ფერეიდნელ ქართველებზე ბევრი რამ გაგონილი ქონდა, ქართულ სოფლებზე – არა!

– ქრისტეს რჯული როგორდა შემოგრჩათ? ჰეითხა გაკვირვებულმა

– ფარულად, მხოლოდ მცირედს, მთავარი კი არც გვარი, ენა და ტრადიციები დაგვიწყებია. სამშობლო კი ყოველთვის გვახსოვდა.

– დავითაშვილი გახლავართ, ერისკაცობაში არჩილი მერქვა!

– აქ როგორ მოხვდით?!

– თეირანს ძმის სანახავად ჩამოველ, გოგიჩას შემთხვევით გადავეყარე!

– დიდება ღმერთს, ღვთის ნება იყო შენი აქ მოსვლა, ჩანს უფალს არ დაგვიწყებივარ, ჩემს ცოდვით, საზიარებლად გამოგზავნათ, -აღმოხდა მოხუცს.

ღმერთს ჭეშმარიტი მორწმუნები არასოდეს ავიწყდება, ბატონიშვილო. ღმერთი მზეა, სინათლეა, რომლის სხივი ერთნაირად სწვდება ცოდვიანებსაც და უცოდველებსაც, ხოლო რაც შეეხება ცოდვას, იგი ყოველი ადამიანის ცხოვრების განუყოფლი ნაწილი გახლავს, უცოდველნი კი მხოლოდ ანგელოზები და ყრმანი არიან. ღმერთი სამართლიანია და დიდი, ცოდვიანებად ადამიანებს გარე-მოება ქმნის

— ეჭ, მართალს ბრძანებთ მამაო, უცოდველად დაბადებულებს ცხოვრება ცოდვიანებად გვხდის, ხოლო ცოდვაც და სიკეთეც ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო და რა მერგო ბოლოს?!

სამეფო ტახტის ნაცვლად უცხო მიწაზე აი, ეს ქოხმახი, უამ-რავ მსახურთაგან კი მხოლოდ გოგიჩა.

ღმერთმა დამსაჯა, ყველაფერი ამქვეყნიური და იმქვეყნიურიც ხომ ღვთის ნებით ხდება!

— ღმერთმა შეგინდოს ყველა ცოდვა, თუ კი გაქვს რამე! თქვა მღვდელმა და პირჯვარი გადაწერა.

— ყველაფერს მოგიყვები, მამაო, ყველაფერს, იმ ცოდვებსაც და შეცდომებსაც, რომელთა გახსენებაც ყოველთვის მზარავს და მტანჯავს. ყოველთვის ლოცვით და უფლისადმი ვედრებით ვცდილობდი ამ მძიმე ტვირთის შემსუბუქებას, მაგრამ ვერ ვგრძნობდი ამ მონანიების მიღმა უფლის ხმას, თუნდაც მცირეს მმანიშნებელს.

— შეგინდოს უფალმა ყოველი ცოდვანი შენი!

— ყველაფერს გეტყვით, დასამალი არაფერი მაქვს!

— მაშ, მოინანიე ცოდვანი შენი, გულს დაგიამებს!

გარეთ გასვლა მოინდომა გოგიჩამ, არ გაუშვა მოხუცმა.

— დარჩი გოგიჩა შენთან დასამალი არაფერი მაქვს, მსახური შვილად მიგიღე, შენც მოისმინე ჩემი ალსარება. ღმერთი შემინდობს თუ კი სიბერის გამო ჩემს ცოდვებს და უცოდველობას რაიმე გამართლება ექნება.

თერთმეტ საუკუნეზე მეტს მიითვლის ჩვენი ბაგრატიონთა გვარის ისტორია, რაც მეფეებად ვიწოდებითა და ღმერთისგან ხელდასშულად ვითვლებოდით, ვითვლებოდით მეფეთა მეფედ, მფლობელებად, ამერთ-იმერთა, რანთა, კახთა, აფხაზთა და ბოლო?! ერთი ციცქანა ქვეყანა შემოგვრჩება დაშლილი და გაპარტაზებული.

ეჭ, იმასაც ვერ ვუპატრონეთ, რაც დაგვრჩა. გვიან ზემო ქართლსაც წავეპოტინეთ. უფრო ადრე ოსმალომ და სპარსმა ისე გაგვყვეს, ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს.

სპარსთა ბატონობა ერთი შეხედვით თითქოს ნაკლები ბოროტება ჩანდა, ვიდრე ოსმალთა ხოლო კარგად იცით, შაჰის და სულთანის დროშის ქვეშ მებრძოლი არა ერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა — ვაჟკაცობად ვთლიდით.

მტრის ბანაკში მყოფი ქართველობა წინამპრძოლად გასვლას ბრძოლის ველზე. ვისთვის, რისთვის?! რამდენი ქართული ოჯახი უბედურდებოდა ამ „ვაჟკაცობით“.

ტახტის შენარჩუნებისთვის ჩემი წინაპრები სარწმუნოებასაც იცვლიდნენ გულით კი მეტ-წილად ქრისტიანებად რჩებოდნენ,

და აი, მოხდა გაუგონარი რამ: ნადირ შაჰმა პაპაჩემი თემურაზი და ბატონი მამა ერეკლე ქრისტიანული წესით ქართლ-კახეთის მეფედ აკურთხეს.

130 წელი იყო გასული, რაც მუსლიმანი ბაგრატიონები მართავდნენ ქვეყანას. ქვეყნის გაძლიერებას ველოდით, უკეთეს მომავალს, მთელმა ერმა და ბერმა შევებით ამოისუნთქა, უფრო მეტიც, თემურაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთი გაერთიანდა.

625 ათასი სული გახლდით იმ დროს ქართლ-კახეთში. თითქოს უფრო მეტად უნდა მოვმძლავრებულიყავით, მაგრამ ვინ მოგვასვენა. აქეთ ლეკი გვადგია, იქით ოსმალო, ჩვენი პატრონი, სპარსის დაკრულზეც უნდა გვეცეკვა. შინაური მტრები კი არასოდეს მოგვალებია, მერე რუსიც გამოჩნდა.

მე, იმ წელს დავიბადე, როცა მთელი ერი ასპინძაში ლეკოსმალებზე გამარჯვებას ზეიმობდა. მამა კი შვიდ გიორგობის თვეს 50 წელი უსრულდებოდა. სახელი ალექსანდრე დამარქვეს.

დიდი ოჯახი გახლდით, დედის ხაზით 19 ბატონიშვილი, მამის მხრივ გიორგის ჩათვლით ხუთი და ძმანი გვემატებოდნენ,

ბატონიშვილებს, ყველას ბატონქაცური ცხოვრება გვსურდა, ეს ცხოვრება კი ხშირი ომებით ისედაც გაღატაკებულ ქვეყანას საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. უფულობის გამო ხაზინიდან ბევრი ძვირფასეულობა იყიდებოდა. მყიდველი კი ყოველთვის სომეხი მდიდარი სოვდაგრები იყვნენ. სამეფო ოჯახი ვალსაც იღებდა მათგან ვალის გასასტუმრებლად.

სამაგიეროდ ქვემო ქართლის დაცარიელებული დაბა სოფლები რიგდებოდა. ფუფუნების მოვარე იყო დედა, იმაზე მეტი, ვიდრე მამის მეუღლეს შეეფერებოდა.

ეჰ, მამა! მან თავის სიცოცხლის დიდი ნაწილი ლაშქრობაში გაატარა, ომში წასულს დიდი თუ პატარა მასზე ვფიქრობდით და ვლოცულობდით: ცოცხალი დგვპრუნებოდა მამა.

„ლაშქრად მყოფი, უბრალო გლეხი მოლაშქრის სიძნელეებს იტანდა“

„გლეხთა გამკითხავი გახლდათ“, „ყმათა დაჩაგვრას არავის აპატიებდა“,

ამიტომაც უყვარდათ, მეფე მამა შედარებით ახლოს იდგა ხალხთან, ვიდრე სხვა მეფენი ბაგრატიონებისა“ „სიყვარულით პატარა კახსაც ეძახდნენ“ ბრძოლის ველზე კი მამაცობის ნიმუშიც გახლდათ, როგორც

„მეომარი შიშის ზარს სცემდა მეზობელ ხანებს“

„ხალხზე ფიქრობდა მცირე ხანს ეძინა“

„ყმობიდან ათავისუფლებდა სამშობლოსათვის თავდადებულ გლეხ მეომრებს“

„მამაზე წერდნენ პეტერბურგისა და ბერლინის უურნალები“

მერე კი ბედმა უმტყუნა, 80-იან წლებში ქართლ-კახეთის ბედის ბორბალი უკულმა დატრიალდა. ჯერ იყო და ზემო ქართლში ლეკებმა ლევან ბატონიშვილი მოგვიკლეს, მერე კი უფრო მეტი უბედურება დაგვატყდა თავს ნურსლან ბეგის შვილი ომარ ხანი „გვესტუმრა“ 20000 მეომრით მცირერიცხოვანმა ქართველთა და რუსთა მხედრობამ ვერ გაბედა მასთან შებმა.

დიდი ზარალი განვიცადეთ, იმაზე დიდი ვიდრე წყეული შაჰაბასის დროს.

მთელი ქართლ-კახეთი პირნმინდად მოაოხრა, მეფე იძულებული გხდა ომარისათვის ხუთი ათასი მანეთი „ჯამაგირი“ დაენიშნა ყოველწლიურად. უფრო მეტიც კავკასიაში მოქმედ მთავარსალდალმა გ. პოტიომეინშა 1000 ჩერნოვეცი უფეშქაშა ქართლ კახეთის ამაოხრებელს ოღონდ საქართველოს გასცლოდა. იმ წელს სრულ განადგურებას ძლივს გადავრჩით მაგრამ ვაი, ამ გადარჩენას!... რუსი კი ისევ აგვიანებდა დახმარებას,

ახალი იმედიც გაჩნდა თვით გადარჩენისა. იმერეთის დელე-გაციაც გვესტუმრა.



-95-

„ოთხა“ 2021. 27

ქართლ-კახეთის სამეფოში გაერთიანებას ითხოვდნენ, მაგრამ ეს იმედიც ჩაქრა. უარი უთხრა სამეფო კარმა. სამაგიეროდ ჩემი დიშვილი სოლომონი || გამეფდა.

„იმერეთის შემოერთება ქართლ-კახეთთან იყო სიძლიერე ჩვენი მეფობისა, უძლეველობა ქვეყნისა,“ ვერ მოხერხდა ქვეყნის გაერთიანება.

სიბერეში ბედმა უმტყუნა მეფეს. ქართლ-კახეთის სამეფო უაღლესად რთულ საგარეო ჭიდილში გაება. გაჩნდა გადაულახავი ბარიერები და სიძნელები, რომლებიც ქვეყნის წინსვლას ხელს უშლიდნენ. ეს სიძნელები კი სამეფო კარის შიგნით არსებობდა.

ქვეყნის თავსდამტყდარი ბოლო უბედურება აღა მაჰმადხანის შემოსვლა იყო. მოუმზადებლობამ და ღალატმა თავისი მსახვრალი ხელი დაატყო ქვეყანას. შაჰმა აიღო და გადაბუგა თბილისი. უამრავი ნადავლით გაბრუნდა უკან.

მამას ამ უბედურების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, ტახტზე ჩვენი უნიათო „ზაქიჭამია“ ნახევარმა გიორგი ავიდა. პირშავი იყო გიორგია. არც ლირსეულ მემკვიდრედ ჩანდა სხვა მემკვიდრეთა შორის.

ამასობაში რუსის ჯარიც შემოვიდა. გიორგი და თბილისი საზეიმოდ შეხვდა რუსთა ეგერთა პოლქს, რომელსაც გენერალ ლაზარევი მოუქდოდა. იყო ზარბაზნების სროლა ზარების რეკვა. ეს შემოსვლა დიდი იმედის მომცემი იყო, მაგრამ მე კი რატომლაც ვგრძნობდი რომ ბაგრატიონების სამეფო ტახტს დიდი ხნის არსებობა აღარ ეწერა.

როგორც ალვინშენ ბატონიშვილებს, დიდსა თუ პატარას ტახტისაკენ გვეჭირა თვალი რუსეთში მყოფი ჩვენი პაპა ვახტანგის შთამომავლებიც ლამობდნენ ქართლის ტახტის დაკავებას.

ეჱ, რა იყო ეს ტახტი, გაპარტახებული ქვეყნის და 200000 ათასკაციანი სამეფოს მართვა. ყველას მეფობა გვსურდა, პირველობა პატივმოყვარეობა და თუ ქვეყნის სიყვარულის გრძნობა ყველა ერთმანეთში იყო არეული. და ეს ბრძოლაც დაიწყო.

ჩემს წილ კი პატივმოყვარეობის ჭია მიღრნიდა გულს, „იცით მამაო რა არის მეფობა, პირველკაცობა, როცა სხვებზე მბრძანებლობ, როცა ყველა ულაპარაკოდ შენ გემორჩილება“. პირველკაც-

ბისათვის ბრძოლა გავიწყებს ყველაფერს, რაც კი შენში ადამიანურია, კაცობას, ძმის, შვილის და მშობლის სიყვარულს, ამ ბრძოლაში სამართალი და კანონი არ არსებობს, ეს ასე იყო დასაბამითგან ბაგრატიონთა სამეფო კარზე, ირგვლივ სისხლის გუბერნი იდგა. ამ ბრძოლაში გადამთიელებსაც ვუხმობდით. ამ ორმოტრიალში მეც აღმოვჩნდი.

კაცის კვლა დიდი ცოდვაა, მაგრამ ეს ცოდვაც ჩამიდენია, მაგრამ ერთი რამისთვის არ მიღალატია, სარწმუნოებისათვის და ის იყო ერთადერთი, რომელიც ძალას მმატებდა.

იმ დროს გიორგისთან მდგომარეობა საკმაოდ დამეძაბა ომარ ხანს მივაშურე. ოლონდ გიორგი მომეცილებინა გიორგიმ დაკავება მთხოვა. საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულმა უარი შევუთვალე, ძმები ერთმანეთს დავუპირისპირდით.

ნიახურა, ნიახურას ბრძოლა გამახსენდა, ამოიკვნესა ბატონიშვილმა, დღესაც სულს მიმწარებს იმ დღის გახსენება.

გიორგიმ შეძლო ქუდზე კაცის გამოყვანა, მას რუსებიც ამოუდგნენ მხარში. 7 ნოემბერი, გიორგობის ამ დღეს კი მამა იყო დაბადებული. 80 წლის უნდა გამხდარიყო მამა. ჩემს მხარეზე კი ომარ ხანი და მცირეოდენი ქართველობა.

სირცხვილნაჭამი სასტიკად დავმარცხდი, მთას შევაფარეთავი – ამ ომის შემდეგ გიორგის აღარ უცოცხლია...

უცებ ბატონიშვილმა საუბარი შეწყვიტა ტკივილებისგან რაღაც არაადამიანურად დაიკვნესა და მკერდზე იტაცა ხელი

– წყალი! მხოლოდ ამის თქმალა მოასწრო.

თავის მდგომა გოგიჩამ ავადმყოფს ბალიშზე თავი წამოუწია წყალი დაალევინა, მერე პატარა ბოთლიდან რაღაც ყავისფერი სითხე შეასვა.

ვერ ისვენებდა ბატონიშვილი, ბორგავდა, იურუბჩებოდა ვიღაცას ემუქრებოდა, ბრძანებებს იძლეოდა, რამდენჯერმე ერეკლეს, გიორგის და იულონის სახელიც ახსენა, ბოლოს გაყუჩდა თვალები მილულა. გოგიჩამ სველი ტილოთი ოფლიანი სახე მოწმინდა.

– ასე იცის ხოლმე! ჩაილაპარაკა

ალექსანდრე მხოლოდ ორიოდე საათის შემდეგ მოეგო გონს.

უაზროდ შეხედა თავს მდგომთ. მერე უკვე გონმოსულმა თითქოს რაღაც გაიხსენა და საუბარი განაგრძო:

— გიორგის გარდაცვალების შემდეგ გეორგიევსკის ტრაქტატი არავის გახსენებია, თუმცა პეტერბურგიდან დავით — სამეფო ასიგნებით ქართლ კახეთის მეფედ მობრძანდებოდა და უცებ ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ახალმა რუსთა ხელმწიფემ ალექსანდრე I-მა სამეფო ტახტი გაგვიუქმა, რითაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას საბოლოოდ წერტილი დაუსვა. ბაგრატიონთა ტახტის ყველა მემკვიდრე ოჯახის შორეულ ნათესავ პავლე ციციანოვის ხელით კი ყველა რუსეთს გაასახლა.

სამეფო წევრთაგან კი ვინც ამ ძალადობას წინ აღუდგა, გიორგის მეულლე მარიამი გახლდათ.

უბრალო ძალადობა სიცოცხლის ფასად დაუჯინა გენერალ ლაზარევს. ხანჯლით განგმირა მოძალადე გენერალი.

იმ წელიწადს კი ერთი დაუჯერებელი ამბავიც მოხდა, რომელმაც მთელი საქართველო აალაპარაკა.

ლეკები არ იშლიდნენ თავის ძველ ხელობას.

განსაკუთრებით დიდ ზიანს გვაყენებდნენ ახალციხის საფაშოდან ქურდული ბანდების პერიოდული თავდასხმები, რომლებსაც „ლევთა თავდასხმებს“ უწოდებდნენ.

„საბრაგული ბანდები დათარეშობდნენ თბილისის ახლოსაც და თითქმის ყოველ სოფელშიც, მიჰყავდათ დატყვევებული ადამიანები, მიერეკებოდნენ ოთხფეხა საქონელს, რუსთა რაზმებს სტაცებდნენ ცხენებს და ყველაფერს, რისი წალებაც შეიძლებოდა, ადგილი ჰქონდა არა მარტო მცირერიცხოვან, არამედ მრავალრიცხოვანი რაზმების შემოსევასაც. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა წინანდელთან შედარებით უფრო ასატანი იყო იმით, რომ ახლა ქართველი მოსახლეობა უკვე რუსეთის რეგულარულ ჯარებთან ერთად ებრძოდა თავდამსხმელებს 1803 წლის ივნისში ახალციხიდან შემოჭრილმა ქურდულმა რაზმებმა გაძარცვეს სოფელი ქარელი, ნახირი გარეკეს. ქარელში მყოფი ერთი ასეული დაედევნა მძარცველებს, რომლებმაც რუსთა რაზმი ტყეში შეიტყუეს და თითქმის სულერთიან გაულიტეს.

მთავარსარდალი (მრისხანე თავადი) ციციანოვი იმუქრებოდა, რომ „ზღვის ფსკერიდან“ ამოიყვანდა ავაზაკებს. მან ეს მუქარაკიდეც შეასრულა:

ლეკი აპრაგები განიარაღეს და შერცხვენილები ქართლსა და კახეთში ჩამოატარეს.“ გაუგონარი ამბავი იყო.

მთელი ქართლ კახეთი ზეიმობდა- ამ გამარჯვებას ალბათ მათ აღარ ახსოვდათ მეფეთა ტახტი

გლეხი კაცისთვის სულ ერთი იყო, ვინ ავიდოდა ტახტზე მე, იულონი დავითი, პეტრე თუ პავლე, მთავარი მათოვის მშვიდობა და ხვნა-თესვა იყო, მოშენება იყო გლეხი კაცის ამოწყვეტა კი როგორც არჩილი ბრძანებდა, საქართველოს დაძაბუნების ტოლ-ფასი გახლდათ,

მიუხედავათ ზოგიერთი კარგი საქმისა რუსთა ხელმწიფის დაუძინებელ მტრად შევიქმენი, მაგრამ მარტო ხმლის ქნევით ვერც ტახტი დავიბრუნეთ და ვერც მშვიდობა დავუმკიდრეთ ქვეყანას, ვერც ლექს გაფუმელავდით, ვერც სპარსს, ვერც რუსს და ვერც ოსმალოს ტახტისათვის ბრძოლის შუაგულში აღმოვჩნდით. როგორც გითხარით, ნიახურას ბრძოლის შემდეგ მთას შევა-დარე თავი. იქიდან კი ხან კახეთში გამოვჩნდებოდი ხან ხევსურეთს.

რუსს ვებრძოდი რომლის იმედად მამა იყო. ამაოდ დაშვრა შატილთან 600 დაღუპული ხევსურის სისხლი.

არც 1832 წლის შეთქმულებითაც გამოგვივიდა რა.

ვცდებოდი, როცა ლეკთა სპარსთა და ოსმალთა იმედად რუს ვებრძოდი. იმ ქვეყნისკენ ვენეოდი ქვეყანას, რომელნიც სულს უმწარებდნენ ჩვენს მამა-პაპათა, სასაცილო და სატირალიც იყო ნუთუ შეგვეძლო ნაპოლეონის მძლეველ და ევროპის უანდარმად ქცეულ რუსეთის დამარცხება?!

- არა და არა! სხვა გზა უნდა აგვერჩია, რაც ქვეყანას მშვი-დობასა და ევროპულ განვითარებას მოუტანდა, ეს გზა კი არ ჩანს.

ახლა შამილიც ებრძევის რუსთა ხელმწიფეს. არაფერი გამოუ-ვაა თავისუფლებისათვის ბრძოლა გმირობის ტოლფასია, უაზროდ დალვრილი სისხლი კი სიგიჟე, ორასი ათას რუს მხედრობას ებრძვის შამილი.

საკუთარი თავი სულ დამავიწყდა. კაცის კვლა დიდი ცოდვაა ეს ცოდვაც ჩამიდენია. ყოველი ომი კაცის მკვლელთა ომია. გამარჯვებული ადამიანთა უბედურების ხარჯზე დიდების შარა-ვანდედს იდგამენ. ბოროტება სიკეთეზე ზეიმობს.

... საუბარი უჭირდა ბატონიშვილს აზრთა თანმიმდევრობა ავიწყდებოდა. მალიმალ ჩერდებოდა. რაღაცას იხსენებდა, ჰო, იმას ვამბობდი, რუსთა ხელმწიფის დაუძინებელ მტრად შევიქმენი. მოსვენებას ვუკარგავდი.

ამიერკავკასიის მთავარსარდალმა რტიშჩევმა მეტად ბოროტი საქმე მოიფიქრა 2 ათასი ჩერნოვეცი გამოყო ჩემს შესაპყობად... არაფერი გამოუვიდა.

ლეკეთში გახლდით საკმაოდ დიდხანს. იმ ხალხთან ერთად ვიქევდი ხმალს, რომელნიც ქართველობას სულს გვიმნარებდნენ.

ლეკეთიდან ნამოსულმა თურქეთზე გავლით აბას მირზას შევაფარე თავი. რუსეთთან ომში ოსმალთა და სპარსთა მარცხს ჩემი იმედები საბოლოოდ დაასამარა. მერე კი ყველამ დამივინყა, აღარავის გავხსენებივარ.

ხშირად მიფიქრია ჩემს განვლილს გზაზე, რომც აღგვედგინა სამეფო ტახტი, განა სიკეთეს და მშვიდობას მოუტანდა ქვეყანას, ან კი ვინმე ჩვენს შორის შეძლებდა ერეკლეობას ?!

– არა მგონია!

უფსკრულის პირს მდგომ ქვეყნის ტახტს ვებლაუჭებოდით არაფერი გამოგვივიდა. განწირულნი ვიყავით.

ამ ბრძოლაში კი რამდენი სისხლი დაიღვარა. ალბად უაზროც იყო ეს მსხვერპლი, ალბად მამა არ გაგვამართლებდა ვაგლახად ვკვდები უცხო მიწაზე. ასე დევნილობაში ოსმალი მიწაზე დალია სული ჩემმა დისწულმა სოლომონმაც, ვინც რუსეთს მიიცვალა. ყველა პატივით დაკრძალეს ქრისტიანული წესის აგებით, მე კი ქართული მიწა მენატრება, ერთი მუჭი ქართული მიწა. მხოლოდ სამი რამ შემომრჩა სამშობლოს მოსაგონებლად:

ეს ჯვარცმა რომელსაც დაბადებიდან თან დავატარებ, მარიამ ღვთისმშობლის ხატი და აი, ეს ხმალხანჯალი.

საუბარი უჭირდა ბატონიშვილს, ჩერდებოდა, წყალს ეძალებოდა. ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა- ჰო, სულ დამავიწყდა, ნახევარი წლის უკან სომეხი ვაჭარი იყო ჩამოსული თბილისიდან. მისგან შევიტყვე: ჩემს ვაჟს ირაკლის საფრანგეთში მიუღია ევროპული განათლება. მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით თბილისში სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარა. დიდ პატივს სცემენ თურმე.

- ვაუიშვილი გყავთ ბატონიშვილო?!
- გაუკვირდა მღვდელს
- ნუ კვირობთ მამაო, რუსებისგან დევნილმა ორმოცდაათ წელ მიტანებულმა კაცმა ერევნის მელიქის თოთხმეტი წლის ქალიშვილი შევირთე ცოლად.
- ეჭ, მარიამ: შვილად უფრო შემეფერებოდა ვიდრე მეუღლედ ესეც ჩემი ცოდვის ერთი ნაწილი გახლდათ. მასთან კი ქალვაუი-შემეძინა. ერევანშიც არ მომასვენეს რუსებმა, ცოლშვილმიტოვებულმა თეირანს შევაფარე თავი.

მცირე ხნით საუბარი შეწყვიტა.

- ო, ეს თეირანი, ჩემი ირაკლი და მარიამი მენატრებიან, სულ დამავინყდა, ხმა მოვიდა საფრანგეთში მყოფ ჩემს ირაკლის ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი თამარი შეურთავსო ცოლად.

დიდებული ქართველი გახლავს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, პეტრბურგში დაბადებულს, საკმაოდ კარგი ევროპული განათლება მიუღია მრავალი ევროპული და აღმოსავლური ენა სცოდნია, მას არც საქართველო დავინუებია. წინანდალმი ყველაფერი ევროპულ ყაიდაზე მოუწყია. ის ეკატერინე II ნათლულიც გახლავთ. ნაპოლეონთან ოში, ლაიბციგთან გამოჩენილი მამაცობისათვის სხვა ჯილდოებთან ერთად ერთი ოქროს ხმალიც დაიმსახურა.

ოცდათორმეტი წლის შეთქმულებაში კი ჩვენი თანამოაზრე გახდა.

აჯანყების ჩაშლის შემდეგ სხვა თანამებრძოლებთან ერთად გაითვალისწინეს მისი დამსახურება და მსუბუქი სასჯელი გამოუტანეს.

თუმცა რაა, მარტო რუსთა ხელმწიფის კარზე მარტო ალექსანდრე როდის იყო გამორჩეული, პეტრე ბაგრატიონი! ნაპოლეონი ერთ-ერთ უნიჭიერეს გენერლად სთვლიდა რუს გენერლებს შორის.

უცნაურია, ბოროდინოს ველზე ნაპოლეონს ჩემი ძმიშვილის გიორგის ვაჟი ილია ებრძოდა, ასევე კოსტანტინე, თეიმურაზ და დავით ბაგრატიონები, თუმცა რაა, უცხო ქვეყნის მიწაზე მებრძოლი რითი ვარგებდით ქვეყანას. გიორგი XI ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა... მამაც და პაპა თეიმურაზიც სპარსელებისათვის იბრძოდა.

ჰო, გამახსენდა, დიდი ხნის წინათ ფრანგი პატრებისაგან შევიტყვე, შეთქმულებაში მონანილე ქართველ გენერალს ვლ. იაშვილს საძინებელ ოთახში დაუხვრჩია რუსთა საძულველი იმპერატორი პავლე I.


ო, ეს ცხოვრება, მოგონებები, დიდი უმეტესობა რუსთა მხარეზე გადასულ ქართველობასაც დავიწყებია სამშობლო და მეფეთა ტახტი.

ევროპულ განათლებას დასწაფებია, ეჭ., მე კი აქ უჩინრად პკვდები...

სამი დღის შემდეგ მიიცვალა ალექსანდრე. ჭირისუფლად გოგიჩა და მამა იოანე ადგნენ, ორმოცდაათიოდე თეირანელი სომეხი აცილებდა უკანასკნელ გზაზე ბატონიშვილს.

სომეხთა ეკლესიის ეზოში დაკრძალესამშობლო დაკარგული ალექსანდრე ერთი მუჭა ქართული მიწის გარეშე.

4.II-2021წ. რ.პ.



# ლიტერატურა

## ქრისტინე არქანია

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში ცხოვრობს, მუჟავაში, მერცხლის ბუდესავით რომ შეფენილა ენგურის მარჯვენა სანაპიროს მთებში და პირდაპირ გაჰყურებს სამურზაყანოს. როგორც ჩანს, ბუნების საოცარმა ფერებმა მოასურვეს პოეტობა. მართალია, ქრისტინე ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე თავისებურად შეჰყურებს მის გარშემო შემოქარებულ სამყაროს, მშობლიურ კუთხეს, მთლიანი სამშობლოს ნაწილს.

პოეტობა მძიმე ტვირთია და დაულალავ, მოუწყინარ შრომას მოითხოვს. აյ წარმოდგენილი ლექსები ქრისტინეს ერთგვარი განაცხადია.

იმედი მაქებს, ავტორი პოეზიის რთულ გზაზე წარმატებით ივლის. ყოველთვის ემახსოვრება, რომ ყვავილის გასაზრდელად აუცილებელია შრომა, მოთმინება და სიყვარული. სიკეთით ევლოს ამ გზაზე და მკითხველი ფერადი ფრაზა-სურათებით გაეხარებინოს!

პროფესორი რევაზ შეროზია

## ჩემი საქართველო

მიყვარს, მიყვარს სანაქებო,  
ენგური და რიონი.  
მიყვარს ჩემი საქართველო,  
მიყვარს კავკასიონი.  
მიყვარს მთები, მიყვარს ზღვები,  
მიყვარს დედულ-მამული,  
მიყვარს ჩემი ბალ-ვენახი,  
დილით გადანამული.  
მიყვარს ჩვენი დედა ენა,  
მიყვარს, მიყვარს ჩვენი ერი,  
მისი სადლეგრძელო იყოს,  
მისი მრავალუამიერი.

\* \* \*

მშვიდი ღამეა, თითქოს დაღლილი,  
სახლის კარებთან ვუყურებ ლანდებს,  
ხეებს ტოტები დაჰყავს ამლილი,  
თოვლის ფიფქები ფარავენ სახლებს.  
ისევ ისეთი ქარია, ცივა,  
ძველად ნაჩვევი სიო ნავარდობს,  
ვლოცულობ წეტავ გათენდეს დილა,  
კიდევ ერთი დღით სუნთქვა განვაგრძო.  
ამ მთის ნაპრალზე ცის შვილთა ქებას,  
ყველა მგოსანი წერდა ფურცელზე,  
ზოგი განგებას არ რთავდა ნებას,  
ზოგიც დაჭრილი იწვა გულ-მკერდზე,  
აქ დღეთა გავლა არ უკვირთ არსად,  
გასაკვირია გაძლება მათი,  
წლები რომ გვაწვიმს წვეთების ასხმად,  
და ამ ზამთარმაც დახურა კარი.

\* \* \*

ისევ ახმაურდნენ გარეთ,  
წვიმის წვეთები და ქარი,  
ჩუმად მოაბიჯებს ღამე,  
დღლას გამოჰყება დარი.  
ჯერაც სიცივეა გარეთ,  
როდის მიგვატოვებს მარტი,  
ფოთლებს მიაცილებს გზაზე,  
ამ თვის შეუცვლელი ქარი.

\* \* \*

მთის ახლოს, სიფლად ძველ ამბებს ჰყვება,  
ენგურის მღვრიე, ლურჯი ტალღები,  
ვინ იცის ცაზე ვარსკვლავთა კრება,  
ვისთვის ყოფილა ფიქრთა წამლები.?

ნაპირთან ახლოს მთები აშლილან,  
ხეებს ფრინველთა ბუდე ამშვენებს,  
მოჩანს, ლოდები ტალღის ნაბიჯად,  
ბულბული სტვენით სოფელს ამხნევებს.

\* \* \*

როგორ მინდა საძმე სახლი გვქონდეს,  
მთის ძირში და ამ კლდეების მიღმა,  
ლამ-ლამობით ცივი ქარი ქროდეს,  
შენ კი თბილად მიხუტებდე მინდა.

\* \* \*

სახლს გარედან ხის ტოტები რთავდეს,  
ყვავილები გვიფარავდეს ეზოს,  
ფრინველები დარაჯებად გვყავდეს,  
ჩვენი გრძნობა სულ ყველას რომ ეყოს.  
მდინარესთან ვუყურებდეთ მთვარეს,  
ლამით ცაზე ათასნაირ ვარსკვლავს,  
ვულიმოდეთ ერთმანეთის თვალებს,  
მერე წლები რაღას დაგვიკარგავს.  
როგორ მინდა ხის ქოხი რომ გვედგას,  
ცის კიდესთან და უფალთან ახლოს,  
ვერასოდეს ვერ გვიპოვოს სევდამ,  
მხოლოდ ჩვენმა "სიყვარულმა" გვნახოს.  
მერე მალე გადაივლის მარტიც,  
და მზის შუქი გაგვინათებს გზებსაც,  
მინდა შენი მომღიმარი სახის,  
ყველა ნაკვთი ვიზეპირო ერთად.  
როგორ მინდა საძმე სახლი გვქონდეს,  
უკარო და უფანჯრებო თუნდაც,  
ოღონდ ხშირად ცივი ქარი ქროდეს  
რომ შენ მუდამ ახლოს გყავდე გულთან

# პირველი

## ციური მესხიშვილი

დავიბადე მესხეთში. 1960 წელს. ქ. ვალეში.  
1978 წელს დავამთავრე ქ. ვალის პირველი  
საშუალო სკოლა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სკოლიდან  
გამოყოლილი სიყვარულით, ძალიან მაღლე, შევ-  
ქმენ ოჯახი. ამის გამო სწავლის გაგრძელება  
ცოტა დამიგვიანდა. მაგრამ, მაიც ავისრულე  
ოცნება და სწავლა გავაგრძელე თბილისის იღია  
ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ჰედაგოგიურ  
ინსტიტუტში, ინგლისური ენის სპეციალობით,  
რომელიც წარჩინებით, წითელ დიპლომზე დავამ-  
თავრე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუ-  
შაობა გავაგრძელე თბილისის №5 საშუალო სკო-  
ლში, ინგლისური ენის მასწავლებლად. პარალე-  
ლურად ჩავაბარე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასპირანტურაში, დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის  
ინგლისური ფილოლოგის ფაკულტეტზე. 2002 წელს დავიცავი დისერტაცია  
თემაზე: „ტროპი ემილი დიკინსონის შემოქმედებაში“

წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა უნივერსიტეტში უფროს  
მასწავლებლად და მინვეულ პროფესორად.

ვარ არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული. მათ შორის  
„შოთაობის“ სახალხო დღესასწაულზე, სამგზის ლაურეტი. ვწერ და ვთარგმნი  
სამი ენიდან: ინგლისური, ესპანური და რუსული.

მყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილმცვილი.



## შავი მარგალიტი

იდგა მაშინ მეჩვიდმეტე საუკუნე,  
წელი იყო საუკუნის ოცი  
და მუხრანის სადედოფლო სანახებში  
მწიფდებოდა, შავდებოდა მოცვი.

გრემისა ახლოს დაუვარდა მზეს მტევანი,  
(მზესაც ჰქონდა, თურმე ცრემლი, დარდი)  
სულთათანას ლოცულობდა ქეთევანი  
კახეთიდან შორს, შირაზის ვარდი.

ისჯებოდა საქართველოს დედოფალი,  
სიკვდილის წინ აღავლენდა ლოცვას,  
სანახელში თავს იკლავდა რქანითელი  
და ცრემლები მოსდიოდა მოცხარს.

გათენდა და რა გათენდა თუ გათენდა?!  
ზეცას ჰქონდა ისევ ღამის ფერი,  
დაღამდა და არ დაღამდა! - გადათეთრდა....  
ავარსკვლავდა ზეცა ნათლისფერით!

აალდა და რა აალდა, დაიშანთა,  
აღარ კვნესის წამებულის გული,  
ისმის ღრენა და ყიურინი შაითანთა  
(კრულნი იყვნენ! კრულნი იყვნენ კრულნი)

მაგრამ ჰოი, ღმერთო, შენი საოცრება!  
გადმოფრინდა ციდან ორი გვრიტი,  
ცეცხლში იწვის საქართველოს დედოფალი  
და ანათებს შავი მარგალიტი!..

## მ ა ს ხ ი თ ი ს ყ ა ყ ა ჩ რ ე ბ ი

რახანია დამავიწყდა მისამართი შენი,  
ვზივარ ჩვენს ლურჯ კაფეში და პაემანზე გელი.  
შენ გვინია ჩაქრა სული, ჩაიტერფლა ვნება?!  
ის პატარა ფაიტონი, ახლაც, მაგონდება...

მე, კნეინას მეძახოდნენ, შენ, - გენერალ-სიმუსს,  
მერხებზე რომ ვწერდით ჩუმად: უდრის, პლიუს, მინუსს.  
რა მოხდება მოინერე მისამართი შენი,  
ერთი კოცნაც მოაყოლე, ზედ, - ცეცხლივით მწველი...  
ჯერ ბორჯომ-პარკს ვესტუმრებით, მერე აბასთუმანს,  
მამაშენი, კვლავ, გვაჩუქებს, იმ ღამისთვის თუმანს...  
ისევ ისე, ძველებურად მოვა გრძნობა ნებით!..  
მესხეთში რომ აყვავდება, თეთრად შროშანები.

ცეცხლის კაბა ჩაუცვია წითელ ყაყაჩოსაც,  
ისე მკოცნის, ეს სულელიც, ლამის დამახრინსა...  
ვინც ჩაივლის და მოივლის, ჩემ მესხეთის მხარეს,  
დამიკრიფეთ ყაყაჩო და გულზე დამაყარეთ!!!..

## ი ფ ნ ი ს ც ყ ა რ ო ვ , დ ი ღ დ ე !

გახსოვს, ბაბო, მე და შენ, წყაროზე რომ წავედით?!  
მივატოვეთ სახლი და ფანჯრის ყველა კარედი...  
გავიპარეთ ბალჩაში, მატიტელას საპოვნად,  
იაიის მაგივრად, ვნახეთ ჩიტისაპონა.

მოწყვიტე და მითხარი: თავი უნდა დაგბანო!  
შეიცვალა მას მერე, ჩემში მთელი სამყარო...  
ჭოჭიბაღჩის ბოლოში, იზრდებოდა კვლიავი,  
მწვანეკაბიან გოგოს რომ უყვარდა ნიავი...

მოკლედ, რა არ მიამბე, ბაბო, ტკბილო სათუთავი,  
სიყრმის შვილო მშობლების, გამოზრდილო სათუთად!  
ჭობარეთის ზეგანზე, გვირილების საკრეფად,  
აგედევნენ ჩიტები, საქორწილო მაყრებად...

შენც გვირილა იყავი, მზისთვალა და ხატულა,  
უცებ, ხმა რომ მოგესმა, რაღაც არაქართულად!  
ურუანტელის მაგვარმა დაგიარა სხეულში,  
ვერაფრით ვერ ავლნერე, დღეს ის გრძნობა რვეულში.

ალბათ, გული გაგისკდა, შიშით, შენი ჭირიმე,  
შენს მაგივრად, იცოდე, იმ წარსულზე ვტირი მე...  
გვირილების მინდვრიდან, რომ წაგასხეს თურქებმა,  
მათზე შურისძიება, დღემდე არ მიუქმდება!

ვინცი, როგორ გეტკინა, ბაბო, თოკით მაჯები?!  
ღმერთმა გადაუხადოთ, უფალს, სულ ვეაჯები...  
როგორ ვერ მოასწარი, დარანებში დამალვა?  
(იმ სოფელს, რად დაარქვეს, ბაბო, მართლა, და მალა ?!).

ეტყობა რომ ქალები, იმ სოფელში დამალეს  
და ამიტომ სწირავენ ცხრათვალა მზეს დალალებს...  
მინდა, ცრემლი ვაჩუქო, სახელოვან გვარდიას,  
იფნის წყალთან მისულებს, ბრძოლით დილაადრიან.

ყველა გოგო-ქალწული, გადაბმული თოკებით,  
გამოხსნეს და აჩუქეს, საქორწილოდ კოკები...  
მათ გმირობას ვერ აღწერს, სიტყვა, სულ ორიოდე,  
მარად მოსაგონებლად, იფნის წყაროვ დიოდე!!!..

## მცვანი ოთახი

სადაც არის გაზაფხული მოვა,  
წივწივები დაიწყებენ წივწივს,  
გაზაფხული, გამახსენა თოვლმა,  
სოფელში რომ მოდიოდა წინწინ...

ბუხართან რომ კრუტუნებდა ფისო,  
კეცის გულზე ფეხს ითბობდა მჭადი,  
შობა იყო ცამდე სახალისო  
ფერუმარილს რომ იცხებდა მწვადი...

სამფეხაზე ვკორიკობდი მე და  
ოთხფეხაზე ოხუნჯობდა ზურა,  
ფანჯარაში იცინოდა მზე და  
შინ შემოსვლას მოითხოვდა მურა...

„ჭრელი ბურთი“ გადეყლაპა დედას,  
სიხარული მოგვიტანა წერომ!  
ჭერისაკენ ქუდს ისროდა მამა,  
ლოცულობდა: დაილოცე ჭერო!

რქანითელი ხითხითებდა ჯამში,  
მთვრალი მთვარე მოსდგომოდა მზისკარს,  
მეზობელი გაჩნდებოდა წამში  
დიდედა რომ ამოჰყრიდა ხინკალს...

წინსაფარში დაემალა ბებოს,  
ცომიანი, ჩამომხმარი ხელი,  
პაპაჩემის წითურ ულვაშებში  
იცინოდა მთვარისფერი ღერი...

სადაც არის გაზაფხული მოვა,  
ა მ ი ნ დ ე ბ ი თ, - გვპირდებიან სითბოს,  
ფსოუს პირას ჩამომჯდარა მზე და  
საქართველოს ლამაზ დროშას მიქსოვს!..

## ნიალის ფერდობებიდან (სალალობო)

ნიალის ფერდობებიდან,  
გახსოვს, ერთხელ რომ დავგორდით?  
ერდო- ბანიდან მოგვდევდნენ  
გოგო-იჭები, ქვა-ლოდით...

იმდენი ვიკოტრიალეთ,  
ჩავცვივდით ლვალოს ლელეში,  
ვინდა ჩიოდა იარებს,  
რომ მომიწყვდიე ხელებში.

მკოცნე და მკოცნე მთელი დღე,  
ის ლამეც გათენებამდე,  
მთვარე რომ არ ანათებდა,  
შენი თვალები ელავდნენ...

თეთრი რაშებით მდევარნი,  
ვაიოს ველებს ზვერავდნენ,  
მოასწარ! - ისევ მაკოცე,  
დილის მზის ამოწვერამდე...

განათდა ცისკურის ვარსკვლავი,  
მკერდზე აიკრა მზე-ფარად,  
კიდევ რომ კოცნა გინდოდა,  
პეპერა წამოგვეპარა...

ოქროს სხივები გააბა,  
მზემ, ცის ტატნობზე ხაზებად,  
ყაყაჩოს კაბა ჩავიცვი,  
გუშინ შენს გასაბრაზებლად...

## თქვი, ა ტ ა მ ო

თქვი, ატამო, რა განუხებს, ს აბა?  
მითხარი ან ჩამჩურჩულე ყურში,  
ვინ მოგპარა ვარდისფერი კაბა,  
შენ რომ გეცვა გუშინწინ თუ გუშინ?

ჩუ, დაწყნარდი, ჩემო ერთო ციდავ,  
მზეს მოვწყვეტ და ჩამოგიტან ციდან.  
შენ რომ სარკე ჩაგივარდა ჭაში,  
ჩავხტები და ამოგიტან წყლიდან...

გაკოცებ და ამოგიშრობ ცრემლებს,  
თან შევრისხავ შენი ბედის მდევრებს...  
ხუთკუნჭულას ვთხოვოთ ერთად მერე,  
ლახვარი ჰერას ურჩხულებს და დევებს...

მოიხედე! - ვინ გიღიმის? - ნუში,  
მოდი, რაღაც ჩაგჩურჩულო ყურში...  
შეგიკერა სულ ახალი კაბა -  
ზედ მოავლო ვარდისფერი რუში...

გაზაფხულდა, ზამთარია გულში,  
მზე არის და მე შინ მინდა, სულ შინ!  
დამიბრუნეთ ჩემი ჭრელი კაბა,  
მე რომ მეცვა გუშინწინ თუ გუშინ!..

## შ ა შ ვ ი

შაშვო, აქ ხარ? - ვერ შეგნიშნე,  
შენ მიშლიდი დალალებს?  
მე ბეღურებს ვაპურებდი,  
გულნამცეცა ალალებს...

დამისკუპდი ხელის გულზე,  
შენც მიირთვი, არ გშია?  
თეთრ კაბაზე შემომევლე,  
შავო შაშვო არშიად!

გახსოვს? - მთხოვე მაკოცნინე,  
მე გითხარი: არაო!..  
შენი ფრთები მოვიშველე,  
მაშინ მაშველ მარაოდ...

კაი, ნუღარ იბუტები!  
ვერა ხედავ? - ვბანაობ...  
გაიხედე, ნაძვის ტოტზე,  
ჩემი კაბა ქანაობს...

ხომ მიხდება თეთრი კაბა?  
შენც-შენს შავ ფრაკს უხდები,  
მოდი, ჯვარი დავიწეროთ,  
ვიდრე გადავხუნდებით.

დრო მიდის და დრო მიფრინავს  
ცისკენ თანდათანაო,  
უფლის გზაზე მიგალობე,  
შენი სულთათანაო.

# პრიზი

## მარიამ რევიშვილი

ქართველი პოეტი, ნოველისტი, იურისტი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი დაიბადა ქ. ქუთაისში 1987 წლის 4 ოქტომბერს. ქმნის კლასიკურ ბალადებს, სიმღერებს, სამკაულებს, ხატაებს, უკრავს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე. გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა დასის წევრი - ჩოხოსანი. 2014 წლიდან დღემდე მისი შემოქმედება სისტემატურად იბეჭდება ჯურნალ „უქიმერიონში“, „მერმისში“, „ქორონში“, „მხერლის გაზეთში“. 2020 წლის 14 ოქტომბერს ქ. ქუთაისში გაისხნა მარიამ რევიშვილის მიერ პატრიარქზე მიძღვნილი ქართულ კალიგრაფში შესრულებული ლექსის კედელი. პოეტი დაჯილდოვებულია წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობს პროზაპოეზის პრემია „ივერიით“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიერ და სხვა სიგელებით.



## ჩვენ სულით გვიყვარს პოეტებს

სიყვარულს გულში იტევენ  
ან უმღერიან სონეტებს,  
მხოლოდ გულიდან კიარა  
ჩვენ სულით გვიყვარს პოეტებს.

ჩვენ ტრფობა ვიცით სხვაგვარი,  
მზესავით თბილი, ელვარე,  
ხანდახან მტრედის მაგვარი,  
ხან გრიგალივით მღელვარე.

ლრმა, უსასრულო, დიადი  
ვით ოკეანე უძირო,  
გვჩვევია ვნების მოვარდნა  
და ლამეები უძილო.

გვჩვევია ნაზად მოპყრობა,  
ვწონით სიფრთხილეს სასწორით,  
ამაო სიტყვის სანაცვლოდ  
ფიქრს პოეზიით ავწონით.

ერთი კალამის წინაშე  
ათასი მუზა გვეწვევა,  
ჩვენ სიყვარულის ქარცეცხლში  
ლექსი ალერსით გვეწვება

და ამ ნეტარი შეგრძნებით  
არასდროს გვრჩება იარა,  
ჩვენ სულით გვიყვარს პოეტებს  
მხოლოდ გულიდან კიარა.

## მეც დაჩოებილი ვეძებ ივსოს

მდუმარე წუთი ბევრ რამეს ამბობს,  
იმაზე მეტსაც რაც ოდეს მითქვამს,  
ქარს გავატანდი მუზების ამბორს,  
მაგრამ სამყარო სულს ლექსით მითქვამს.

ამგვარად დავძრნი კალამით ხელში,  
სადაც სიყვარულს ტახტი დაუდგამს,  
და უკვდავებას ადრიდან ჩემში,  
მარადიული ფესვი გაუდგამს.

არ მოვიძებნი დიდების გვირგვინს,  
საკუთარი მაქვს გულის სიდიდე,  
ოჳ, გეფიცები ძალიან მიკვირს,  
რად დაეძებენ გარეთ სიმდიდრეს.

ვინ ვისთვის ცხოვრობს, ვინ რჩება მარტო,  
ვინ იცის... მინდა რწმენა ლვთიური!  
მშვიდობის მეტი რაღა ვინატრო,  
ყოფნა ომია ყოველდღიური.

სადაც ცოდვაში გამორეული,  
ისმის ანტრაქტის ხმა უპიესო,  
მეც ადამივით ცრემლმორეული  
და დაჩოქილი ვეძებ იესოს...

## არადა

მზე სულ ერთია! სულერთია ვინ რასაც ამბობს,  
სულს გავაშიშვლებ, დამირნიე გულის აკვანი,  
პოეტად მოველ! დავწერ იმას დრო რასაც მანდობს,  
შემოვიმსხვრიე ჩაკეტილის ბნელი საკანი.

გრძნობებს ვაშიშვლებ, თამამი ვარ როცა ვნებლები,  
როცა მნებდება მუზა - კალმის მრუში მელანი,  
გგონია, მარტივ ცხოვრებას ვდევ?! ნუ შეეცდები!  
გაფანტო ჩემში ქარიზმები და კაეშანი.

ვივიწყებ თავსაც, არ იფიქრო განდეგვა შემშლის,  
რა ვქნა, მჩვევია უჩინარი მე მარტვილობა.  
ეს მიწა მიყვარს! ყველაფერი - რაც ქვეყნად შენც გშლის,  
მაგრამ უფროორე მირჩევნია ცის მარტივობა.

ფრთები დაგაფრთხობს?! ვერ მომკვეცავ! დროდადრო ვაჩენ,  
იდუმალებით მოცული ვარ, როგორც მისტიკა,  
ნეტავ, რას ფიქრობ?! თვალებში რომ სიმშვიდეს მამჩნევ,  
გგონია, მხოლოდ მზერაშია ჩემი ლირიკა?!

ცდები! იცოდე, ყველაფერი ჩემშია თითქმის,  
ღმერთიც, დემონიც, ერთდროულად ყველა უფლება,  
პოეტად მოველ! ეს რატომლაც იოლად ითქმის,  
არადა ლექსით მოვიპოვე თავისუფლება!

## დაისსოხვა

ცხოვრება მოკლეა, რასაც მოესწრები,  
უნდა გამოსტაცო წუთებს ღიმილები,  
გიჭირს?! ხელს ჩაგუიდებ, სულზე მოგესწრები,  
თუგინდ დავივინყოთ ერთად ტკივილები.

ერთად გადავლახოთ ყოფა ძნელბედობის,  
თორემ სატირული განცდით დაიშლები,  
მოვა გაზაფხული, იმედს მიენდობი,  
როგორც სამაისო ვარდი გაიშლები.

გწამდეს! ოცნებები მაინც ასრულდება,  
გაქცევს სიხარულად, დრო თუ გაცივებდა  
სითბოდ ჩაგელვრება გულში, დასრულდება  
ყველა განსაცდელი ლხინს რაც გაცილებდა.

შეგთხოვ უკეთესზე ფიქრით დაისვენო,  
სევდას მოლოდინი კარგის სულ გერჩიოს,  
რაც გაქვს სადარდელი ალარ გაიხსენო,  
თუკი არ გინდა რომ დარდი მოგეჩვიოს.

ყველგან გაგიმართლებს სადაც მართალიხარ,  
არის ყველაფერი სრული, არასრული,  
მაგრამ დაიხსომე! სანამ ცოცხალი ხარ,  
ყველა გასაჭირს აქვს თავის დასასრული.

## 030

იცი?! გაქრება ეს წუთები და დავმძიმდები,  
ავედევნები გადაფრენილ მერცხლებს, რომლებსაც  
გაზაფხულამდე დაბრუნება არ უწერიათ!  
არ უწერიათ აღდგინება ბებერ ოდებსაც!

აკილდებიან ქარში სულნი, ვერ დავმშვიდდები...  
შემოიძარცვავს ნელთბილ სხივებს მზე დაღარული,  
გამეცლებიან ან ფოთლებიც და დავფიქრდები  
ახლა ვინახარ?! სიძულვილი თუ სიყვარული?!

მერე ქარებიც ჩადგებიან, სევდა ალძრული  
მძაფრი ავდარი აატირებს ლრუბლებს ბოდვათა,  
ცას დანებდება ნოემბერი როგორც ქალწული,  
და შეიქმნება ჰარმონია ნეტარ ცოდვათა...

გაფითრდებიან მწვერვალები მეტად მაღალნი,  
ჩამოიშლება თეთრი თოვლი ნაზი ამბორით,  
ოჳ, ვერასოდეს დავუბრუნებ პასუხს კოცნათა,  
რადგან გადნება მოვარდნილი ვნების ალმური.  
დამეზოგება ალბათ კოცნა მილიონამდე...  
და სათითაოდ შეგინახავ განსაკურნებლად.  
ვიცი, გაივლის ყველაფერი შავ-თეთრ ფონამდე,  
დროს ვერ მოვნახავ წვრილმანების დასაწუნებლად.

წელში გატეხავს სიმარტოვეს ჩემში სტრავინსკი,  
აკინძება თეთრი ლამე ფიქრის კონებად,  
გავითოშები, შინ შევიხმობ მუზებს და ვისკით  
გაგაფერადებ არსებობის გასაფორმებლად.

ვეღარ დაგიცდი! ავლელდები როგორც ზევსი და  
კუდში გრძნობები ამურივით ამედევნება,  
შემიფარებენ ბელურები ფრთებქვეშ, მკერდში და  
ზედ გამოისხამს სიმყუდროვე ქუჩებს მტევნებად.  
ისევ დავიჭერ სადა ფურცელს ხელში მორჩილად,  
და შემოჩენილ სადა კალამს მელნით შევავსებ,  
დავწერ! რას დავწერ?! გიპასუხებ ჩემო მოჭრილად -  
რომ ეს იქნება აპოგეა შენზე მეასე!

რომ ეს იქნება პრელუდია! დროის სონეტი!  
სხვა ქარიზმათა სივრცეები გაფითრდებიან...  
ავედევნები დაბრუნებულ მერცხლებს რომლებიც  
შემოდგომაზე უსათუოდ გაფრინდებიან...

## მამა გიორგი ბასილაძეს

ცა ჩამობნელდა, წვიმა ნაპირობს,  
მზე იტრუნება ღამის იოგით,  
სხვა უკეთესი რა დავაპირო,  
შენთან მოვედი მამა გიორგი...

ასე ეულად... როგორც შენ დამხვდი,  
ირგვლივ საფლავთა სძინავთ არშიებს,  
ეს სამარება მოშიშს ვერ გამხდის,  
ლმერთის იმედით რა შემაშინებს.

გაყინულ თითებს იმ მიწით მითბობ  
გულზე სანთელით გზას რომ გინათებს,  
გეჩურჩულები და ტაძარს მითმობ  
შემწედ, საცაა მთვარე ინათებს

მეც შემატყდება თვალზე ცრემლები,  
დარდს ვერ დავფარავ სულში აკრებილს...  
ყვავილებია თითქოს მცველები,  
ახალს მოგიტან ჩემით დაკრეფილს.

მოულოდნელად მოველ მამაო,  
მინდა გიამბო რასაც განვიცდი,  
ვიდრე სიმშვიდე არის ამაო,  
ნუგეშისათვის კიდევ დავიცდი...

\* \* \*

სულ პოეტები ჰქმნიდნენ ამინდებს  
ცხოვრების! მუზის შემოერთებით,  
სულს პოეზია ისე ამდიდრებს,  
როგორც ოლიმპოს დიდი ღმერთები.

კრთის მზე, მირაჟის ქვიშის ბალებში  
ალმოდებული გადავარდება,  
მაშინ პოეტი მოჰყავს ტალღებში,  
ურჩი ფრეგატის განავარდებას.

იგი არასდროს სიტყვის სიმაღლის  
სათნოებიდან არ დაეშვება,  
მაგრამ ცხოვრების კლდიდან სიმართლის  
ქარიშხალივით გადაეშვება.

ჩაიშხუილებს მუზის გრიალით,  
ვით დედამიწის შლეგი უბნელი  
და ღვთაებრივი ფრთების შრიალით,  
გაჭრის ლაჟვარდებს როგორც ღრუბელი;

რომ პოეზიის ცაზე ავიდეს,  
დარდთან სიმშვიდის შემოერთებით,  
ეს, პოეტები ჰქმნიან ამინდებს!  
ვით ოლიმპოს მთას დიდი ღმერთები...

## გედიერებას არასოდეს უთხრა უარი

არ შეიძლება ცხოვრებაში გადაჲყვე დარდებს  
და ჩათვალო რომ სიხარული მოსაკლებია,  
ვიდრე შეხვდები იმიერში გარდასულ ლანდებს,  
ბედნიერება გულის გულში მოსაკრებია.

არ შეიძლება უიმედოდ შეხედო ყოფას,  
უიმედობით ხალისისგან გადაიცლები,  
უფრო სიფრთხილეს საჭიროებს ამ ქვეყნად ყოფნა,  
თორემ მეორედ ვეღარ მოხვალ, გარდაიცვლები.

სახელს დატოვებ, წალებით კი წაიღებ ვერას!  
სანამ სიცოცხლე ჯერადია ისევ სიახლის  
არ შეიძლება დარდს გადაჰყვე, გადაჰყვე ყველას,  
ვინც შენს სიყვარულს სასიკვდილო ტყვიას მიახლის.

დრო, როგორც სხვა დროს ვერაგია, წუთებში გცელავს,  
უკანმოხედვას არ უშველის ფიქრის უნარი,  
თუ ოდნავ მაინც სიხარული ძარღვებში ღელავს,  
ბედნიერებას არასოდეს უთხრა უარი!

## გვარველ ანგელოზს

ვიცი ჩემთან ხარ და არ მცილდები  
შენ ანგელოზო ჩემო მფარველო!  
გულს მითბობ სულში აღარ ვცივდები  
ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ რომ მმფარველობ.  
ყველგან დამყვები რა გზაც გავკვეთე,  
უკვე იმდენად ბრწყინვა გუგებში,  
რომ სუყველაფერს რასაც ვაკეთებ  
თითქოს ატყვია შენი ნუგებში.

ვიღიმები თუ ვტირი მაშინვე  
დიდი საქმეა ეს თუ მცირედი,  
აღარაფერი აღარ მაშინებს  
ისე ამივსე ფიქრში იმედი.

შენ ანგელოზო ჩემო მფარველო!  
ვდნები ლოცვაში სანთლის ღვენთვამდე,  
ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ რომ მმფარველობ  
და ჩემი თხოვნა მიგაქვს ღმერთამდე.

## იმადეპით მოვდივარ

ცხოვრება მიდის თავის გზებით,  
მე კი იმედებით მოვდივარ!  
ვბრძოლობ, ვიმარჯვებ დიდი გზნებით,  
ქალი ვარ, თუმც სუსტი როდი ვარ.

სიკეთე მზერაშიც გადამდის,  
ბოროტი მე როგორ დამაქცევს,  
გვერდით მყავს უფალი მარადის!  
ამ ქვეყნად ვერავინ წამაქცევს!

არც ისე მარტივად ვიარე,  
მრავალჯერ მატკინეს ეს გული,  
მოთმენა მირჩენდა იარებს,  
ვიყავი ზნეობის ერთგული.

ვიყავი ვარ მუდამ წამდვილი,  
ნიღაბს სახეზე არ ვიშენებ,  
ვიმოსავ სიმშვიდეს! მანდილი  
ქართული მიყვარს და ვიმშვენებ.

ტაძარი ლოცვაა საჩემო,  
ხატებით რწმენასთან ვზავდები,  
ყველას მიუტევე გამჩენო!  
ვისაც უმიზეზოდ ვზარდები.

გული წრფელ სიყვარულს დაიტევს,  
ლამაზი დღეები ხვალობენ,  
სულში, გაზაფხულით რომ მიტევს,  
იები, ვარდები ხარობენ.

მომავალს ვიცავ დიდი გზნებით,  
ქალი ვარ, თუმც სუსტი როდი ვარ,  
ცხოვრება მიდის თავის გზებით,  
მე კი იმედებით მოვდივარ!

# თბილისი

## გრიგორ ზოჭრაპი

გრიგორ ზოჭრაპი დაიბადა 1861 წელს კონსტანტინოპოლის ფეიქთაშის რაიონში. მისი მამა, ხაჩიკ ეფენდი, სერაფიმი იყო, ნარმოშობით აკნეციდან, ხოლო დედა, ეფტიკ ჰანიმი- მალათიელიდან. მან დაწყებითი განათლება მიიღო პეშიქთაშის კოლეჯში. 1876 წელს ზოჭრაპი იმ დროს თურქეთის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში, კალათასარაის კოლეჯში მიიღო, რომელიც 1868 წელს საფრანგეთის მთავრობის ეგიდით გაიხსნა. მან კოლეჯი ნარჩინებით დამთავრა.

1880 წელს მან მუშაობა დაიწყო საადვოკატო ბიუროში, მნიგნობრად და ამავე დროს დაიწყო კალათასარაის ოურიდიულ განყოფილებაში დასწრება. მაგრამ მაღლე სკოლა, რომელშიც 45 სომეხი, 2 მაჰმადიანი, 2 ებრაელი და 3 ბერძენი სტუდენტი სწავლობდა, საკმარისი სტუდენტების არარსებობის გამო დაიხურა.

კონსტანტინოპოლიში ზოჭრაპი ცნობილი იყო როგორც იურისტი, განსაკუთრებით უცხოელთათვის, იცავდა მათ საქმეს თურქეთის პირველ სავაჭრო სასამართლოში. ზოჭრაპი იყო კოსტანტინოპოლისში რუსეთის საელჩოს მთარგმნელი და იურიდიული მრჩეველი. იგი ყოველთვის იცავდა უსამართლოდ დადანაშაულებულ სომხებს, ბერძენებს, ბულგარელებსა და სხვა უცხოელებს. ხელისუფლებას ეს არ მოსწოდა და ზოჭრაპს დროებით აეკრძალა კანონის დაცვა, მაგრამ იგი მაინც აგრძელებს ბრძოლას თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის.

1892 წელს ზოჭრაპის რედაქტორობით გამოიცა ეროვნული, ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი „მასისი“. 1893 წელს ჟურნალმა შეწყვიტა გამოცემა.

1908 წ თურქეთში დაშალა სულთან ჰამიდის მონარქია, დამყარდა კონსტიტუციური წყობა. ზოჭრაპი აირჩიეს პარლამენტის წევრად. მან გააგრძელა თავისი მღელვარე გამოსალები პარლამენტში, იცავდა ეროვნული უმცირესობების ინტერესებს.

1915 წლის ივლისში ზოჭრაპი დააპატიმრეს ასობით სომეხ ინტელიგენტებთან ერთად.

## პედიატრი სიკვდილი

ექიმი ვაჰანიანი არ არის ჩვეულებრივი ექიმი. იგი სხეულის დაავადებებთან ერთად სულიერ ტკივილებსაც ატარებს. ის 60 წლისაა, თეთრწვერიანი, სუსტი, ტკბილად მოსაუბრე. 40 წლიდან ებრძის სიკვდილს. იგი იხსენებს ერთ საღამოს, როდესაც ჩამოვარდა საუბარი ბედნიერ სიკვდილთან დაკავშირებით. სამედიცინო ან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოთქმული მოსაზრებებით როგორი სიკვდილია უფრო ბედნიერი, ვერ თანხმდებოდნენ.

ჯანსაღი და მხიარული გოგონას აზრით, გარდაცვალების საწინააღმდეგო დაბრკოლება არის ლამაზი. ახალგაზრდა კაცი ამბობს, რომ რევოლუციის ტყვია ყველაზე საუკეთესოა თავის ტვინში. არსებობს მოსაზრება, რომ ყველაზე საუკეთესო გზა არის დახრჩიბა ... მაგრამ ამ ყველაფერს აქვს თავისი უარყოფითი მხარე.

ექიმმა თქვა, რომ მან ერთხელ დაინახა ბედნიერი სიკვდილი. ათი წლის წინ საღამოს წვეულებაზე იყო, სადაც გაიცნო 40 წლის ქალი, რომლის ქმარიც ქალზე ბევრად უფროსი იყო. ერთ დროს მეუღლემ მას გარკვეული თავისუფლება მისცა. ქალებს შურდათ მისი და ხშირად ჭორაობდნენ. მას გული აწუხებდა, ამიტომ ექიმმა ურჩია, რომ მშვიდად და თავისუფლად ეცხოვრა.

მაგრამ ამ ქალბატონმა არ მიიჩნია სწორად, შეეცვალა ცხოვრების სტილი, რომ მისთვის ბედნიერი ცხოვრება კიდევ ერთ დღეს გაგრძელებულიყო. დაავადება უარესდებოდა, კრუნჩევები ემატებოდა. წვეულებები და მიღებები კი გრძელდებოდა.

წვეულებას ესწრებოდა ახალგაზრდა ადამიანი, რომლის მიმართ ეს ქალბატონი გულგრილი არ იყო. კაცს ევროპაში ჰქონდა დამთავრებული სამართალმცოდნების ფაკულტეტი. ის თავის საქმეზე მეტად უპირატესობას ქალებთან ურთიერთობას ანიჭებდა.

სიცოცხლის გაგძელების არარსებობის მიუხედავად, ქალს ემჩნეოდა თავდაჯერებულობა. ჭორიკანა ქალები ქალ-ვაჟის სიახლოვეს ამჩნევდნენ. ორივენი არაჩვეულებრივი არსებები იყვნენ.

დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით უყურებდა მათ ცეკვას. ქალბატონს მოულოდნელად ფეხი გაუცურდა და კინაღამ დაეცა ძირს. ახალგაზრდამ დიდი ძალისხმევით შეძლო მისი დაჭერა. ფეხი გაუცურდა ამბობდნენ აქეთ-იქიდან.

ქალი ცუდად გახდა, იგი დივანზე დააწვინეს, მას გულის შეტევა ჰქონდა.

ქალი იმ ახალგაზრდის გვერდით გარდაიცვალა - ეს იყო ყველაზე ბედნიერი სიკვდილი. მას არ განუცდია ავად ყოფნა, ტკივილი, სიბერემ არ დააჭკნო იგი. შეყვარებული და მოსიყვარულე ქალი ბოლო წუთამდე დარჩა საყვარელი კაცის მკლავზე.

### **სომხურიდან თარგმნა მარიამ ბალასანიანმა**

# ტრიტიტ

## ვახტანგ ინაური

### „სანთლების ყანა“ – ცოდარ ადეიშვილის პოეტური გედიტაციები

ნოდარ ადეიშვილის ახალი ლექსების კრებული „სანთლების ყანა“ ერთდღოულად მიგვანიშნებს ჩვენი ქვეყნის ეკლესიურობასა, სიწმინდესა და პოეტური ლოცვის განწყობილებაზე. მხატვრულად გააზრებული აყვავებული ყვავილები ანთებული სანთლებია. ყანა ძველი ქართული მნიშვნელობით მიწაა (3-262). ე.ი. მიწა სასანთლის ანალოგია, ხოლო ყვავილები სანთლების. ეს ორი ცნება, ორი სიმბოლო ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, როგორც სანთელი და სასანთლე. „სანთელი სასანთლესა ზედა“ (2-121) ეს სახარებისეული გამოთქმაა, რომელიც ფიქსირდება „აბოს წამებასა“ და „გრ. ხანძთელის ცხოვრებაში“.

6. ადეიშვილის ლექსების კრებულის სათაური მიესადაგება თანამედროვე ცხოვრებას, ქართულ ბუნებას და მიწის მშვენიერებას, მის ქრისტიანულ ფუნქციას.

სათაური „სანთლების ყანა“ შინაარსობრივად უფლისადმი სიყვარულისა და რჩების გამომხატველია. სანთელთა სიმრავლეში დაუწევებული ფარული ნეტარებისა და იმედის განცდაა.

6. ადეიშვილი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ყოველთვის ლექსის განწყობაზე არიან, რომლებიც ლექსით ცოცხლობენ და ლექსითვე აცოცხლებენ ქვეყანას. მისი პოეტური სული, მოვლენებისა და საგნებისადმი პოეტური ხედვა კრებულის წინასიტყვაობაშიც ნათლად ჩანს, იგი განსაკუთრებულად ორიგინალური და საინტერსერო. შეიძლება ითქვას, კრებულის პოეტური შესავალი, რომელიც ლელა მეტრეველს ეკუთვნის, ლიტერატურული სიახლეა. ეს პოეტი ქალის უჩვეულო და ჯერ კიდევ ერთადერთი წინასიტყვაა ქართულ ლიტერატურულ დოკუმენტების. მას დიალოგის ან ინტერვიუს ფორმა აქვს, სადაც პოეტის 6. ადეიშვილის ლექსად გაცემული პასუხები განსაზღვრავენ მის თავისთავადობას

და წარმოაჩენენ ავტორის პოეტურ ბუნებას, მის პოეტურ შეხე-დულებებს სამშობლოზე, სიყვარულზე, პოეზიაზე, გაზაფხულზე და სხვ. იგი სიყვარულის შესახებ დასმულ კითხვაზე მარტივი, მაგრამ ბევრისმთქმელი და ღრმააზროვანი სტრიქონებით პასუხობს:

„გიყვარვარ – რა უბრალოა,  
მიყვარხარ – რარიგ ძნელი“.

პოეტის ლოგიკა გასაგებია, რომც გიყვარს, ისაა ძნელი და მტანჯველი, დარდის და მწუხარების წყარო, ხოლო როცა უყვარხარ ეს ბედნიერებაა, სიხარული და ნეტარებაა.

„სანთლების ყანა“ რომ ქრისტიანულ ტრადიციებს ასახავს. ეს ნათლად ჩანს ამავე სახელწოდების ლექსიდან.

„სამოთხის თეთრი ჩიტები  
ფრენენ და ფრენენ გუნდებად.  
სანთლების ყანა ამოდის  
სანთლების ყანა პურდება“.

პოეტური გრადაციით ავტორი ასახავს ქრისტიანულ ორ სიმბოლოს (პური ჩვენი არსობისა და სულიერი საზრდო პური – სანთლი) მჭიდრო ურთიერთყავშირს და სანთლების ყანის ამოსვლა და დაპურება ერის სულიერი და ხორციელ ბარაქაზე მიგვანიშნებს, რაც სანეტარო ცხოვრების საწინდარია, ხოლო სამოთხის ჩიტების ფრენა სიხარულის მაუნყებელი.

პოეტის შემოქმედებაში ჩიტის მხატვრულ სახეს დიდი ადგილი უკავია, ჩიტი არა მხოლოდ სასიხარულო განწყობას გამოხატავს, არამედ იგი ესთეტიკური ტკბობის, სიცოცხლის, სინაზისა და მშვენიერების სიმბოლოა.

„რომ კვლავ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი  
და კვლავ გავძახი: – ოქროს ნისკარტი! –  
ჩიტს, დილის ზეცა რომ აბარია...“

ავტორი მოხდენილად იყენებს ფოლკლორს და ლექსში შეაქვს ჩიტის ჭიკჭიკზე ტრადიციული შეძახილი „ოქროს ნისკარტი“, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩიტის გალობა კეთილის მაუნყებელი იყოს. აქვე წარმოჩენილია ჩიტის მეტაფორული ფუნქცია „ჩიტს, დილის ზეცა რომ აბარია“, რომელიც გამოხატავს ჩიტის ჭიკჭიკით

დილის გათენების ლამაზ რიტუალს, რაც ერთგვარი გარანტია, რომ მთელი დღე მშვიდობიანი და წარმატებული იქნება.

ჩიტი შეიძლება გავიაზროთ, როგორც ტოტემი. მრავალი ქვეყნის მითოსში ცხოველებთან და ხეებთან ფრინველებიც ფიქსირდებიან ტოტემად და მათ შორის ჩიტებიც. სავარაუდოა, ავტორის სიყვარული ჩიტებისადმი იმანაც განაპირობა, რომ ჩიტში იგი თავის, ან თავისი გვარის ტოტემს შეიგრძნობს.

„მე ის ჭრელი ჩიტი მზრდიდა  
შენ რომ გზრდიდა, ჩიტო-გვრიტო!“

ამ სიტყვებით უფრო მყარდება აზრი ჩიტი-ტოტემის შესახებ. ლექსში „ლ...-ს“ ნათლად არის გამოხატული მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩიტებისადმი.

ჩიტი პეტრიძის ტოტემია გრ. რობაქიძის „გველის პერანგში“, ბორა ტარბების კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“. ადამიანის სულის პარალელურად ცხოვრება ფრინველში ან სხვა ტოტემში, განაპირობებს მის ორმაგ სიცოცხლეს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ნ. ადეიშვილი ქვეცნობიერად აღიქვამდეს ჩიტს, როგორც ტოტემს, რადგან მის გარეშე სიცოცხლე მისთვის არა-სრულყოფილად გაიაზრება, ჩიტი ავსებს მის ცხოვრებას, მის პიროვნებას, ჩიტის გული საკუთარ გულად წარმოუდგენია.

„აბა, იგი რა გულია,  
თუ შიგ ჩიტი არა მჯდარა,  
ჩიტის ფრთებით მოხატულა  
ჩემი გულის კარ-ფანჯარა.  
უსტვენს ჩიტი, უსმენს გოგო  
გაზაფხულის ავან-ჩავანს.  
როცა ჩავალ, სამარეშიც  
ა იმ ჩიტის გულით ჩავალ“. .

ჩიტის გული ფაქიზი და წრფელია, ჩიტის გულით ცხოვრობს ლირიკული გმირი და ჩიტის გულით მიდის ამქვეყნიდან. „თეთრი ჩიტი შემჭკნარ იასამანზე შეფრინდა და ჩემს სადარდელს უსტვენს“ – ეს სტრიქონები კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ ჩიტი ჩვეულებრივ ფრინველზე მეტია პოეტისთვის, რაც კვლავ გვიმტკიცებს აზრს, რომ ჩიტი მივიჩნიოთ ტოტემად ნ. ადეიშვილის პოეზიაში.

„ლმერთმა ნუ ქნას გახმობოდეს ჩიტებს  
ჩემი ეზოს ტირიფი და თხმელა“.

ამ სტრიქონებშიც პოეტის ჩიტებისადმი ზრუნვა ჩანს. აქაც კვლავ ორმხრივი პრობლემაა ტოტემისა და ადამიანის ურთიერთობაში. ჩიტების სიკეთე და პოეტის სიკეთე ერთმანეთის იდენტურია.

ჩიტი ხალხურ წარმოდგენებში სიკეთის სიმბოლოა არა მარტო ამ ქვეყნად, არამედ იმ ქვეყნადაც. ამის დასტურია სამოთხის ჩიტის შესახებ გავრცელებული აზრი ზეპირსიტყვიერ თქმულებებში, რომლის მიხედვითაც სამოთხის ჩიტის სახე არის სულიერი სიმშვიდისა და ტკბობის მანიშნებელი იმ ქვეყნად.

ნოდარ ადეიმშვილი ყვავილებიდან იას განსაკუთრებული სიყვარულით და პოეტური სახეებით ასახავს. ია გაზაფხულის სიმბოლოა, ნაზი, ლამაზი და სუსტი. ამიტომ ეფერება პოეტი მას: მისთვის ია ნათელი მზიანი დღეებისა და ბუნების გამოღვიძების მაუწყებელია, იის დაჭკნობა კი სევდას ჰეგრის და წყევლის ახდენად მიაჩნია: „დაჭკნა ია ჩემი ჩითის პერანგზე. შენი წყევლა, შენი კრულვა ამიხდა“.

პოეტი ვერ ეგუება ერთად ახსენოს ია და სიკვდილი, ეს ორი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა მისთვის შეუთავსებელია ია სიცოცხლეა, ყოფნაა, სიკვდილი არყოფნაა. ამ თვალსაზრისით პასუხობს იგი ვაჟა-ფშაველას ლექსს „იას უთხარი ტურთასა“, კონკრეტულად იძლევა ვაჟას სიტყვების „ნუ მოხვალ თორემ მოკვდები, მოსვლაში არა ყრიაო“ (4-53) ერთგვარ საპირისპირო ინტერპრეტაციას „მაინც მოსვლა სჯობს არ მოსვლას, ჩემო ლურჯთვალა ია“. ამ სტრიქონებით ნ.ადეიმშვილი გამოხატავს მარტივ ცხოვრებისეულ ხედვას იის ამ ქვეყნად მოსვლის შესახებ და ნათლად ფიქსირდება, რომ სიცოცხლე სასურველია მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი გარდაუვალია.

ია „სანთლების ყანაში“ სამშობლოს ცნებასთან ერთად მოიაზრება, მისი მთლიანი აღქმის ერთ-ერთი ობიექტია სხვა ეროვნულ-ტრადიციულ საგნებთან და მოვლენებთან ერთად, რაც ნათლად ჩანს ლექსში „იების კვამლი“.

„ცხენი, მინდორი, თხმელა, შაშვები,  
ლობე, გოდორი და წალდი ჯირკზე,

ან ციცქნა გოგოს ტანის აშვება  
მასავით ციცქნა ბიჭების ჯიბრზე!  
ან ცოტა იქით – წყარო და სერი,  
ან უფრო იქით – იქის კვამლი“.

„იქის კვამლი“ – ამ პოეტური მეტაფორით იას ენიჭება ცხოვრების, კერის ჩაუქრობლობის მხატვრული ფუნქცია. იქის კვამლი — ესთეტიკური სახე ასოცირებს კერის კვამლთან და ასე წარმოაჩენს ავტორი სამშობლოსა და იქის სიმბოლურ ურ-თიერთკავშირს.

სამშობლოს სიყვარული იებთან კონტექსტის გარდა კრებულში სრულიად ორიგინალური თვალთახედვით და განცდით არის ასახული. არც პათეტიზმია და არც მკერდზე მუშტის ბაგუნი, იგი ლალად, თავისუფლად ინდივიდუალურ-პირადული დამოკიდებულებით არის გადმოცემული, ჩანს ავტორის თავმდაბლობა და მოკრძალება მამულის წინაშე. იოლია ამაღლებული და ჰეროიკული სიტყვების თქმა, როგორც ეს მრავალი ათწლეულის განმავლობაში იყო, მაგრამ მათი შესრულება ძნელია. რეალურად პოეტური სიტყვა და რეალური სინამდვილე ერთმანეთს არ ესადაგებოდა. ტენდენცია ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიდან იღებს სათავეს, რაც განაპირობა საქართველოსა და ქართველი პოეტების მძიმე მდგომარეობამ და ქართველი პოეტების იმპერიის სამსახურში ყოფნამ. საქმით სამშობლოს წინაშე გაორებული სამხედრო პოეტები შემოქმედებაში ცდილობდნენ ერთ სრულ პიროვნებად წარმოაჩენილიყვნენ და მაღალი პატრიოტული პათოსით იოხებდნენ გულს. ეს ტრადიცია სამოციანელებზეც გავრცელდა და საბჭოთა ეპოქის პოეტებსაც გადმოცყვა. მაგრამ იყვნენ და არიან პოეტები, რომლებიც თავს გაორებულად არ გრძნობდნენ და ჩვეულებრივი თავმდალობითა და გულისხმიერებით წერენ სამშობლოსა და ერის სიყვარულზე. ერთ-ერთი ასეთი პოეტი და მოქალაქეა ნოდარ ადეიმვილი, რომელიც თავის ლექსებში წრფელი და უპრეტენზო სიყვარულით ეპყრობა პატრიოტულ თემას.

„შენ კი არა, ჩემი ეტლის  
ამბავს თვითონ ვეღარ ვიტან,  
მაგრამ მაინც ნუღარ მეტყვი,  
ის რომ არ ვარ, ვინც შენ გინდა“.

უფრო საინტერესოა როგორ არის აღქმული „სანთლების ყანაში“ ლირიკული გმირის მოქალაქეობრივი ვალი და რას განიცდის იგი სამშობლოს წინაშე გაჭირვების ჟამს.

„ისე ვიწვი შენს კარებთან  
ვალითა და სირცხვილითა,  
რომ ამდენი მტერი გყავს და  
ვკვდები ჩემი სიკვდილითა“.

ამ სტრიქონებში 6. ადეიშვილი ერთგვარად ამსხვრევს ძველ სტერეოტიპებს. აյ არის რეალური პროცესი ასახული, ყალბი სიტყვიერი თავდადებისა და აბსურდული ფანატიკური ალთქმის ნაცვლად, პოეტი გადმოგვცემს გულწრფელ სინანულს, რომ ომში მტრის ტყვიით არ დაიღუპება და თავის სიკვდილით მოკვდება. თანაც იმ დროს, როდესაც ქვეყანას ბევრი მტერი ჰყავს.

გამოჩენილი მამულიშვილისა და მამულის ურთიერთობის, კერძოდ, მისი მშობელ მიწაზე დასაფლავების მტკიცნეული საკითხი ასახულია ლექსში „სხვა რა ვთხოვო...“. ეს ტკიცილი არა-ერთგზის დაფიქსირდა ქართულ მწერლობაში. აკ. წერეთლის „განთიადში“ სწორედ გამოჩენილი მამულიშვილის ვედრებაა გადმოცემული: „დედაშვილობამ, მეტს არ ვთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“ (5-22). ამ საკითხზე 6. ადეიშვილი განსხვავებული ტკიცილით და პოეტური ემოციით გადმოგვცემს:

„რუსთაველიც სხვის მიწაში გვიწევს,  
რანაირი მამული გვაქს ხალხო!“

„სანთლების ყანაში“ მცირე ზომის ლექსებია შეტანილი, თითოეული მათგანი დამოუკიდებელ აზრსა და იდეას შეიცავს, ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, ერთი მთლიანი შინაარსი გააჩნია. ავტორი თავისუფლად ეპყრობა ქართულ სიტყვას და თავის სათქმელს დაძაბულობისა და დატვირთვის გარეშე გამოხატავს. მისი პოეტური სტილი აზრის მარტივად გადმოცემითაა განპირობებული:

„ვარ მიბმული თეთრი კრავით,  
ვარ მიბმული ამ ლეღვსულელს,  
მოფრინდება მალე ყვავი,  
გაფრინდება სული სულეთს“.

ასე მარტივად და უბრალოდ წერს ნ.ადეიშვილი ყოველი ცოცხალი არსებისათვის საშიშ სიკვდილზე. მისთვის არ არსებობს პრობლემა, რომელზეც საგანგებოდ ჩაფიქრდება და როულ მხატვრულ ფორმებს დაუნებებს ძებნას. მისთვის არც ტრაგიკულია პრობლემატური. როდესაც სიკვდილზე ასე მარტივად მსჯელობს, ცხადია, სიყვარულზე უფრო იოლად დაწერს. როგორი უიმედო განცდაც არ უნდა ახლდეს, ჩვეული სიმსუბუქითა და სილალით გადმოსცემს სათქმელს.

„მოვა ის დროც,  
რომლის შემდეგ  
სიყვარული აღარ მოვა“.

ასეთივე მარტივად გადმოსცემს პოეტი სიყვარულის გამოხატვის და სიყვარულით დაახლოვების მომენტს. აქ განსხვავებული თვალთა ხედვა ჩანს. ნაცვლად მოფერებითი ტონისა და ლამაზი სიტყვებისა, იგი სრული უშუალობითა და პირდაპირობით მიმართავს თავისი რჩეულს:

„თუ არ გიყვარვარ, ნუ მომცემ იმედს,  
თუ არ მოგწონვარ, ნუ გამილიმებ!“

ნ. ადეიშვილი თავისი ახალი ლექსების კრებულში „სანთლების ყანა“ მისთვის ჩვეული პოეტური ხედვით, თავისებურად განსხვავებული მხატვრული ასპექტებითა და პოზიციით ასახავს როგორც ეთიკურ-ესთეტიკურ, ისე ეროვნულ-პატრიოტულ პრობლემებს: იგი თავისი უშუალობითა და მხატვრულ სახეთა ორიგინალობით, პოეტური უბრალოებითა და თავისუფალი სტილით, კიდევ უფრო ამდიდრებს თანამედროვე ქართულ პოეზიას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ნოდარ ადეიშვილი, „სანთლების ყანა.“ 2009.  
სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი ტ. II 1993  
ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, რჩეული. 1988

# მოგონიაბი

## ნათელა მელიქიძე

### ჯავახური დაისეპი

\* \* \*

არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა (რომელთა ნაწილს იმდროისათვის სათანადო კვალიფიკაცია არ ჰქონდა) პროფესიულ განვითარებას თსუ ჯავახეთის ფილიალმა დაუსწრებელი სწავლების ფორმა შესთავაზა ისე, რომ მათ პედაგოგიურ საქმიანობაში ხელი არ შემლოდათ. შეთანხმებისა-მებრ, ეს იყო შაბათის მეცადინეობები, რომელსაც ბატონ მერაბ ბერიძესთან ერთად მაკა კაჭკაჭიშვილი და ამ ამბის გამხსენებელი ვუძღვებოდით. ის წელი შაბათებს დამთხვეული დაბადების დღეების, ქორწილებისა და გასვენებების გარეშე მიიღია. ჯავახეთის ზამთრის სუსტი პირველად მაშინ ვიგემე, მოლიპულ გზაზე რამდენჯერმე ვილისის შემობზრიალებამაც ამიკანკალა გული, მაგრამ ახალქალაქის შესასვლელთან მოდუდუნე მტკვრის ნაპირას ჩამნერივებული ალვის ხეები ასე იოლად არ აპირებდნენ ჩვენთან დამშვიდობებას. მხიბლავდა მათი შემოგებება და წელიწადის სხვადასხვა დროს განსხვავებული აფერადება. დედაჩემს გული უსკდებოდა, ღუმელს გვერდიდან არ სცილდები და შენ ჯავახეთს როგორ გაუძლებო?! გაუძლებო?- თოთხმეტი წელი გაგრძელდა იმ ყინვა-ყიამათთან ჭიდილი.

მერე იყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პირველ და მეორეჯურსელებთან მუშაობის საინტერესო გამოცდილება. ყოველდღე ავდი-ჩამოვდიოდით ახალციხიდან ახალქალაქში, გამთენისას გავდიოდით და უკვე მოსალამებულზე ვბრუნდებოდით. გვეხუმრებოდნენ დასათხოვრებს - დიდი შანსი გაქვთ ვინმე გადარეულს გადაეყაროთ, გზაში ვინც გადმოგვიხტება და თქვენს თავს მოგვტაცებსო, აბა, სხვა დროს ჩვენი და სტუდენტების მეტი ვერავინ გხედავთო. უნივერსიტეტი ხომ ქალა-

ქიდან მოშორებით მდებარეობდა, ნინოწმინდისკენ მიმავალი ცენტრალური გზიდან ხელმარცხნივ უნდა გადაგეხვია და ყოფილი პროფსასწავლებლების ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდით. ვილისში იარუსებად ვისხედით, რომ ჩავტეულიყავით, მე ყოველთვის მეორე სართული მერგებოდა და მაშინ იხუმრა პავლე ასპანიძემ ჩემს მეგობართან: ნათოს რა უჭირს, კალთაში იზრდება, ჩვენ ვიკითხოთ, საბარგულში რომ ვართ ჩაჭუჭყნულიო. წვიმაში ქოლგას ვშლიდით, ბრეზენგს გამოტარებულ წვეთებს რომ არ დავესველებინეთ. რაღაცას იუმორითაც ვუყურებდით, აბა, ჩემმა მტერმაც ნუ გამოიაროს ის, რასაც გავუძელით.

\* \* \*

ბორჯომის მეოთხე სამმართველოში (ლიკანი) გვიტარდებოდა ტრენინგები ჯავახეთის ფილიალის ათ პედაგოგს, რომლებიც ტესტირებით შეგვარჩიის. ეს იყო განათლების სამინისტროსა და ეუთოს ეუუკის ერთობლივი პროექტი. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ დილით დათომ ამომაკითხა (ბატონი მერაბის მძღოლმა) „ადინაცატებში“ (ახალციხის დასახლება), უნდა წამოხვიდე ახალქალაქში, გამოცდაა ჩასაბარებელიო. ვიფიქრე, ნეტავ ვინ დარჩა პედაგოგთაგან, ვისაც არ ჩაუბარებია და ახლა ამისთვის მივდივართ-მეთქი. სხვების პასუხის მოსასმენად ასულმა თავად ვწერე ტესტი და გასაუბრებაც გავიარე. მე მაშინ ახალციხის ფილიალის მოწვეული პედაგოგი და ენის პალატის ახალციხის სამმართველოს თანამშრომელი ვიყავი, ამიტომ ვერც წარმომედგინა, როგორ უნდა გამენაწილებინა დრო ისე, რომ ჯავახეთშიც არაქართველი სტუდენტებისათვის ლექციები წამეკითხა, თანაც მე ხომ მათთან მუშაობის გამოცდილება არ მქონდა, არც სომხური ვიცოდი... გაირკვა, რომ ჩვენ გადაგვამზადებდნენ სპეციალურად მათთვის დაწერილი სახელმძღვანელოს, „საიმედოს“, ავტორები: ქალბატონი ნინო შარაშენიძე და ბატონები - კახა გაბუნია და ზურაბ ბალაშვილი. საინტერესო აღმოჩნდა ეს გამოწვევა. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების სპეციფიკა მშობლიური ენის სწავლებისაგან განსხვავდებოდა და ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ: სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლება გულისხმობდა მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის აქტივობებზე დაკვირვებას, მათი

წილის სწორად განსაზღვრას, აუდიო-ვიდეომასალების გამოყენებას. გრამატიკის სწავლებაც საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისად უნდა მომხდარიყო, სისტემური გრამატიკა ამაში ვერ დაგვეხმარებოდა.

ლიკანში ჩასვლა ფოთოლცვენას დაემთხვა. ბუნების მრავალფეროვნება ჩვენი ფერისცვალების დღეებს ალამაზებდა. ტრენერები თავისი საქმის პროფესიონალები და ადამიანობის ეტალონები აღმოჩნდნენ. აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობაც.

\* \* \*

მე და მაკას იურისტების ჯგუფი გაგვინაწილეს, თითო გოგო და ათამდე ბიჭი შეგვხდა. ადმინისტრაციის უფროსი, ბატონი მერუჟანი, საგულდაულოდ ეცადა გაეხაზა თითოეული სტუდენტის მამიშვილობა: ეს კულტურის განყოფილების უფროსის შვილია, ეს - გამგებლის, ეს - ამის და ეს - იმისო. ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა და მომდევნო დღეებშიც, გამოკითხვისას, გამოცდების ორომტრიალშიც ყურადღება რომ არ მიგვიქცევია ინტელიგენციის შთამომავალთა გაბრექილი მანერებისათვის, მეტად აღარც მათ ჰქონიათ გამორჩევითობის მოლოდინი. და კიდევ: ძალიან, ძალიან უკვირდათ ჩვენი, პედაგოგების, ღიმილიანი მიმართვები, თანამშრომლური დამოკიდებულება: ჩვენთან სკოლაში მასწავლებლები სულ კოპებშეკრული დადიან, სიტყვის თქმას ვერ გაუბედავო. მოგვიანებით, როცა არაქართული სკოლების მასწავლებელთა გადამზადების პატივი გვერგო, აღიარეს, რომ სიმკაცრე ჯავახეთის პედაგოგთა „პოზა“ იყო, მოსწავლეებს რიდი რომ ჰქონდათ და არ გათამამებულიყვნენ! რავიცი, ადამიანურ მიპყრობას არცერთი სტუდენტი ჭკუაზე არ გადაუყვანია, არც ჩვენთვის და არც სხვისთვის არ უკადრებიათ აუგი. და, აი, ერთმა, თვეში ერთხელ რომ გამოჩნდებოდა და ლექციის არევა რომ სცადა, მიიღო კიდეც ქოთები თანატოლებისაგან: ვის აკადრე და ასე აგდებით ელაპარაკე, ის ხომ ჩვენი პედაგოგიაო.

ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ ჩვენი ყველაზე დიდი მოსარჩევები საქართველოს სამხრეთ კარიბჭესთან, ასე ლღვებოდა ყინული, ასე ჩამოყალიბდა ერთმანეთის ნდობა.

\* \* \*

ერთ დღეს იმ რეალობის წინაშეც აღმოვჩნდით მე, მაკა და თიკო (თამარ ლობჟანიძე), უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში რომ უნდა დავრჩენილიყავით. თავიდან ორ კვირაზე იყო საუბარი, რომელიც წელიწადნახევარი გაგრძელდა. მეორე სართულზე სტუდენტი ბიჭები და მოხუცი დარაჯი სახლობდნენ, ჩვენ მესამე სართული გვერგო მთელი სიგრძე-სიგანით. არ იყო წყალი, არ იყო გათბობა, არ იყო საპირფარეშო, აბანოზე ოცნებაც ზედმეტი იყო... ეზოდან ვეზიდებოდით გირჩებს, რომ წყალი გაგვეთბოდა მოვნესრიგებულიყავით. ეზოშივე ჩავდიოდით ტუალეტისათვის, რომლის მოფანფალებული კარი გარედან მოწოლას გაიძულებდათ. სუსტი ელექტრონერგიის გამო ახალციხიდან ამოტანილი უთო უსარგებლო აღმოჩნდა. ზამთარში შემას ხან ჩვენვე ვჩებდით, ხან - სტუდენტები, ხანაც - შემოსწრებული უცხო ადამიანები, რომლებსაც კარტოფილის საწყობიდან (საერთო საცხოვრებლის სარდაფში რომ განეთავსებინათ) ნაყიდი ბოსტნეული მიჰქონდათ და გოგოებს ცულს გამოგვართმევდნენ - უხერხულია, მოგეხმარებითო. საოცარი დაისები იცის ჯავახეთში და იქაური ვეებერთელა მთვარის მზერაში რამდენჯერ შუაღამეც გადასულა. ვისხედით საერთო საცხოვრებლის რეინის კიბეებზე, გავყურებდით უსასრულო ჰორიზონტს, აბულის მწვერვალს, ვკითხულობდით პაოლოს, რობაქიძის, გალაკტიონის, ანას, დათო მაღრაძის, მანანა ჩიტიშვილის პოზიას და ვიფერადებდით ერთფეროვან დღეებს. ზამთრის გრძელ ღამეებს თიკომ მოსვენება დაუკარგა, როცა აკა მორჩილაძის შემოქმედებას გვაზიარა, ხმამალლა გვიკითხავდა და დროდადრო კომენტარებსაც ჩაურთავდა. ამ დროიდან დაიწყო მაკამ სადისერტაციო მასალების შეგროვება, კითხვარი მოამზადა და ინფორმატორებისაგან საჭირო ინფორმაციასაც ინიშნავდა. მე ფერადი ქაღალდებისაგან ყვავილების გაკეთება ამეკვიატა და აპლიკაციებით გადავახალისე კედლები, პოეტურ ბწყარედებსაც არ ვიშურებდი. შეყვარებული სტუდენტები თავიანთ რჩეულებს ამ სტრიქონებით ანებივრებდნენ და ჩვენ მოზიარე ვიყავით მათი სიხარულის.

როგორ მინდოდა ჯავახური დაისების ფოტოგამოფენაზე დამეპატიური სამსრეთ საქართველოსკენ კუშტად მზირალი საზოგადოება, ეს იდეა ოცნებად დარჩა... .

\* \* \*

ახალალაქის დედათა მონასტერში მწუხრის ლოცვას საღვთო წერილის განმარტებანი და ტრაპეზი მოჰყვებოდა. აქ ვხვდებოდით ახალციხის ფილიალის ყოფილ თანამშრომელს, სითბოთი და სიკეთით სავსე ლელა ხმალაქეს, ერის მონაზონს, რომელიც სამონასტრო ცხოვრების მიუხედავად, პედაგოგიურ მოღვაწეობას აგრძელებდა სკოლაში. მოძღვარი სტუდენტებთან ერთად ჩვენც გვეპატიურებოდა ვახშამზე. გოგოები მორიგეობით სამზარეულოშიც ეხმარებოდნენ დედებს. მამა ალექსანდრე (მაშინ მორჩილი გახლდათ) ახალი და ძველი აღთქმის საიდუმლოებებსა და ლოცვის ძალაზე გვიყვებოდა. მერე სტუდენტ-პედაგოგიანად მოვუყვებოდით ცენტრალურ ქუჩას და ვრიგდებოდით სახლებში. ბოლოს საერთო საცხოვრებლის ბინადარნი შემოვრჩებოდით და ვაგრძელებდით გზას. მოხუც დარაჯს თავიდან უკვირდა ჩვენი გვიანი ვიზიტები, მერე ისიც შეეჩვია და პატარა ცუგაც, კუდის ქიცინით რომ შემოგვეგებებოდა ხოლმე. ცივ ოთახს მონასტრიდან გამოყოლილ ლოცვა ათბობდა.

მოგვიანებით, როცა სულმნათი ზურაბ უვანია გარდაიცვალა, ტრაპეზი შეწყდა. ჩვენთვის ნათელი გახდა, ვისი მეოხებით აპურებდნენ ჯავახეთის სტუდენტებს დედები. ეს იყო გაუმხელელი ქველმოქმედება, უფლისა და მოყვასის სიყვარულით სავსე.

\* \* \*

ჯავახეთში სკოლიდანვე ათხოვებდნენ გოგოებს სომხები. სწავლა რა ქალის საქმეა, მშობლის ვალს ნაადრევად იხდიდნენ, ამზითვებდნენ და „პატრონს აბარებდნენ“. მაფორიაქებდა ეს ამბავი. სტუდენტი გოგოებიდან რამდენიმემ ასე შეწყვიტა უნივერსიტეტში სიარული, დაოჯახებული აღარ გამოუშვეს სასწავლებელში, არადა მშვენიერ კარიერას ვუწინასწარმეტყველებდი, ისე კარგად სწავლობდნენ. დისკუსიებმა ნაადრევი ქორწინების ავ-

კარგზე, ესეების წერამ ამ თემაზე, არგუმენტებისა და კონტრარ-გუმენტების ჭიდილმა, ქართველი თანატოლების მაგალითმა, მათთან მეგობრობამ შედეგი გამოიღო. წლები დასჭირდა, მაგრამ მერე თვითონ გოგოებივე ამბობდნენ უარს თავიანთი ბედი ერთი ხელის მოსმით ვინმესთვის მიენდოთ, სწავლას ამჯობინებდნენ, ეუფლებოდნენ სპეციალობას, იწყებდნენ სამსახურს (ქართულის-მცოდნე არაქართველი სპეციალისტისათვის საჯარო სამსახურის კარი ღია იყო) და მერე ქორწინდებოდნენ. უნივერსიტეტიდან დაწყებული მეგობრობა ბევრს სიყვარულში გადაეზარდა, დაო-ჯახდნენ, შერეული ოჯახებიც შეიქმნა.

ახლა ახალქალაქისა და ნინოწმინდაში, გორელოვკასა და ახალციხეში არცთუ იშვიათად შეხვდებით ჯავახეთის ფილიალის კურსდამთავრებულ სომებს გოგოებს სკოლაში, გამგეობაში, მერიაში, სასამართლოში, ბანკში... გულს ახარებს მათი წარმატებები.

\* \* \*

ბატონი მერაბის დაპატიმრების ამბავი ამოიტანეს ჯავახეთის ფილიალში. რაღაც აბდაუბდა დღე იყო, დაბნეული ვიყავით ყველა. ახალციხეში თანამშრომელთა და სტუდენტთა მხარდამჭერი აქციები იწყებოდა. ახალქალაქიდან გზებს გადაკეტავენ, რომ არავინ ჩავიდესო. პოლიცია მართლაც აკონტროლებდა გზად მიმავლებს. ვინ შეეპუებოდა? წამოვედით. უნივერსიტეტის ეზოში ტევა არ იყო. ამ საკითხით დაინტერესებულ თბილისიდან ჩამო-სულ პარლამენტარს ხვდებოდნენ სააქტო დარბაზში. ბევრი რამ ითქვა უნივერსიტეტის მისიაზე, ბატონი მერაბის როლზე. ყელში ბურთები მახრჩობდა.

- ვინ მეტყვის, რა მინდა იმ გაუსაძლის სიცივეში, ძვლამდე რომ აღწევს, რა მინდა თითქმის აბულის მთის ძირას, თუ არა ბატონი მერაბის ნდობა, იმ საქმის სიყვარული, რასაც უძღვება, თუ არა ჩემი მშობლების ღრმა რჩმენა, რომ მე ჯავახეთში, ბატონი მერაბის გვერდით, არაფერი დამიშავდება. აგებს ვინმე პასუხს ჩემს უსაფრთხოებაზე? დამისახელეთ ადამიანი, ვინც ამდენ ახალ-გაზრდას ჯავახეთისკენ გაუძღვებოდა და ნატკენ გულებს გაამ-თელებდა, დამისახელეთ და მე გავჩუმდები! დამისახელეთ და მე

დღესვე დავბრუნდები იქ! მაგრამ გაგიჭირდებათ.... ამიტომ სანამ გვიან არ არის, იქნებ ეს ხმა მიაწვდინოთ სათანადო ადგილას, იქნებ გამოაფხიზლოთ, ჩამოვიდნენ და ერთი დღით მაინც დადგნენ ჩვენ გვერდით, ერთი ლამე მაინც გაათიონ ჯავახეთის ცის ქვეშ, ჩვენი გადასახედიდანაც შეხედონ სამყაროს!

მერე იყო „სამართალმა პური ჭამას“ მოლოდინი და ასეც მოხდა. თმაგადალებული (ბოლომდე ალება ალბათ ვერ ჰკადრეს მაინც) რომ დავინახე ბატონი მერაბი დერეფანში, გავშეშდი. ჩვენს დანამულ თვალებს რომ შეხედა, ისევ თვითონ მოგვეფერა ყველას: აბა, ეგეთები არ იყოსო.

\* \* \*

მაშინ უკვე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი ნინო ზუმბაძესთან ერთად, დემირჩიანის სკოლის პირდაპირ კორპუსში, ვახშამს ვამზადებდით და ლამე ვიძინებდით, სხვა ფუნქცია იმ სახლს არ ჰქონია, მთელი დღე უნივერსიტეტსა და ენის სახლში ვსაქმიანობდით: ლექციები, მასწავლებელთა მეცადინეობები, აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები და სხვადასხვა ორგანიზაციაზში ქართული ენის შესასწავლი გაკვეთილები...

დილას გაზის ბალონი ამოვაყირავე, რომ ჩაი მაინც დაგველია, მერე უნივერსიტეტში გადავედით, გოგაშენშიც უნდა წავსულიყავი ნათესავის გასვენებაში, ნინო ენის სახლში დამელოდებოდა და საღამოს ისევ ერთად დავბრუნდებოდით. სადარბაზოშივე ვიგრძენით, თავს რომ აგხდის, ისეთი სუნი, სახლის კარი შევაღეთ და გულისრევის შეგრძებამ კარ-ფანჯარა დაგვაღებინა. ამოტრიალებული ბალონიდან ბლანტი სითხე გადმოღვრილიყო, ეტყობა სიჩქარეში დამავიწყდა ამობრუნება და... უკვე ჩამოღამდა. სად წავსულიყავით, ვის მივდგომოდით კარზე?! გაგუდვის ორივეს გვეშინოდა და აივნის კარი და ფანჯარა ვერ დავხურეთ. ყინავდა. მთელი ლამე იდგა ის საშინელი სუნი და მთელი ლამე ვათიერ საწოლზე საბან-ადეალო შემოხვეულებმა. გვთვლემდა და შიშით ვერ ვიძინებდით, ერთმანეთს ვაფხიზლებდით, თვალები რომ მიგვებლიტებოდა. იმის მერე ნინო გაზის სათოფეზე არ მაკარებდა, ან ყინვაში მომკლავ, ან ამის სუნითო...

\* \* \*

არაქართული სკოლის პირველკლასელთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს ვწერდით, კონცეფცია მოეწონა განათლების სამინისტროს, რამდენიმე საჩვენებელი გაკვეთილიც. მაკა პატარას მოლოდინში იყო, ჯავახეთში ველარ ამოდიოდა, მე და თიკოს მოგვიწია დაწყებული საქმის დამთავრება. კომპიუტერი არ გვქონდა და ენის სახლში ვრჩებოდით გაკვეთილების მერე, რომ დაგვეწერა. შინ მაშინ ვპრუნდებოდით, მთელ ახალქალაქს რომ ეძინა, ხან დიდ თოვლშიც გაგვიკვალავს გზა. რა აზრი ჰქონდა ლამე სიარულს, მაგრამ სკამებზე ხომ ვერ დავიძინებდით და იძულებული ვიყავით სახლამდე მიგველწია. რამდენიმე საათში კიდეც თენდებოდა და მერე უნივერსიტეტისკენ მივემურებოდით. მთელი წიგნის აკრეფა თიკოს მოუწია, მე ბეჭდვა არ ვიცოდი და კორექტურით ესეც შემომესწავლა. მხატვარი ილია ჭრელაშვილი გვეხმარებოდა „მაუგლის ახალი თავგადასავლის“ ილუსტრირებაში. მოგვიანებით კომპიუტერი გვათხოვეს და ნინოც ჩვენთან ერთად ათევდა ლამებს. ბევრი გულშემატკივარი გვყავდა, იყვნენ ამ ამბის ალმაცერად მაცქერალნიც. ჩვენს წიგნს სკოლაში არა, მაგრამ ორგანიზაცია „სიმერას“ (ხელმძღვანელი ლიგიტა გრიგულე) მხარდაჭერით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში იყენებდნენ. ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო ენისადმი მიძღვნილ კონფერენციაზეც ვისაუბრეთ მე და თიკომ ჩვენი პირმშოს „სიკეთეებზე“ (2008 წ.), რასაც სხვებთან ერთად სიამაყით გამოეხმაურა ბატონი ლევან ლვინჯილია.

პარასკევეს სოფელში ჩასულმა დედას ვახარე, წიგნის ბოლო ნაწილიც დავასრულეთ და გადავაგზავნეთ-მეთქი. დედას ყველაზე მეტად სჯეროდა, რომ შრომა დაგვიფასდებოდა. თვეების განმავლობაში გადალლილს და უძილარს რომ შეედავდა, ძალიან განიცდიდა. მეორე დღეს გამთენისას ცა ჩამომექცა - დედა აღარ მყავდა...

\* \* \*

მარტის ერთ საღამოს ბინაში მარტო დარჩენილმა, სიცივისაგან მოკუნტულმა, ნედლ შემას ცეცხლი რომ ვერ მოვუკიდე, ატირებულმა ასმათთან დავრეკე - შენ მაინც როგორ გამიმეტე და

აქეთ გამომიში-მეთქი (ასმათ ევსაია ჯერ ჩემი ლექტორი, რუსულ ენასა და ლიტერატურას მიკითხავდა ახალციხის ფილიალში, შემდეგ ენის სახელმწიფო პალატის ახალციხის სამმართველოში უფროსი იყო). ცრემლების წვიმამ წალეკა აღბათ ცხრა აპრილის ქუჩა ახალციხეში: გათენებას ალარ დაველოდები, მოვდივარო. ახლა აქეთ დამჭირდა მისი დამშვიდება. ვიხსენებდით პირველ კურსზე ჩვენს შეხვედრას: ცვეტაევას, ახმატოვას, პუშკინისა და სხვათა სტრიქონებს; როგორ მოსწონდა ჩემი კალიგრაფია, ლელას არტისტული ავტობიოგრაფია, ნაირასა და მზიას დუეტი, ირინას ენაკვიმატობა და ჩვენი ცაში ფრენა...

იყო ასეთი დღეებიც...

მაგრამ არავინ გაჰქცევია პასუხისმგებლობას.

ჩვენ ერთმანეთის და ჯავახეთის წინაშე უხილავი ფიცით ვიყავით ხელდასმულნი.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯავახეთის უნივერსიტეტმა თქვა თავისი სიტყვა ქვეყნის ისტორიაში და კვლავაც იტყვის. გასახსენებელს კი რა გამოლევს...

# მომზადები

## თამარ ლობუანიძე

ახლციხის №6 საჯ. სკოლის მენტორი მასწავლებელი;  
სპორტის, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო  
გეგმების დანერგვის პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ მეგზური;  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქა-  
ლაქო განათლების ექსპერტი ბილინგვური განათლების მიმართულებით.

## 2021 წლის მაისის საღამო

ბატონი გივი ბუცხრიკიძე მიყვება, როგორ გალამაზდა ახალ-  
ქალაში უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი. მან არ იცოდა,  
რომ 2004-2005 წლებში სამი გოგო ამ საცხოვრებლის მესამე  
სართულის ბინადარი იყო 80 წლის პაპასთან (ის დარაჯობდა  
უნივერსიტეტს) ერთად. ერთ-ერთი მე ვიყავი. არ იცის, რომ ყველა  
ოთახი ვიცოდი და ამ ოთახების სურნელი ერთდროულად ცივიც,  
თბილიც და ლიტერატურით გაჯრებულიც დღემდე მახსოვს.  
მთელი საღამო ვსაუბრობდით და ვიხსენებდით მე და გივი ძა  
უნივერსიტეტის ამბებს. ბევრი ვინმე გავიხსენეთ...

ახალქალაში უნივერსიტეტის არსებობამ და განვითორებამ ისე-  
თი სტარტი აიღო თავის დროზე, რომ შეუქცევად პროცესად იქცა.  
ახლა უკვე ყველაფერი დალაგებული და განცყობილი დახვდება მას,  
ვინც იქ იმუშვებს ან ისწავლის. თავის დროზე კი ურთულესი და  
მძიმე გზის გავლა მოგვინია მე და ჩემს მეგობრებს. პაპა უნივერ-  
სიტეტს დარაჯობდა-მეთქი რომ ვამბობ, უნივერსიტეტი ერქვა,  
თორემ ცარიელი უფანჯრო კედლები იყო. იატაკიც აქ-იქ ვარდე-  
ბოდა. გავლისას, მახსოვს, წონასწორობას ძლივს ვიკავებდით.  
მაღალი ქუსლით გავლა კომიკურიც კი იყო. არადა ასე დაპრან-  
ჭულები დადიოდნენ იქაური თანამშრომელი გოგოები. უნივერსი-  
ტეტი კი ნამდვილად ეთქმოდა იმ ადამიანების ყოველდღიურ  
თავდადებას მერაბ ბერიძის თაოსნობით რომ ყოველ ცისმარე  
დღეს 6 საათსა და 30 წუთზე გადიოდა ახალციხიდან (ახალციხის

ფოსტასთან ვიკრიბებოდით. გზას 4 საათი სჭირდებოდა. ახლა 2 საათში შეგიძლია დაფარონ ის). გადაბმულად 4-5 ლექციასა და გაკვეთილს ატარებდა და საღამოს პრუნდებოდა შინ. დასვენებას ვერ ასწრებდა, რომ მეორე დღეს ისევ უნდა წასულიყო ჯავახეთში. ახლა რომ ვფიქრობ (და ხანხადახნ ვფიქრობ), რა გვაძლებინებდა, გვაძლებინებდა ერთმანეთის პატივისცემა და რაც მთავარია, ალლოთი ყველა ვგრძნობდით ქვეცნობიერად დიდ საქმეს ვემსახურებოდით. დასტური ამისა დღევანდელი ჯავახეთია. ახლა ნებისმიერი პროექტის და საქმის დაწყება უმტკივნეულო იქნება, მით უფრო ენობრივი კუთხით, მაშინ უცხოები ვიყავით როგორც მოძმე ერისთვის, ისე ადგილობრივი ქართველებისთვისაც. გარკვეული შიში ყველას ჰქონდა. ზოგს პროფესიული თვალსაზრისით, ზოგს კი ენობრივი ბაირიერის გამო.

2003 წლამდე უურნალისტურმა საქმიანობამ გამაცნო ჯავახეთი, მინდა ვთქვა, რომ 2004-ში უკვე ჩემს წინამორბედს გზა ჩემთვის გაეიოლებინა კიდეც. სირთულეები მაინც მრავლად იყო. მე კი მოვხდი შემთხვევით. ასე მეგონა. დღეს დარწმუნებული ვარ, რომ შემთხვევითობები არ არსებობს.

## 2004 წლის გაზაფხული

ორი წლის დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურა და დოქტორატურაში ვაბარებ. ერთ დილას ტელეკომპანია „ლომსიაში“ (ეს იყო საოცარი ტელევიზია, რომელმაც სამცხე-ჯავახეთში უურნალისტიკის სკოლა შექმნა და მრავალი სერიოზული, წარმატებული და ცნობილი უურნალისტი გამოზარდა) მითხრეს, რომ სასწრაფოდ უნივერსიტეტში უნდა გადავსულიყავი გამოცდის ჩასაბარებლად. ცხადია, წავედი, თუმცა წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ჯავახეთში უნივერსიტეტისა და ეუთოს ეუუკის თანამშრომლობით ენის კურსებისთვის პედაგოგებს არჩვდნენ. ეს მხოლოდ მას შემდეგ გავიგე, რაც ტესტი ჩვავბარე და გაუცნობიერებლად თანხმობაც მივეცი 5 დღე ჯავახეთში ვიქებოდი კვრის განმავლობაში (ამას მარინე მურჯიკნელი მკარნახობდა, თავს მიქნევდა და მანიშნებდა რომ უნდა დავთანხმებოდი) ასე ირჩეოდა თანამშრომელთა გუნდი საიმისოდ, რომ საქმე ნამდვილად საქმე ყოფილიყო. ასე შევიძინე ჩემი უახლოესი

მეგობრები მაკა და ნათელა (მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე და ნათელა მელიქიძე). ისინი ჩემი უფროსი მეგობრები იყვნენ. ნათელა სინტაქსაც მასწავლიდა. მოკლედ, მათმა ავტორიტეტმა უარი ვერ მათქმვინა, მეც მიმეღო დიდ საქმეში მონაწილეობა. ასე დავუბრუნდი ჩემს პირველ ოცნებას მე-6 კლსში მზევინარ (მუავანაძე, ახალ უკვე კოლეგა, მეგობარი და ისევ მასწავლებელი) მასწავლებლით აღფრთოვანებულს რომ ჩამესახა გულს.

ადამიანის მეხსიერებას ის შემორჩება, რის ყოფნასაც ამქვეყნად რამე ფასი აქვს. რამდენიმე ასეთი ეპიზოდი ჩვენს მეხსიერებას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება.

## 12 იანვარი (ალბათ, 2004 წლის)

ეს დილა დღემდე მახსოვს. გამგზავრების წინ ბატონმა მერაბმა მე და ნათელა აგვიყვანა კაბინეტში და ხმაშეცვლილმა განგვიცხადა, რომ ყოველდღე ველარ ვივლიდით და იქ უნდა დავრჩენილიყავით, რათა მეორე ცვლაშიც შევგძლებოდა გაკვეთილების ჩატარება. მეც და ბატონ მერაბსაც დიდხანს ჩაგვრჩა მისი კაბინეტის ორივე კარის შემაძრნუნებელი ხმა ჩემი გამოსვლისას რომ გაისმა. რას ვიზამდით და, წავედით. საერთოდ, ვრწმუნდები, რომ საქვეყნო საქმეები ხისტი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის წინაშე გაყენებს. ჩვენ მაშინ იქ ვიყავით საჭირო და ასეც იყო. იქ ასულებმა ზემოთნახსენებ კორპუსში „საუკეთესო“ ოთახი მოვაძენეთ და დავბინავდით. ღუმელი ბატონმა ვარაზდატმა მოგვაწოდა (მერე გაზიც ბალონიც მოგვიტანა, შეშითაც გვამარაგებდა). საერთოდ ეს ადამიანი კარგა ხანს მფარველი ანგელოზიც მეგონა. ისიც მახსოვს უნივერსიტეტში ბატონი მერუჟანი სუფრას რომ გაშლიდა, უჩვენოდ რომ არ შეჭამდა. ამ ადმიანებისგან სიყვარულსაც ვვრძნობდით, პატივისცემასაც.

ყოველი დილა ულამაზესი აისით და ყოველი ღამე ულამაზესი დაისით იწყებოდა. მაკა მშობელივით ზრუნავდა და სადილებს არ გვაკლებდა (საკუთარი შვილები კი დედას ელიფნებ ბებიების მზრუნველობის მიუხედავად). ნათელა გვიკრიალებდა ნივთებს. მე კი ვკითხულობდი და ვკითხულობდი ხმამაღლა აკა მორჩილაძის ნაწარმოებებს. გარდა ამისა, ყაყაჩოების მოედანიც ჩვენი იყო და

გვირილებისაც. აქედან ვუგულშემატკივრეთ ძიუდოისტებს, რომ-ლებმაც მართლა დიდი სიხარული მოგვანიჭეს. აქვე გეახლებოდით ქალბატონი სვეტას სამლიტრიანი ქილით მორთმეულ პოვიდლოს, როცა პროდუქტების საყიდლად დაგვეზარებოდა ქალაქში წასვლა. აქვე გვინახულა ვასილ კუზიბაბაშვილმაც და ეს მისი უკანასკნელი ვიზიტი აღმოჩნდა (სამწუხაროდ, იმავე კვირაში გარდაიცვალა).

აქვე გავიგეთ ბატონი მერაბის დაპატიმრებაც. იმასაც ვუც-ქეროდით, როგორი არაერთგვაროვანი იყო მისადმი დამოკიდებულება საზოგადოებაში. ეს გასაკვირი არცაა, მაგრამ სწორედ „საახლობლოსაგან“ განწირულად მეჩქენებოდა მაშინ. იქვე იყო მისი წლის ადამიანად დასახელების ღონისძიებაც, რომელიც ფილარმონიაში გაიმართა და მე პირადად გადავიდე ჩემი კამერით.

აქვე ჩაეყარა საფუძველი მაკას და ნათელას დისერტაციებს. მოგვიანებით, მათი დაცვების სიხარულის თანამოზიარეც და გავხდი.

### იმავე წლის გაზაფხული

ერთ დღეს, პოლიციელებს, რომლებსაც შენობაში დასაწყობებული კარტოფილი უნდა წაელოთ, შეშა დავაჩეხინეთ. ვერაფრით დავაჯერეთ, რომ იქ ვცხოვრობდით (ის ადგილი ღამლამობით მგლებით ივსებოდა). მეორე დილას როინმა (როინ ყავრელიშვილი, ადამიანი, რომელიც ყველასაგან უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა და იმსახურებს. მაშინ კავახეთის ფილიას ის კურირებდა) დამიბარა და მისაყვედურა, რატომ ჩამოვხსენი მე მეორე სართულზე დიდი კარი, რატომ აიტანა ნათელამ მესამეზე, რატომ დაჩეხა მაკამ და რატომ დავწვით. ამ ფაქტს თურმე მოწმეც ჰყოლია. რასაკვირველია, ვიცინე გულიანად და როინიც ვაცინე, როცა ვთხოვე, წარმოედგინა ეს პროცესი და მერე დავპირდი, გამოვიძევდი ამ კარის ამბავს. გაინტერესებთ, რა აღმოჩნდა? დიდი, ტყვიასავით მძიმე კარზე მეორე სართულზე ახლადდაბინევებული მალხაზი (ბათუმელი უპატიოსნესი ბიჭი, რომელიც მაშინ ეკონომიკას კითხულობდა უნივერსიტეტში) ინვა, რომელსაც ყოფილი აბანო აერჩია საცხოვრებლად ფანჯრების სიმცირის გამო (ეგონა, უფრო თბილად იქნებოდა).

## იმავე წლის ზამთარი

ერთ საღამოს მე და მაკა ერთი კარგი გოგოს პანაშვიდზე წავედით ახალქალაქის ცენტრში. უკანა გზაზე შებინდებული იყო უკვე· გადავუხვიეთ თუ არა უნივერსიტეტისკენ, მგლების ხროვა (მაშინ დარწმუნებულები ვიყავით) დავინახეთ პირდაპირ ჭიშკართან. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ მოპირდაპირე მხარეს პოლიციაში მივსულიყავით და დახმარება გვეთხოვა. მივედით კიდეც, თუმცა ამ ამბის კომიკურიბა რომ გავისიგრძეგანეთ, სიცილით შევედით პოლიციის შენობაში, სადაც გაოცებული მორიგე პოლიციელის სახე აგვესვეტა და სხვა გზა არ გვქონდა, უნდა აგვეხსნა უდროო დროს ვიზიტის მიზეზი. ჰოდა, ნაცვლად ამისა, დაგვაპატიმრეთო, ვითხოვეთ. მათ კი მიგვიყვანეს სახლამდე, თუმცა დაგვჭირდა გვეთქვა, როგორი გულისხმიერი პოლიცია ჰყავს ქვეყანას და რომ უნივერსიტეტის გაზრდაში დავწერდით ამის შესახებ. მასხოვეს, როგორ გვთხოვდნენ, ოლონდ ჩვენზე არ დაწროთო და მეტად აღარ ჩაგეძიებით, აյ რატომ ცხოვრობთო. უჰ, როგორ ახლობელი ღმოჩნდა პაპა, რომელმაც კარი გაგვიღო და როგორც შვილიშვილებს დააბინავებდა, იმგვარი მზრუნველობით დაგვაბინავა.

## პროფესიული ზრდა

ჯავახეთში შრომა პროფესიული თვალსაზრისით სერიოზული გამოცდილების მიღების საშუალებაა. გარდა უნივერსიტეტისა, იყო მისიონერობაც. ასე უწოდა ორმა ტელეკომპანიამ მაშინ გადაღებულ სიუჟეტებში ჩემს მასწავლებლობას. მასხოვეს, როგორ გადამიდგა დედა და ამიკრძალა წასვლა, როცა ჩემს სიმაღლე თოვლში მიმავალი მნახა რეპორტაჟში. მე კი მეამბოხე აღმოვჩნდი. ამას მოჰყვა ექიმებისა და მერიის თანამშრომლებთან პედაგოგობის კიდევ ერთი ნაბიჯი. შალვა ტაბატაძისა და მისი ორგანიზაციის თანამშორმლების გვერდში დგომა; არაჩვეულებრივი ტრენერების: კახა გაბუნიას, თამარ ჯაყელის, ნინო შარაშენიძის, მაია ინასარიძის, ქეთი გოჩიტაშვილის, ზურა ბალაშვილის, ჭაბუკი ქირიას პირვენულობა პირველ რიგში და პროფესიონალიზმი იყო საყრდენი ყველა არაქართულენოვანი რეგიონის მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა. ამ ადამიანების მიერ ნასწავლი ყოველი

მეთოდი და მიდგომა დღესაც მადგება უკვე ქართველ მოსწავლეებთან მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში.

მახსოვს სკოლიდან პირდაპირ ექიმებთან და შემდეგ აბიტუ-რიენტებთან დალლილმა მერიის თანამშრომლებს მთელი კანონ-ზომიერება როცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებული ყველა არასწორად ავხსენი. მათაც მხოლოდ იმ ერთხელ წაიკითხეს სახელმძღვანელოში დავალებად მიცემული (ალბათ გაოგნეულები დარჩნენ, რადგან სხვა რამ გაეგონათ სხვა მასწავლებლებისაგან). იცით, რა უნოდეს ამ ფაქტს? მეორე დღეს მხოლოდ მაქებდნენ, როგორ მოვიფიქრე, რომ ვაიძულე, წაეკითხათ გაკვეთილი. გულიანად იცინოდნენ და პედაგოგობის ტრიუმფად მონათლეს. ჩემი გულწრფელი აღიარება კი - თავმდაბლობად.

მოკლედ, ბევრ ტკივილს ბევრი სიხარულიც ახლდა. უამრავი კარგი კოლეგა შევიძინეთ, უამრავი კარგი ადამიანი. გასაოცარია და მოშურნეებიც გვყავდა, ფარულად თუ პურდაპირ რომ გვანადგურებდნენ. ყველასადმი მხოლოდ მადლიერების განცდა დამრჩა, რადგან ახლა ვერ ვიქნებოდი იქ, სადაც ვარ და არ ვიქნებოდი ის, ვინც ვარ.

უნივერსიტეტმაც მრავალი წინააღმდეგობის, სეპარატისტული დაჯგუფებების ძალისხმევის, კარის აჭედვების მიუხედავად, არსებობა გააგრძელა. ეს დაუსრულებელი პროცესია და მეც მეამაყება, რომ ამ პროცესის ერთი მონაწილე ვარ.

# პოზიტივი

## ლევან ალავერდაშვილი

ჩანატირი ერთი ღამისა ანუ მიწისპვება  
გადასასვლელი...

ისევ დაეწვიმა ქალაქს,  
ქარიც შემოაწყდა ავი,  
ვეძებ „უბედურთა ალაგს“,  
იქნებ შევაფარო თავი.  
ყველა სარკმელიდან შუქი  
მჩუქნის გაცივებულ სითბოს,  
გულშიც ნაღველია მუქი,  
იქაც გაეავდროს თითქოს...  
მინას დაენარცხა ჭიქაც  
(მახსოვს ქეიფებიც არღნით),  
და, ჰა, ჩემი ბედის ვიღაც,  
მლოცავს დაუსხმელი არყით.  
თითქოს ოცნებაც კი ახდა,  
ღამე იმნაირად მათრობს,  
ისე ვძედნიერობ ახლა,  
ძალლი რომ იპოვის პატრონს.  
ისეთ სითბოებში მძირავს,  
თითქოს მოებეროს ივლისს,  
ახლა ყველა თქვენგანს ძინავს,  
მე კი ვეფერები თბილისს.

## ფატუმი

სავლად მერგო ხიდი ბეწვის,  
დრო კაეშანს კეცავს,  
თვალზე უფრო გული მეწვის,  
როცა ვუმზერ ზეცას.  
უსაშველო აგონია  
ღალატია ფლირტის,  
ჯერ მოსულიც არ მგონია,  
ის კი, უკვე მიდის...  
და ფატუმო, რას დამმართებ  
ანისაგან კიდევ?!

გენი?! სისხლი?! ნიჭი მმართებს?!  
სამთავ ფერხთით გიდევს.  
მუმლი აწევს მუხის ხეს და  
მზეს უცვლია გვერდი...  
კლდეზე ამირანი კვნესს და  
ჯვარზე ქრისტე ღმერთი.  
ულონიოდ გსურს დამქოლო,  
ტანჯვას უქმნა ლხინი,  
თეთრი ცხენით გააქროლო  
ჩემი ბალდახინი.  
ტრაგედია ხდება ლექსის  
ძუძუსავსე დედა,  
მომავალი როცა კვნესის  
როგორც ანტევერტა\*...  
სავლად მრჩება ხიდი ბეწვის,  
დრო ფრთებს მშვიდად კეცავს,  
თვალზე უფრო გული მეწვის,  
როცა ვუმზერ ზეცას.

---

\* რომაული ლვთაება წარსულის მოგონებისა.

## ასეა როცა (საკუთარ თავს)

„ნიჭით აღმატებულნი უსაქმობით ილუპებიან“  
მიშელ მონტანი

დრომ მწუხრისფერი მოგხვია ხელი,  
სულს დაგფენია სიყვითლე ობის,  
ასეა, როცა ვიღაცას ელი,  
ასეა, როცა არავინ მოდის.  
ნლების გადალმა მაისებს გავდი,  
დღეს ძარღვებს გივსებს მძიმე ქაოსი,  
ასეა, როცა ხარ მწუხრის ლანდი,  
მეფე მუზების სასაფლაოსი.  
ხარ უქარობით ბედი აფრების,  
დაშრეტილ თვალთა უშუქო მზერა,  
ასეა, როცა გჯერა ზღაპრების,  
იცი ტყუვდები და მაინც გჯერა.  
ასეა, როცა შეშლილ ძახილზე  
გპასუხობს ექო ხავსიან ლოდის,  
ასეა, როცა ისიც გახიზნეს  
და არც სიკვდილი არსაით მოდის.

## აღტაცება

(6.-ს)

ღმერთო, რამდენი დარდი თუ იჭვი,  
დაუთვალავი დაფნა-იები,  
ღრმა იდეალი გენი და ნიჭი,  
ღიმილი, ცრემლი, ემოციები...  
სამარადისო ცისკენ გაქცევა,  
აჩრდილთა ლალი გამოკიდება,  
მაგრამ რა არის ეს აღტაცება,  
უსიყვარულოდ რაა დიდება?!

## 6-ს

მიყვარს ბახუსის ხელადა  
მაგ ტუჩებივით ცვრიანი,  
მკერდის ზღვაურად ღელვა და  
ზედ კაბა იისფრიანი.  
გულით ნაღვარი რითმები,  
სიტყვა თაფლიან-რძიანი,  
თითები, შენი თითები  
ბროლ-ბადახშ-მინანქრიანი.  
ბილიკი შენსკენ სავალი,  
მე, მგზავრი დანაგვიანი,  
დალალი, შენი დალალი,  
გაუვალ მაყვალიანი.  
წარბთა მომთვარო რკალები,  
შუბლი ავდრიან-მზიანი,  
თვალები, შენი თვალები  
ზეაწვდილ წამწამიანი...  
და ისევ ღვინის ხელადა,  
მაგ ბაგესავით ცვრიანი,  
მკერდის ზღვაური ღელვა და  
ზედ კაბა იისფრიანი.

## სარკესთან

„ვიცი დამლუბავს მტვერი დაფნისა,  
და მოძალება ისეთი ცრემლის,  
რომელსაც ახლავს სიტკბო თაფლისა,  
თან მომწარობა ისრიმი მტევნის“.

**ლ. ალავერდაშვილი**

როცა სიბილნემ ყველა ლექსი დამიკლა ფერხთან,  
გამკვირვებია, ვით ვიგუებ პოეტის ტიტულს,  
ვდგავარ სარკესთან მე ცოდვილი ( კაცთან თუ ღმერთთან  
და ვაჩერდები დორიანის მანკიერ ფიტულს.  
დუღს ანარეკლი და როგორაც ბნელ ხრამში ზვავი  
ჩემში იხრწნება მოძალება გრაციულ ფერთა,  
ეს მე არა ვარ, მე ასეთად არ მახსოვს თავი.  
და იმ „ვარდებზეც“ ეს კი არა ლევანა წერდა.  
აზრებს მიგველავს ატეხილი ჟინის ძახილი,  
ძარღვჩანულების საფეთქლების ვწებდები როკვას,  
მეგონა, მძლავრი პოეზიის ერქვა სახელი  
გარყვნილ გენიდან გამოწოვილ ზებილნ ეპოქას...  
ჰოდა, თუ იშვა სულგაცლილი ჩემი სხეული,  
ჩქამი ნუგეშიც არ მომიგდოთ, თუნდაც სამადლოდ,  
ღმერთს ვერ შევხედო, გამათრიეთ თვალახვეული,  
რომ ტაძრის კარზე „კახპასავით“ გამასამართლოთ.

## კონიდა

შენი სიცოცხლე არის კორიდა,  
სადაც ჭიდილი და სისხლი გმართებს,  
სად ეთხოვები ყველას შორიდან  
როგორც სამხრეთით გაფრენილ ბატებს.  
დასიცხულ მიწას მგელივით დახრავ,  
მოპარული ხარ ეჭვებით ისე,  
თითქოს სამყაროც გაჩოქებს, მაგრამ  
სიცარიელეს ვერაფრით ივსებ.  
ირიბად უმზერ აყრილ მაგიდას,  
ვით მატიანეს მძიმე წლებისა,  
კითხულობ „მერის“ და მხრებთან გიდგას  
„ბედი, რომელიც შენ არ გელირსა“.  
თითქოს წარსული ნოტები ქარის  
აგიცახცახებს უფერულ თითებს  
და აგატირებს, რაც აღარ არის,  
დრო, შურდულით რომ დასდევდი ჩიტებს.  
სიოც დაგლუნავს ნაშტორმალ აფრას,  
საფეთქლებს ცივი გაუონავს სისხლი,  
დღე ხვალინდელი გპირდება დაფნას,  
მაგრამ იმ დაფნას რა თავში იხლი,  
როცა სიცოცხლე შენი – კორიდა,  
შემოგახსენებს, რომ სისხლი გმართებს  
და ეთხოვები ყველას შორიდან,  
როგორც სამხრეთით მინაფრენ ბატებს.

\* \* \*

მითხარ, რად ბორგავ გულო ამჯერად,  
ვინ გაგიწონა ცოდვის ბოძალი,  
ისევ ფეთქავ და მაინც არ გჯერა,  
რომ ისევ იბრძვი და ხარ ცოცხალი.  
ნეტავ შენ, თვალო, რალას ამჯერად  
ამაო ცრემლი რაღატომ ღვარე,  
ზეცას უმზერ და მაინც არ გჯერა,  
რომ მზე მზეა და მთვარე კი – მთვარე.  
იქნებ შენც მყვედრი სისხლო ამჯერად,  
თუ მგოსნის ძარღვებს თბილად ეგები,  
დედას გაფიცებ, შენ კი არ გჯერა,  
რომ სადიდგოროდ მეიმედები.  
შენ რასდა იტყვი, ლევან, ამჯერად?!  
მონავ ზეცის და მინის მშვენების...  
გმადლობთ, გმადლობთ! რომ თქვენით არ მჯერა  
ქართლის დაჩიქებ-გადაშენების.

## გაზაფხული

შენი სუნთქვით რა ახლოა ზეცა,  
შენი სუნთქვით ავდარს შეცვლის დარი,  
შენი სითბო მკერდზე გადამექცა  
და მოვითქვი სული ყინვით მკვდარი,  
მაგრამ რად ხარ ძნელად საძეპნელი?!  
ტკბილო დარდო, ნექტრად დანაგუბო,  
უშენობით მელოდება ბნელი,  
მესაფლავე, საფლავი და კუბო...  
გაზაფხულით მოეფერე ატმებს,  
შენი სუნთქვით ავდრებს შეცვლის დარი...  
არ სთქვა – ვცნობო – თუ მიპოვეს სადმე  
შენს ქუჩაზე უშენობით მთვრალი.

## სათვალე

გუშინ ლურჯ ძარღვებს სითბო უვლიდა,  
დღეს კი დავეძებ მხოლოდ ნაკვალევს...  
და შთაგონებით გახსნილ შუბლიდან  
„ბრძა თვალებისკენ“ ვუშვებ სათვალეს,  
რომ მოგიწერო, შენს ძვირფას ბალში,  
რა მხვევდა თავბრუს მოტკბო-მომნარეს,  
რომ მარადიულ ტკივილად დამრჩი,  
აი აქ, მკერდში, მარცხენა მხარეს,  
რომ მე სათვალე გზებს მისანთელებს,  
ლამობს თვალების მოვლას, თუ დაცვას  
და უფრო მისთვის მიყვარს სათვალე,  
რომ თვალში ვერვინ შემაყრის ნაცარს...  
და როს პოეტის დავტოვ საბუდარს,  
მარტის თოვებად გადავითოვებ,  
მაშინ სათვალეს, როგორც საკუთარ  
თვალების თვალებს აქ დაგიტოვებ...  
და ბოლოს, როცა ლამის რტოები  
ჟამს სასიკვდილოდ გამისამართლებს,  
მაშინ შენ მოხვალ განმარტოებით  
და ყველაფრისმთქმელს მომხსნი სათვალეს.

# ინტერვიუ

## საცრანგეთის ხელოვნების ასოციაცია „დეისი“



ჩვენი სტუმარია ზურაბ ცუცქირიძე, საფრანგეთში, ხელოვნების ასოციაცია „დეისის“ დამფუძნებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი, პირველი კატეგორიის მსახიობ-მოცეკვავე, უმიგრაციაში ქველმოქმედებისა და ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილიათვის დაჯილდოვდა პერსონა 2018-ის ტიტულით; ასევე, „დიასპორის წარმომადგენლითა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება 2019-ში“ იგი დაჯილდოვდა ნომინაციაში, როგორც ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილიათვის. მნიშვნელოვანია, რომ რეპეტიციები იწყება საქართველოს ჰიმნით და მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

- მოგესალმებით, პატონო ზურაბ. ალფროვანებული ვარ თქვენი მოღვაწეობით საფრანგეთში. მინდა, რომ ჩვენმა მკითხველ-მაც გაგიცნოთ. გვიამბეტ თქვენს შესახებ.

- სასიამოვნოა თქვენი გამოხმაურება, რაზედაც ძალიან დიდ მაღლობას მოგახსენებთ. მე გახლავართ ზურაბ ცუცქირიძე, 40 წლის. მთელი ჩემი ცხოვრება სცენაზე გავატარე. 5 წლის ვიყავი, რომ დავიწყე ცეკვა სტუდია „მართვეში“ და დავასრულე სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავეში“ უმაღლესი კატეგორიის მოცეკვავედ. 16 წლის ასაკიდან დავიწყე ბავშვებთან მუშაობა და ძალიან მიყვარს ჩემი საქმე.

- დიდი ხანია, რაც ემიგრაციის ტალღამ თქვენც მოგწყვიტათ სამშობლოს?

- 2013 წლიდან ვიმყოფები ემიგრაციაში, საფრანგეთში ჩემს ოჯახთან ერთად. 2018 წელს დავაარსე ხელოვნების ასოციაცია „დეისი“, რომელიც ამჟამად მოიცავს შემდეგ ქალაქებს: პარიზს, სტრასბურგი, ნიცა, რენი, ლე ჰავრი, მარსელი და შვეიცარიის ქ. ჟენევას. მეამაყება, რომ შვიდ ქალაქს ვუმკლავდები მარტო.

- ამდენ ლოკაციას ნამდვილად არ ველოდი. ბევრი ბავშვი სწავლობს თქვენთან ქართულ ხალხურ ცეკვას?

- 100-ზე მეტი ბავშვი სწავლობს ჩემთან და არა მარტო ქართველები, ასევე მრავლად არის სხვადასხვა ეროვნების ბავშვიც. მინდა, რომ ამ ბავშვებს მივცეთ ყველამ ერთად მოტივაცია. ვფიქრობ, სახელმწიფოს მიერ ძალიან გარიყელები არიან და ვცდილობ მათ პოპულარიზაციას.

- ძირითადად რომელ ქალაქში ხართ? სტუდიის თანამშრომლები თუ გყავთ, ვინც გეხმარებათ საქმეში.

- მე პარიზში ვცხოვრობ. მხოლოდ ჩემი ოჯახი მეხმარება, რომელიც სულ გვერდში მიდგას და მამხნევებს. თვეში 28000 კმ. დავდივარ მატარებლით, ამას დამატებული რეპეტიციები. მოკლედ, ოჯახის გვერდში დგომა ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია, რისთვისაც მათ ყოველდღიურად დიდ მადლობას ვეუბნები. რაც შეეხება ცეკვას, მხოლოდ მე ვარ მასწავლებლად.

- ოჯახში ვის მოიაზრებთ, ვინ გყავთ?

- ჩემს მეუღლეს ნინო გეთიაშვილს და ჩემს სამ ქალიშვილს

- ქეთის, დოდოს და სულ პატარა კატოს, რომელიც დაიბადა საფრანგეთში.

- ძალიან სასიამოვნოა. იხარეთ და იმრავლეთ. თქვენი ანსამბლის წარმატებებზე გვიამბეთ.

- ჩემმა ანსამბლმა ძალიან მალე გაითქვა სახელი მთელ საფრანგეთში. ძალიან ბევრ კონცერტში ვლებულობთ მონაწილეობას. ასევე, ვაწყობთ საქველმოქმედო ღონისძიებებს, დახმარებას ვუწევთ როგორც საფრანგეთში ბავშვთა სახლებს, ასევე საქართველოში ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვებს. დიდი ხანია ამ კეთილშობილურ საქმეს ვეწევით. ქ ნიცას და ქ. სტრასბურგის საავადმყოფოებთან გვაქს შეთანხმება საქართველოს ყველა მოქალაქეს, ღმერთმა არავის დააჭირვოს, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, უფასო თარჯიმნობას ვუწევთ სხვადასხვა ენაზე.

მინდა გითხრათ, რომ ძალიან შევაყვარეთ აქაურებს ქართული ცეკვა. გარდა ამისა, ძალიან დიდი მოთხოვნაა ფრანგებისგან, შეისწავლონ ქართული ცეკვის ილეთები. მე მათ პერიოდულად ვუტარებ მასტერკლასებს. ყოველდღიურად ვიღებ თხოვნებს

სხვადასხვა ქალაქებიდან, რომ იქნება იქაც ჩავიდე და გავხსნა ცეკვის სტუდია, მაგრამ ძალიან დატვირთული გრაფიკის გამო, სამწუხაროდ, უარის თქმა მიწევს.



შეძლებისდაგვარად ბევრს ვშრომობ, აქ ყველანი სწავლაზე არიან ძირითადად ორიენტირებულები და ვფიქრობ, მაინც ძალიან ბევრი შევძელით, რომ პოპულარიზაცია მოგვეხდინა ქართული კულტურის.

ძალიან ბედნიერი ვარ რომ აქ, ამხელა საფრანგეთში მოვახერხე და პატარა საქართველო შევქმენი, გავაერთიანე უამრავი ქართველი. წელიწადში ერთხელ ვაწყობთ სოლო კონცერტებს, სადაც მონაწილეობას ღებულობს შვიდივე ქალაქი ერთად, ალბათ წარმოიდგენთ რამხელა სითბო და სიყვარული ტრიალებს იმ დღეს. მართლაც რომ პატარა საქართველოა.

- როგორ შეხვდა თქვენი ანსამბლები ახალ 2020 წელს. რა აქტივობები გქონდათ?

- ჩვენ ძალიან წარმატებული წელი გვქონდა. გარდა იმისა, რომ რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტში მივიღეთ მონაწილეობა, ასევე გავმართეთ ჩვენი პირველი სოლო კონცერტი ქ. ნი-

ცაში, სადაც შევერიბე ჩემი სტუდიის მოცეკვავეები ყველა ქალა-ქიდან 110-მა მოცეკვავემ მიიღო მონაწილეობა ამ ღონისძიებაში და აპლოდისმენტებიც დავიმსახურეთ ფრანგი მაყურებლისგან.

- რა მიზნები გაქვთ წელს. რამე ხომ არ შეიცვალა თქვენს გეგმებსა და რეპერტუარში.

- წელს უკვე გავაფართოვე სტუდიის არეალი და დიდი მოთხოვნის შესაბამისად ორი სტუდია გავხსენი შვეიცარიაში ქ. უნივერსიტეტისა და ქ. ლოზანაში, სადაც უნიჭიერესი ახალგაზრდები მყავს და ვცდილობ ძალიან მაღლე შევასწავლო ქართული ცეკვა.

- როგორია ემიგრანტი ბავშვების ქართული ენა?

- ბავშვების უმეტესობა აქ არიან დაბადებულები, საერთოდ არ უნახავთ საქართველო. შესაბამისად, ვერც გამართულად ვერ ლაპარაკობენ ქართულად. ჩემი რეპეტიციის დროს ყველამ იცის, რომ მხოლოდ ქართულად უნდა ილაპარაკოს. ამით ვცდილობ ქართული ენაც ისწავლონ.



- რა ფინანსური საყრდენი გაქვთ, თუ გეხმარებათ ვინმე ან რომელიმე ორგანიზაცია (ან ქართული სათვისტომო) თქვენი წარმატებული სამუშაოსთვის?

- რაც შეეხება დახმარებას, არანაირ დახმარებას არ ვითხოვ არავისგან. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი და დიდი წინაღობები მხვდება. ეს შეეხება ჩემს ტრანსპორტირებას თუ დარბაზის ქირაობას, წარმოიდგინეთ თვეში მხოლოდ მატარებლით 28 000 კმ. დავდივარ, ასე რომ, ვინმეს თუ რაიმე დახმარების სურვილი აქვს, შეუძლია დამეხმაროს არა მე, არამედ ამ უსაყვარლეს და უნიჭიერეს ემიგრანტ ბავშვებს, მე სიამოვნებისგან ვიღლები, რადგანაც ეს არის ჩემი საქმე, 25 წელი ვიდექი სცენაზე და მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ჩემი ცოდნა გადავცე ბავშვებს, გავალვიძო და გავალვივო მათში ქართული სული, აი, ეს არის ჩემი ძირითადი მიზანი.

ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიულ ანსამბლ "დეისს" საფრანგეთშიც და შვეიცარიაშიც ძალიან კარგად იცნობენ, ერთ-ერთი დიდი ასოციაციაა, რომელშიც უამრავი ბავშვია განევრიანებული, სტუდიაში ირიცხებიან როგორც ქართველები ასევე აზერბაიჯანელები, დალესტნელები, რუსები, ფრანგები და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს არაბებიც, აი ესეთი მაგრები ვართ ჩვენ დეისელები.

- იქნებ გვითხრათ დაინტერესებული პირებისთვის, რა დოკუმენტაციაა საჭირო ანსამბლში მისალებად?

- რაც შეეხება დოკუმენტაციას, მხოლოდ ასოციაციის ბლანკის შევსებაა საჭირო პირადი მონაცემებით, ეს არის და ეს.

- რომელ ასოციაციას გულუსხმობთ?  
- ეს არის ასოციაცია: Art society of Deisi. deisi-danse-georgienne.fr - ეს არის ჩვენი გვერდი. ესეც ჩემი დაარსებულია  
- თქვენი სამომავლო გეგმები. რა ოცნება გაქვთ?  
- სამომავლოდ ძალიან დიდი სურვილი მაქვს პარიზში გავაკეთო ქართული ხელოვნების სკოლა, სადაც ვფიქრობ გავაერთიანებ ყველა ქართველ ემიგრანტს, სადაც შესაძლებელი იქნება,

შეისწავლონ ქართული ცეკვა, სიმღერა, დასაკრავი ინსტრუმენტები და ასე შემდეგ. ვნახოთ, რამდენად შევძლებ ამის განხორციელებას, მაგრამ ჩემი ოცნება ეს არის.

- **რას უსურვებდით ქართველ ერს საქართველოში?**

- ჩემს ქართველ ერს საქართველოში ვუსურვებ ჯანმრთელობას, პირველ რიგში, ქვეყნის გამთლიანებას და ურთიერთსიყვარულს. მე ამაყი ვარ, რომ აქ ამხელა საფრანგეთში პატარა საქართველო შევქმნი.

p.s. ეპიდვითარებამ ჩვეული ცხოვრების რიტმი შეგვიცვალა ყველა ჩვენგანს. მსოფლიო შეიცვალა, ღირებულებები შეიცვალა... ეს სტატია ამ ვითარებამდე მომზადდა.

**ინტერვიუერი მაია ქუქჩიშვილი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგის დოქტორი**



## ანა კორშია

### „გულანი“ და „არავი“ – განვითარების გზა

რა დანიშნულება აქვს მეცნიერებას თუ ის მომავალ თაობებს არ გადაეცა?! ალბათ ყველა დამეთანხმება - არანაირი. სწორედ ამ სტატიაში პროფესორ მერაბ ბერიძესთან ვსაუბრობთ ორ შესანიშნავ გამოცემაზე, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ხანია გამოდის და საშუალებას აძლევს ადამიანებს, საკუთარი სამეცნიერო და სალიტერატურო ნამუშევრები ფართო საზოგადოებას წარუდგინონ.

„გულანი“, თვითონ სახელწოდება - „სულხან-საბასეული განმარტება - „გულთ სანდომად შეკრებილი წიგნი“ - სრულიად საკმარისი იყო, რომ გაგვემართლებინა ჩვენი არჩევანი“ (მერაბ ბერიძე გულანი. № 20.2016 წ. გვ.10). სხვათა შორის ერთ-ერთ ნომერში „გულანი“ ძალიან საინტერესოდ არის განმარტებული, პროფესორმა ნესტან სულავამ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი და წარმოადგინა შემდეგი აზრი: „გულანი“ - საქართველოს ეკლესიის წიაღში შემუშავებულმა საღვთისმეტყველო-ლიტურგიკული ხასიათის კრებულის „გულანის“ სემანტიკური არსი და რაობა განმარტა სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში: „საგალობელი სრული და გულის სანდომლად შეკრებილი წიგნი“ — B; ორ ხელნაწერში შემდეგი ვარიანტული სხვაობაა: „გულის ნების წიგნი შეკრებილი“ — CD (სულხან-საბა ორბელიანი 1966: 173). ესაა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე აღქმა ტერმინისა „გულანი“. გრამატიკული კატეგორიის მიხედვით „გულანი“ არის ნარიანი მრავლობითის ფორმა სიტყვისა „გული“ (ნესტან სულავა გულანი. № 3(7)2009 წ. გვ. 80). სხვათაშორის გულანები თავისი სიდიდით ქართული წიგნის ისტორიაში ყველაზე დიდი წიგნები იყო, გულანი რომ გადაშალო და წარიკითხო ფეხზე უნდა იდგე.

სამეცნიერო სემინარი „გულანის“ სახელწოდებით არსებობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეოცე საუკუნის 70-იან წლებში და მე მისი აქტიური წევრი ვიყავი. „გულანს“ მაშინ ხელმძღვანელობდა ან გარდაცვლილი პროფესორმა ბესიკ ჯორბენაძე,

შემდეგ ბესიკი გადავიდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში და „გულანიც“ გადაიტანა თან წაიღო და იქ გრძელდებოდა. მე როგორც მახსოვს, „გულანი“ ბესიკის გარდაცვალების შემდეგ როგორც სამეცნიერო სემინარი, სამეცნიერო სესია, აღარ იყო, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ეს იდეა გაგვეგრძელებინა ახალციხეში.“

„2005 წელს, როგორც მოგეხსენებათ, მე წავედი ფილიალის დირექტორობიდან და 2007 წელის მარტში ჯერ კიდევ პროფესორ შოთა ზაზაშვილის დირექტორობის დროს შეიქმნა „გულანი“, როგორც სამეცნიერო სემინარი. 2008 წელს პროფესორ თინა გელაშვილის რექტორობის პერიოდში, როდესაც სემინარებმა მასშტაბური სახე მიიღო ჩამოვაყალიბეთ

სარედაქციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

მერაბ ბერიძე (თავმჯდომარე)

თინა იველაშვილი

ვალერი სილოგავა (თავმჯდომარეს მოადგილე)

ტარიელ სიხარულიძე

ნესტან სულავა

მარიკა ბაბლუანი (მდივანი)

სარედაქციო საბჭოს ერთ-ერთი ყველზე აქტიური წევრი იყო ვალერი სილოგავა, რომელიც თუ კი რამე მეცნიერებას შეეხებოდა, მოგეხსენებათ, ვალერიც იქ იყო. „იყო ერთი „შეთქმული“ შეთანხმებაც, როდესაც მე, ვალერი სილოგავამ და ნესტან სულავამ გადავწყვიტეთ, ყოველ წომერში დაგვებეჭდა სტატია. ვალერიმ სიკვდილამდე შეასრულა სიტყვა, „შეთქმულებას“ აგრძელებს ნესტანიც, მე კი ბოლოს (№19) ვულალატე მათ. ამით იმის თქმა მინდა, რომ გულანში მოღვაწეობა ჩვენი უნივერსიტეტის გარკვეული ნაწილის ცხოვრებისეულ პრინციპად იქცა“ (მერაბ ბერიძე გულანი 20, 2016. გვ. 9.).“

„გულანის“ პრინციპი ასეთი იყო და რჩება დღევანდლამდე, რომ „სამეცნიერო გულანის“ შეხვედრაზე ანუ სხდომაზე წაკითხული მოხსენებები შემდეგ გადამუშავდება ავტორის მიერვე, მოხსენების წაკითხვის შემდეგ დაისმება კითხვები, რომლებსაც პასუხობს ავტორი იმართება დისკუსია და ეს დისკუსია, ბუნებრივია, მომცემია გარკვეული შედეგების, რომლებიც სამეცნიერო იდეებზე და კვლევებზე ახდენს გავლენას, შემდეგ ავტორი,

ჩამოაყალიბებს საბოლოო სახეს მოხსენებისას და ის იქნება „გულანში“ როგორც გამოცემაში. ესე იგი წმინდა სამეცნიერო სახის გამოცემა იყო „გულანი“ და არის.

„გულანი“ - სამეცნიერო გამოცემა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების ნაშრომების გამოცემას მოიცავდა, საკმაოდ სწრაფად განვითარებადი აღმოჩნდა და მისით უნივერსიტეტში არსებული ბევრი მიმართულების მეცნიერი დაინტერესდა.

„თავდაპირველად მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ძირითადად ფილოლოგები, ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები და არამარტო ისინი მაგალითად მემახსოვს ერთ-ერთი შეხვედრის დროს კომპიუტერულ პრობლემებზე იყო მოხსენება. ასევე ჩვენი „გულანის“ სხდომებზე მონაწილეობა მიუღიათ უცხოელებს. თურქ სტუმრებს რომელთაც გაფართოებული სხდომა მიყუდვენით. პრობლემა რომელზეც ისინი მუშაობდნენ, გარკვეულ წილად ახლოს იყო ჩვენს სინამდვილესთან, ამიტომ საინტერესო იყო მათი ეს გამოსვლა.“

2015 წლიდან უურნალი სრულიად ახალ ეტაპზე გადადის. ამ დროისთვის პროფესორ მერაბ ბერიძის რედაქტორობით გულანის 20 წლის და 340 სტატია იყო გამოქვეყნებული, გადაწყდა მისთვის ახალი დანიშნულება მიენიჭებინათ და გამოცემა მსოფლიოში არსებული სამეცნიერო სტატიებისათვის განკუთვნილი კრიტერიუმებით გაგრძელებულიყო, ყველა ახალი სტატია სწორედ რომ ამ კრიტერიუმების მიხედვით გამოსულიყო დღის შუქზე. იმის გამო, რომ შეფასების კრიტერიუმები და წერის ახალი სტილი ინგლისურ ენოვანი გამოცემებიდან უნდა ყოფილიყო მოძიებული ბატონი მერაბი ასპარეზს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს უთმობს: „რადგან მოძიებული მასალა ძირითადად ინგლისურ ენაზე უნდა ყოფილიყო, შეიძლება მე ეს ვერ გამეცეთებინა როგორც საჭირო იყო, ამიტომ ვთხოვე იმ დროს რედაქტორის მოადგილეს მაკა ბერიძეს, რომ მას გაეგრძელებინა საქმიანობა და ავირჩიეთ რედაქტორად. მან უკვე ახალი კრიტერიუმებით გადაიბარა საქმე. სიახლეები საჭიროა, მოდის ახალი თაობა, ახალი იდეები, როდესაც ადამიანი თავად ვერ აუღებ ალლოს ყველაფერს, ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ ყველაფერს გაუძლო, მაგრამ ვერ უძლებ,“

ამიტომ იდეა კი არ უნდა ჩაკლა, პირიქით, ვისაც შეუძლია, იმას უნდა მისცე საშუალება, რომ გააგრძელოს.

ძალიან აქტიური წევრია გულანისა პროფესორი ნესტან სულავა, რომელიც დამრტყმელ ფუნქციას ასრულებს სარედაქციო საქმეში. ბევრი ავტორი გვყავს ამ ხნის მანძილზე „გულანში“, მე როგორც მახსოვს მეოცე ნომერში გამოქვეყნებულია ყველა ის ავტორი და მათი შრომები, რომელიც დაბეჭდილია „გულანში“. „გულანის“ დიზაინი შექმნა გიორგი ბაგრატიონმა. ის ცნობილი დიზაინერი და სერიოზული მოღვაწე გახლავთ, დიზაინი იმდენად დროის შესაბამისადაა შექმნილი, რომ დღესაც კი არ კარგავს სახეს.

სტილი, რომელიც იყო მანამდე გულაში გამოყენებული, ძალიან დაგვენანა, ძალიან ჩვეულებრივი სტილი, აი, ავდექი და წერილი დავწერე, ზოგი მეცნიერული ხასიათსა არის, ზოგი - ნახევრად მეცნიერული და ვთქვით მაშინ - რა ვქნათ ახლა?! მორჩა ამით ყველაფერი საქართველოში?! არა და 90% ჯერ კიდევ ძეველ სტილზე წერს და გამოდის ყველაფერი, ამიტომ მე პირადად გადავწყვიტე, რომ გამოსულიყო ახალი გამოცემა, რომელიც 2016 წლიდან დავიწყეთ და ეს იყო „არავი“..,

„არავი - ლიტერატურული, სამეცნიერო- პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი“ - ტრადიციული სახით დაწერილი სტატიები, რომელშიც თითოეული ავტორი თავისი სულის ნაწილს დებს ისევე, როგორც „გულანმა“ „არავის“ განვითარებამაც არ დააყოვნა, მან განვითარება სხვადასხვა მიმართულებებით ჰპოვა და აგრძელებს კვლავაც. მრავალმხრივი ჟანრებით დატვირთული „არავი“ მკითხველს სთავაზობს: პოეზიას, პროზას, სხვა და სხვა საინტერესო ადამიანებთან ინტერვიუებს, მოგონებებს, წერილებს, სამეცნიერო სტატოებს „ძველებური სტილით“, სიახლეებს და ა.შ.

„ჩვენ წავედით სამეცნიერო-პოპულარული ხაზით, როდესაც რაღაცას მეცნიერულად აკეთებ, ის გინდა ხანდახან ცოტა „ადამიანურადაც“ დაწერო, რომ ყველასთვის გასაგები იყოს. რასაც არ ექნება აბსტრაქტი, შესავალი, საკონტაქტო სიტყვები, დასკვნა. არა ბატონი! როგორც წერდა მამა-პაპა, ისე გავაგრძელოთ და ასე გავაგრძელეთ „არავში“. 27-ე ნომერო გამოდის ახლა, ჩემთვისაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მისი გამოცემა. მოღვაწეობა

და საქმიანობა იმიტომ, რომ „არავით“ ჩვენ გავცდით უკვე უნივერსიტეტს. რუტინული საქმიანობის მიღმა გაჩნდა რაღაც სივრცე, რომლითაც შეიძლება მთელი საქართველო აღმოჩნდეს შენთან. ჩამოყალიბდა იდეა, რომ შეგვექმნა გარკვეული ბაზა ცნობილი პიროვნებების და აი, ამ ცნობილ პიროვნებებთან შეგვექმნა მაღალი დონის ინტერვიუ. მე და ქალბატონი მაკა ძალიან ხშირად ვთანამშრომლობთ ამ კუთხით, რამდენიმე ერთობლივი წიგნი გვაქვს ჩაფიქრებული, ბევრი ერთობლივი სტატია გვაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი იყო, იცით რა?! ქალბატონი მაკას მონდომება და ის სივრცე, რომელიც მისთვის გარკვეული სიახლე კი იყო, იცნობდა ის პროდუქციით, მაგალითად: რევაზ მიშველაძეს ძალიან კარგად იცნობდა მისი წიგნებით, მაგრამ მე ვმეგობრობდი რეზოსთან, ამიტომ, როდესაც ვთხოვე რევაზ მიშველძეს, რომ უურნალის რედაქტორი ვარ, მოვა თქვენთან ქალბატონი მაკა და თუ შეიძლება ინტერვიუზე დაგვთანხმდით მეთქი.- რეზო დაგვთანხმდა დიდი სიამოვნებით და გამოვიდა ბრწყინვალე ინტერვიუ. პირველი ინტერვიუ, როგორც მახსოვს გაკეთდა ქალბატონ თინათინ მლევდლიაშვილთან და ამ ინტერვიუზე მუშაობა სამი-ოთხი თვე გრძელდებოდა რადგან მლევდლიაშვილი ყოველ წინადადებას, ყოველ სასვენ ნიშანს ხელახლა კითხულობდა. ის საკუთარ თავთან ძალიან მომთხოვნი შემოქმედია, შესანიშნავი პოეტია, დიდი პოეტია. მასთან საუბრებიდან მე ვიცი, რომ ის თითოეულ ლექსზე მუშაობს ბევრს, ის მუშაობს სიტყვაზე, სტილზე და მერე როცა დღის სინათლეს მისცემს, არის შესანიშნავი პოეზია და ეს ყველაფერი უნდა ეჩვენებინა ინტერვიუერს. არის ინტერვიუ აგრეთვე გურამ პეტრიაშვილთან, რომელიც ძალიან საინტერესო პიროვნებაა, ზვიად გამსახურდიას დროს სერიოზული თანამდებობის პატრონი და უსაზღვროდ განათლებული ადამიანი, რომელთან დიალოგიც არ არის ადვილი, ინტერვიუ არ არის მარტივი, შემიძლია ვთქვა, ქალბატონი მაკას სასახელოდ, რომ მან არ დაუდო ტოლი რესპონდენტებს არაფერში, იმიტომ, რომ სწავლობდა ის თითოეულ ავტორს, თითოეულ ადამიანს, ვისთანაც მიდიოდა და დაიდო ისეთი ინტერვიუები, რომლებიც არის საშვილიშვილო და ნების-მიერ ეპოქას გამოადგება მე ამას თამამად ვაცხადებ! მახსენდება ინტერვიუ ირაკლი ვაშაყმაძესთან ,რომელიც 1989 წლის 9 აპრილს

ბოლომდე იბრძოდა და მოიწამლა ისე, რომ დღესაც კი ებრძვის ავადმყოფობებს, შესანიშნავი პოეტი, შემოქმედია. ახლახან გარდაცვლილ რამაზ ჟატრიძესთან ინტერვიუში ქართულ ასომთავრულთან დაკავშირებით ბევრი რამე იყო ძალიან საინტერესო და ამან კიდე სხვა შედეგი გამოიღო, „არავში“ დაბეჭდილი გამოიცა წიგნად - „თანამედროვენი !“. ხედავთ რამხელა სპექტრია?! ქართული ასომთავრული, თეატრი, კინო. ამას გარდა იყო ინტერვიუ ახალციხეში მოღვაწე ომარ ჯაყელთან ახალციხელობასთან დაკავშირებით და ეს საკმაოდ დიდი თემაა. მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი საკმაოდ საინტერესო გამოგვივიდა და აი, ეს იყო მხოლოდ ერთი მიმართულება. ძალიან საინტერესო გახლავთ „არავში“ ემიგრანტული ლიტერატურა. ბევრი ემიგრანტი ავტორი წამოვწიეთ წინ: პოეტები, მწერლები, ემიგრანტების მოგონებები და უამრავი საინტერესო რამ. შედგა დებიუტები მაგალითად: ივდო ოტობარი ახალგაზრდა პოეტი ზუგდიდიდან - ბრწყინვალე პოეზია აქვს, სულ ბოლოს ნინო ბერიძე დავბეჭდეთ ჩვენი სტუდენტი. ერთი პრინციპი არის „არავში“, რომ უნდა დაიბეჭდოს პირველად გამოქვეყნებული ლიტერატურა. ასე დაიბეჭდა რევაზ მიშველაძის ორი ნოველა ვთხოვე გამოეგზავნა თავისი ხელნაწერები, ასე რომ, მისი ორი ხელნაწერი გვაქვს რაც ძალიან მახარებს, იმიტომ, რომ ძალიან დიდი მწერალია რევაზ მიშველაძე, მან თავისი 25 ტომი დადონ და ამის შემდეგ კიდევ ბევრი რამ დაწერა.“

„გავუდეთ კარი ჩვენს კურსდამთავრებულებს რომლებიც სკოლაში ასწავლიან და არა მარტო მათ, მათი ცხოვრების და საქმიანობის შესახებ ვბეჭდავთ ხოლმე, ძალიან საინტერესო რუბრიკებია.“ ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე გამოცემის სარედაქტორო საბჭოები ენთუზიაზმზე მუშაობს, არავინ ამაში ფულს არ იღებს.“

სწორედ ესაა ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო კულტურული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი. თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ ეს გამოცემები არის სახე იმ შრომის, რასაც აქ მომუშავე ადამიანები, სტუდენტები და დაინტერესებული პირები აკეთებენ თავიანთი შემოქმედებით. ეს არის ცხოვრების გზა, რომელსაც ეს ადამიანები ქმნიან, „სამყარო“, რომელიც თავის სიტყვას ამბობს.

## **ლიანა მჭედლიშვილი**

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

### **„მკითხველთა კლუბი“ მოსწავლეთა ცნობირების ასაგაღლებლად**

განათლების სამინისტროს შემოთავაზებულ პროექტში - „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა“, ჩვენი სკოლაც ჩაერთო. შევქმნით „მკითხველთა კლუბი“, რომელშიც გაერთიანდნენ VII-VIII- IX კლასის მოსწავლეები და წიგნიერების მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა. მიზანი იყო: მოსწავლეებისთვის შეგვეყვარებინა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა, რომ ემსჯელათ ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი ავტორების ნაწარმოებებზე; მიეღოთ თეორიული ცოდნა; გაეუმჯობესებინათ თხრობისა და წერითი უნარები.

პირველ მეცადინეობაზე მოსწავლეებმა წასაკითხი ნაწარმოებებიდან შეარჩიეს ათი მოთხრობა; გამოთქვეს სურვილი, ემუშავათ ჯგუფებში, ერთ გაკვეთილზე წაეკითხათ ნაწარმოები, გაეანალიზებინათ ტექსტი, გამოყევეთათ ავტორის მთავარი სათქმელი, ყურადღება გაემახვილებინათ მწერლის ენასა და სტილზე, ემსჯელათ ნაწარმოებში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე, მეორე გაკვეთილზე კი უკვე დამუშავებული ნაწარმოები საპრეზენტაციო ფურცელზე გადაეტანათ. ამ სტრატეგიით იმუშავეს გოდერძი ჩოხელის, ჰაინრიხ ბიოლის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, შიო არაგვისპირელის, ო. ჰენრის, ედგარ ალან პოს, რევაზ ინანიშვილისა და გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებზე.

ნიკო ლორთქიფანიძის „ჭეშმარიტების მაძიებელი“ არის ძიება სამყაროსა და ჭეშმარიტების შესაცნობად. პერსონაჟი გაურკვეველ მდგომარეობაშია, ეძებს ჭეშმარიტებას მოკვდავთა სამყაროში. ხან ფიქრობს, იქნებ საერთოდ არ არსებობს ჭეშმარიტება, იქნებ რაღაცაში, ან ვიღაცაშია დამალული და მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა საჭიროდ ჩათვლის, ან ზეცაში ხომ არ უნდა

მოძებნოს ამაზე პასუხი. წაკითხულის შემდეგ მოსწავლები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ „ჭეშმარიტი ჭეშმარიტება“ ამქვეყნად არ არსებობს. მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეებმა იმსჯელეს, როგორ წარმოეჩინათ ჭეშმარიტების მაძიებელი, ამიტომ დახატეს მეოცნებები ბიჭი, რომელმაც გადალახა ტყეები, მთები, ბევრი დაბრკოლება და ზეცაში, საიდუმლო სკივრში, მიაკვლია ჭეშმარიტებას.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში „მოხევის სადლეგრძელო“ მექორწილეთა გაოცებას იწვევს მოხევის ნათქვამი „მღვრიემდე გაგვიმარჯვას!“, რადგან ისინი ელოდნენ რაღაც მჭევრმეტყველურს, ისეთ სადლეგრძელოს, რომელიც სავსე იქნებოდა „მთის ყვავილებივით ლამაზი სიტყვებით“. მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ მოხევე ინანიებს რა თავის შეცდომას, ჩადენილ ბოროტებას, ფერს იცვლის, სპეტაკდება. გულწრფელია მისი სიტყვებიც. მოხევე ფიქრობს, რომ ბავშვები სუფთა იბადებიან, „ადამიანებს მერე გვემლვრევა სული“. გოდერძი ჩოხელის პერსონაჟი მონანიებით მიდის განწმენდამდე. ის ტოვებს საქორწილო დარბაზს, რომლის ნეფე-პატარძალი ბროლივით თეთრ ნაკადულს მოგვაგონებს. მოსწავლეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მწერლის ენას, ისაუბრეს მოხევის ფერისცვალებაზე. საპრეზენტაციო ფურცელზე კი დახატეს საქორწილო სუფრა მექორწილებით, ნეფე-დედოფალი და ყანწი, რომელზეც დააწერეს მოხევის სადლეგრძელო -„მღვრიემდე გაგვიმარჯვას“. ყანწიდან მომდინარე კამკამა წყარო კი მღვრიე თერგს შეუერთეს.

შემდეგი შეხვედრა პაუზებით კითხვას ითვალისწინებდა. მოსწავლეებმა ო. ჰენრის „მოგვების ძლვენი“ დაყვეს მონაკვეთებად და ყოველი ნაწილის წაკითხვისას გამოთქვამდნენ ვარაუდებს, რა მოხდებოდა შემდგომ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ავტორის ჩანაფიქრისაგან ძალიან შორს არ წასულან. წაწარმოების იდეა კი გადმოსცეს ასე: სიყვარული ყოველგვარ განსაცდელს უძლებს, მარადიულია. „მოგვების ძლვენი“ სევდიანი ისტორიაა სიყვარულზე, ახალგაზრდა წყვილზე, რომელსაც ფული არ აქვს, რომ საშობაო საჩუქარი მოუმზადოს ერთურთს. ისინი თმას და რელიქვიას გაიმეტებენ სიყვარულისათვის. მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეებმა დახატეს ო. ჰენრის პერსონაჟები თავიანთი ფიქ-

რით, განცდით, ემოციით. დახატეს მოქრილი ოქროსფერი ნაწ-ნავი, ოქროს საათი, ოქროს სავარცხლები და ოქროს ძენვე. ამ ყველაფრისგან მოშორებით კი დახატეს მოსიყვარულე წყვილი.

რევაზ ინანიშვილის „გოგონა - ღამე რომ შეუყვარდა“ მოგვი-თხრობს ქალაქში მცხოვრებ უდარდელ, განებივრებულ გოგონაზე, რომელიც სტუმრად ჩავა სოფელში და გაოცდება ღამის სურათით, რადგან მას აქამდე ასეთი ვარსკვლავებიანი ცა არ უნახავს. გაუყვება გზას და ტყეში აღმოჩნდება ფრინველებთან, ცხოვე-ლებთან, აქ იგრძნობს თავს ბედნიერად და შეუყვარდება ტყე. მოსწავლებმა აღნიშნეს, რომ რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას სასკოლო პროგრამიდანაც იცნობენ და მათვის ძალიან საყვა-რელი მწერალია, რადგანაც იგი წერს სითბოთი და სიყვარულით მათ თანატოლებზე. სოფელში მცხოვრებ ადამიანებზე.

გურამ რჩეულიშვილის „ნელი ტანგო“ მარადიული, ძლიერი სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს. მოქმედება ზღვაზე ხდება. ხარკვიდან სოხუმში დასასვენებლად ჩამოსული ოჯახის ისტო-რია ძალიან ამაღლვებელია. ოჯახის მამა, იგორი, ზღვას გამოს-ტაცებს ცოლ-შვილს, თვითონ კი იღუპება. ცხოვრება გრძელდება. საღამოს კაფეში ახალგაზრდა მოცეკვავე წყვილი უხერხული სიჩუმის გასაფანტად საუბრობს „იმ დღეს მომხდარ ღირსშესა-ნიშნავ ამბავზე“, ჯაზი კი მელოდიურ ტანგოში გადადის. ნაწარ-მოების გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა კითხვები დაუსვეს ერთ-მანეთს ცხოვრების არსზე, მოულოდნელობებზე, ოჯახურ იდი-ლიაზე, თავგანწირვის ძალაზე. მომდევნო გაკვეთილზე კი დაწე-რეს თხზულება „სიყვარულის ძალა“.

„მკითხველთა კლუბის“ წევრები გაეცნენ ასევე ოპერის „უკანასკნელ ფოთოლს“. ავტორის აზრით, როცა ადამიანი სასო-ნარკვეთილია და მესაფლავის მხარეს გადადის, მაშინ ფარმაკო-ლოგია უძლურია. ამ ადამიანურ უძლურებას უპირისპირდება მოხუცი, ხელმოცარული მხატვარი ბერმანი. იგი ყოველთვის დარ-წმუნებული იყო, რომ შექმნიდა შედევრს, რომლითაც გააბედ-ნიერებდა გარშემომყოფთ. მან მართლაც შექმნა შედევრი - სუროს უკანასკნელი ფოთოლი, რომელიც ამავდროულად იყო იმედი სასონარკვეთილი გოგონასათვის. სიცოცხლის იმედმა სძლია სიკვ-დილს. მოსწავლეებმა იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, თუ რა არის

ცხოვრება? როგორ შეიძლება ცხოვრების გალამაზება? როგორ შეიძლება იმედის ჩასახვა? და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ცხოვრება ყველასათვის ძვირფასია, ადამიანებმა შეიძლება ერთმანეთს გაულამაზონ და გაუხანგრძლივონ სიცოცხლე. კლუბის წევრებმა თავიანთი ნაფიქრ-ნააზრევი გადაიტანეს ფერად ფოთლებში. ამ ფოთლებით მოფინეს საავადმყოფოს მიდამო. ერთ ოთახში დახატეს საწოლს მიჯაჭვული ჯონსი და სარკმელი, საიდანაც მოჩანს მხატვრის დახატული უკანასკნელი ფოთოლი და იმედის სხივი.

მოსწავლებისათვის არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ედგარ ალან პოს „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“. იმუშავეს ტექსტზე, დასვეს კითხვები: რას ამბობს ტექსტი? რა დეტალებს იყენებს ავტორი ჰერსონაჟის სახის დასახატად? რა გავლენას ახდენს მთხობელის ვინაობა ტექსტში გადმოცემულ ამბავზე? რისი თქმასურს ავტორს მკითხველისათვის?

ერთი შეხვედრა დაეთმო შიო არაგვისპირელის ნოველას. „მიწაა“ სამშობლოს თემაზე დაწერილი ნაწარმოებია, რომლის მთავარი გმირი ერთი მუჭა მშობლიური მიწისთვის თავს სწირავს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოსწავლეთა ნამუშევრებმა: „შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან“ და „შენს მიწას მიმაბარეო“. მოსწავლებმა ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მიღებული შთაბეჭდილება გადმოსცეს ნახატით: დახატეს საქართველოს რუკა და მუხლმოდრეკილი ბერა, რომელიც მიწას იღებს, ხოლო გვერდით დახატეს ბორკილდადებული ხელები, რომელთაც საქართველოს რუკა უჭირავთ იმის მიშნად, რომ ქართველი სადაც არ უნდა იყოს, გულით, ფიქრით მაინც საქართველოშია.

მეჩვიდმეტე გაკვეთილზე წავიკითხეთ პაინრის ბიოლის „ჩემი ნაღვლიანი სახე“. ავტორი მიგვანიშნებს უწესრიგობაზე, ქაოსზე. ნაღვლიანი სახის ადამიანი სხვებზე ზრუნავს, სურს, რომ შეიქრას ქაოსში და წესრიგი დაამყაროს. ის ოცნებითაც ბედნიერია, ურჩევნია „ბინძურ წუმპეში დახრჩობა“, ვიდრე დაღდასმულად და სახედაკარგულად იქცეს. მოსწავლებმა საპრეზენტაციო ფურცელზე დახატეს ნაღვლიანი სახის ადამიანი, მის გარშემო კი პურის ნამცეცებით დაბურებული თოლიები, რომლებიც ქაოსური ფრენით თეთრი წერტილებისკენ მიისწრაფიან.

ვიდრე გაეცნობოდნენ მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურას“, მოსწავლეებს ვთხოვე დაფიქრებულიყვნენ ადამიანთა ზედნოდებებზე, მეტსახელებზე, რას გამოხატავდნენ ისინი, ახასიათებდნენ თუ არა პიროვნებას რაიმე ნიშნით. მოიყვანეს მაგალითები სამეზობლოდან, სანათესაოდან, ოჯახის წევრების მეტსახელებიც დაასახელეს. გაირკა, რომ შემთხვევითი სახელი არ არსებობდა, ზოგი მეტსახელი ადამიანის გარეგნობას უსვამდა ხაზს, ზოგი - საქციელს, ზოგიც - ხასიათს. როგორი ადამიანი იგულისხმება ჯავახიშვილის მოთხრობის სათაურის მიღმა? - კი ითხე მოსწავლეებს და გამოთქვეს ვარაუდები, რომ უნდა ყოფილიყო უწესრიგო, აჩაჩულ-დაჩაჩაჩული, ჩამორჩენილი... წაიკითხეს რა ნაწარმოები, ორ ჯგუფად განაწილდნენ. ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა ჩანჩურას სახის წარმოჩენა, ხოლო მეორემ - საზოგადოებისა. საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს. ისაუბრეს ბუნებისა-გან დაჩაგრული ადამიანის მძიმე ხვედრზე, რომელმაც თანამოძმეთა შორის ვერ იპოვა „მოკეთე გულისშემატკივარი“. საზოგადოება ემსგავსება ბრძოს და ლახავენ ჩანჩურას თავმოყვარეობას, გრძნობას და ლირსებას. მოსწავლეებმა დაინახეს მწერლის პოზიცია, რომ იგი წეს ადამიანის ბედზე, ჩვენს უსულგულობაზე, გაუტანლობაზე.

„მკითხველთა კლუბმა“ მოსწავლეები დააინტერესა, გაუჩნდათ სურვილი ახალ სამყაროში შებიჯებისა და წიგნების პერსონა-ჟებთან ერთად მოგზაურობისა. მათ უკვე იციან, რომ „ყოველი ახალი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ხდები უფრო უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“.

## სარჩევი

<b>პროგრამის გიორგი სოსიაშვილი პოთი</b>	<b>3</b>
<b>სოლომონ ნერგაძე იუნინა</b>	<b>24</b>
<b>პოიტინ ეკა ბაქრაძე</b>	<b>61</b>
<b>პროგრამ ვასლუ ბერიძე მიწალე გრიშა ორი აღდგომა და გიზი თაზო</b>	<b>70</b>
<b>იმიტრანტული პოეზია ნინო ბერიძე</b>	<b>82</b>
<b>პროგრამ რობერტ ბერიძე პეტრე ირონია</b>	<b>89</b>
<b>დიპიუტი ქრისტინე არქანია</b>	<b>103</b>
<b>პოეზია ციური მესხიშვილი</b>	<b>106</b>
<b>პოეზია მარიამ რევიშვილი</b>	<b>114</b>
<b>თბაზმანი გრიგორ ზოჰრაპი პეტრე ირონია</b>	<b>123</b>
<b>პრიტიტ ვახტანგ ინაური „სანოლეპის ყანა“ - ნოდარ აღეიჯვილის პოეტური მიღიფაციები</b>	<b>126</b>

<b>მოგონისტი</b> ნათელა მელიქიძე ჭავჭავარი დაისეპი	133
<b>მოგონისტი</b> თამარ ლობჟანიძე ვუძღვნი ჩემს უფროს მეგობრებს, მაკას და ნათელას მოგონებები	142
<b>პიიზი</b> ლევან ალავერდაშვილი	148
<b>ინტერვიუ</b> საცრანგეთის ხელოვნების ასოციაცია „დეისი“	156
<b>ანა კორშია</b> „გულანი“ და „არავი“ – განვითარების გზა	162
<b>ლიანა მჭედლიშვილი</b> „მიითხველია კლუბი“ მოსწავლითა ცენტრის ასამაღლებლად	168

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,  
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88  
ელ. ფოსტა: [jurnaliaravi@gmail.com](mailto:jurnaliaravi@gmail.com)